არა ნაკლები არსებითი მნიშვნელობა ურმიის რაიონის ჰერპეტოფაუნისათვის უფრო აღმოსავლურ ელემენტებსაც აქვს, რომელნიც ჩვენს მიერ გამოყოფილი არიან მთიანეთ-დასავლეთ აზიის ჯგუფში. ეს ის ფორმებია, რომელნიც გვხვდებიან მცირე აზიის, ირანის და კავკასიის მოსაზღვრე ადგილებში და გავრცელებულნი არიან შუა და სამხრეთ აზიამდის (დას. თურანი, ქამირი, პენჯაბი), დასავლეთით კი გავრცელებულნი არიან ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთით აფრიკამდე და ევროპამდეც კი. ჩვენ ვეთანხმებით ამ საკითხში ა. მ. ნიკოლსკის თვალსაზრისს, რომელიც სთვლის, რომ აღნიშნული ფორმები წარმოიშვნენ დას. აზიის მთიანეთის რაიონებში და აქედან გავრცელდნენ დასავლეთით და ჩრდილოეთით (ირანი, მცირე აზია, ამიერ-კავკასია, ჩრდილო აფრიკა და ევროპაც კი).

ურმიის რაიონის ჰერპეტოფაუნის უფრო ნაკლებ მნიშვნელოვან ელემენტს კავკასიური, ევროპული, საკუთრივ ხმელთაშუაზღვისა და თურანული ფორმები წარმოადგენენ, რომელნიც ყველანი ერთად მთელი სახეობრივი შედგენლობის 24% შეადგენენ.

დასასრულს ურმიის რაიონის ჰერპეტოფაუნის ანალიზიდან ჩვენ შექდევი დასკვნა გამოვავაქვს: ურმიის რაიონის ჰერპეტოფაუნა ნარეგ ხასიათს ატარებს, მასში ჭარბობენ დასავლური (მცირე აზიური) და აღმოსავლური (მთიანეთ-დასავლური აზიური) ფაუნები, საკუთრივ ირანული ბირთვით, რომელშიც კავკასიური, საკუთრივ ხმელთაშუა ზღვის და უფრო შორეული ცენტრების (ევროპის და თურანის) ელემენტები სუსტადაა წარმოდგენილი.

ასეთი ნარევი — ერთის მხრით მცირე აზიისა და საკუთრივ ირანის მთიანეთის, ხოლო მეორეს მხრით ირანის და ამიერ-კავკასიის დიდ სივრცეებს შორის გეოგრაფიული მდებარეობით აიხანება. ეს რაიონი მცირე აზიური და ცენტრალური აზიური ფაუნების შეხვედრის ადგილს წარმოადგენს, რომელსაც საკუთრივ ირანის ფაუნის გავლენაც ნათლად ეტყობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შეხვედრა ჩრდილო-დასავლეთ ირანში ირანული აზერბაიჯანის ფაუნის ელემენტებისა ანატოლიის და მცირე აზიის ელემენტებთან, აღნიშნული აქვს ფრინველებისათვისაც P. A. Buxton-ს თავის სტატიაში: „Notes on birds from Northern and Western Persia¹“, რაც ზემომოტანილ მონაცემებთან ერთად მცირეაზიური ელემენტების მნიშვნელოვანი როლის შესახებ ურმიის რაიონის ჰერპეტოფაუნაში, უფლებას გვაძლევს განვიხილოთ ეს, როგორც საერთო მოვლენა ირანის აღნიშნული ნაწილების ფაუნისათვის.

ჩემს მოვალეობად მიმაჩნია მადლობა გამოვუცხადო ა. ფ. ლაისტერს საჭირო ლიტერატურის მოწოდებისა და რჩევებისათვის და ლ. ა. ლანტკის ურმიის ექსპედიციის მიერ შეგროვილ ზოგიერთ *Lacertidae*-ს შესახებ ცნობების მოცემისათვის.

¹, The Journal of the Bombay Natural History Society, 1921.

V. ROSTOMBEKOV

CHELONIA, SAURIA AND AMPHIBIA OF THE URMIA EXPEDITION.
IN 1916.

(Summary).

The author gives the results of his elaboration of collections of herpetofauna, made by the Urmia expedition of the former Caucasian Museum in 1916. 16 forms were collected in toto, and adding to it also *Pelobates fuscus* indicated before for the region by Mr. Boulenger, total of 30 forms will be obtained for the given locality. Of course, the data of the present work, taking into consideration the author's previous work also, do not include all existing elements of the herpetofauna of Urmia region; for instance, we undoubtedly have here such species as *Ophisaurus apus*, *Anguis fragilis*, *Phrynocephalus persicus*, *Lacerta saxicola* (ssp.), *Eremias persica* and several others, not discovered as yet.

All the components of species established by the author for Urmia region (lying in the north-western part of Iran and separated from Asia Minor's plateau by Kourdistan mountains) could be divided into the following groups:

1) Iranian forms: *Agama caucasica*, *Phrynocephalus helioscopus horvati*, *Lacerta brandti*, *Eumeces schneideri*, *Typhlops vermicularis*, *Zamenis gemonensis schmidti*, *Eryx jaculus urmianus* (23⁰/₀);

2) Iran-anatolian forms: *Testudo ibera*, *Agama ruderata*, *Contia modesta punctolineata*, *Contia collaris*, *Eryx jaculus familiaris*, *Tarbophis iberus*, *Coluber raddei* (0⁰/₀);

3) Anatolian forms. *Lacerta viridis media*, *Mabuya aurata*, *Hyla arborea savignyi* (10⁰/₀).

4) Middle-Asia highland forms: *Ophisops elegans*, *Eumeces schneideri*, *Ablepharus vittatus*, *Zamenis ravigieri*, *Coluber lebetinus*, *Bufo viridis* (20⁰/₀).

These four groups comprising three quarters of all the species components, define in the main, the character of herpetofauna of the region. The remaining forms belong to Caucasian (*Lacerta viridis strigata*, *Rana macrocnemis*, *Pelobates fuscus*), European in general (*Coronella austriaca*, *Natrix tessellatus*), Mediterranean (*Coeloptis monspessulana*) and Turanian (*Vipera renardi*).

წიგნი 1353
200-1111111111

The prevailing are iranian forms, characteristic for iranian province, directly originated here, or having formed in local conditions, specific iranian subspecies. The advance of these forms to the southern and eastern Transcaucasia, shows that there is a considerable influence of iranian fauna on the fauna of Transcaucasia.

Iran-Anatolian forms („Irano-sirian“ according to Nikolsky) being general for Anatolia, north-western Iran, adjoining parts of Transcaucasia and partly towards the west attaining North Africa, play a considerable role in the complex of Urmian herpetofauna. They represent the element, defining a more western influence on the fauna of Urmian region and in general of northern Iran on the part of Asia Minor's fauna. This last statement is moreover supported by the presence of strictly Asia minor's forms in the fauna of Urmia (*Lacerta viridis media*, *Mabuza aurata*, *Hyla arborea savignyi*).

Elements of a more eastern origin, united by the author in the group of forms characteristic of western Asia highlands, have no less importance for the herpetofauna of Urmia. Those are forms which in their distribution go from Kashmir and Punjab, through Turan and Iran to the north and north-east Africa, and even Europe.

Caucasian-european, mediterranean and turanian elements, representing all together only 24% of all the species component, play a subordinate role in the fauna in question.

Thus, the herpetofauna of Urmia region has a mixed character with a predominance of Asia-minor's and western-asiatic forms, with a noticeable, but not yet finally formed iranian nucleus and a weak admixture of other elements. Such a mixed character of herpetofauna is the result of the geographical position of Urmia region, between highlands of Asia Minor and strictly Iran on one side, and the vast region of contact of Asia Minor's and central-asiatic fauna with an already expressed influence of strictly Iranian fauna. Apparently we can make such a deduction also in general for all the fauna of north-western Iran.

3. ლეჩინიკი

კავკასიის ახალი და ნაკლებცნობილი ფორმები
BEMBIDIINA-ს ტრიბიდან (COLEOPTERA CARABIDÆE)

1. *Bembidion (Notaphus) obliquum* Sturm.

ეს სახეობა ფართოდაა გავრცელებული შუა და ჩრდილო ევროპაში. კავკასიისათვის აღნიშნული აქვს შნაიდერს მასტარიდან. მე მაქვს ეგზემპლარი საქართველოდან (ძდ. ქციას დაბლობი, 24, VIII, 1934), რომელიც უდაოდ ამ სახეობას ეკუთნის. ევროპული ინდივიდებისაგან იგი განირჩევა წინისაკენ ნაკლებად შევიწროებული წინაზურგით და ზედაქერქვის უფრო ღრმა კვანძებით. ერთი ეგზემპლარით არ შეიძლება გადაწყდეს—ეკუთნის იგი ცალკე სახეობას, თუ უბრალო ინდივიდუალურ გადახრას წარმოადგენს ტიპური ფორმიდან.

2. *B. (Bembidionetolitzkya) redtenbacheri kartalinicum*,
subsp. n.

B. redtenbacheri Dan. f. typ. simile, sed colore cyaneo, tibiis obscurioribus, elytris longioribus, lateribus minus rotundatis, striis paulo tenuioribus facile distinguendum.

ზედა ნაწილის მიკროსკულპტურით ტიპურ ფორმას ემსგავსება განსხვავდება ზედა ნაწილის ლითონისებრ ლურჯი ფეროვნებით, უფრო მუქი წვევებით, უფრო გრძელი, გვერდების მხრით სუსტად მომრგვალებული ზედაქერქვებით, რომელთა ღარები ნაკლებად ჩაღრმავებულნი არიან.

სიგრძე 4,8—5,5 მმ.

საქართველო: ბაკურიანი (ა. მატისენი, ა. ბოგაჩევი, ვ. უნკსოვი), დიდი მიტარბი, ტბა, ძდ. ქციას ველი.—საკუთარი კოლ. და საქართველოს სახ. მუზეუმის კოლექცია.

ზედაქერქვების ფორმა, კვანძების სიღრმე და წვევების ფეროვნება ამ სახესხვაობას მუდმივი არა აქვს და ზოგიერთ ინდივიდუალურ ცვალებადობას განიცდის. მაგრამ, აღნიშნული თავისებურებით იგი განსხვავდება ძირითადი ფორმისაგან. უფრო მუდმივი ჩანს ზედა ნაწილის ფეროვნება რომელიც ევროპულ *B. redtenbacheri*-ს მუდმივ მწვანე აქვს, ამიერკავკასიის ქვესახეობას კი—ლურჯი, ზოგჯერ ოდნავ მომწვანო. ეს განსხვავება სავსებით საკმარისია, რომ ცალკე ქვესახეობად გამოვყოთ გეოგრაფიულად განცალკევებული ფორმა. მე მაქვს *kartalinicum*-ის ქვესახეობის რამდენიმე ათეული ეგზემპლარი, რომელნიც ფრიად



აშკარად განსხვავდებიან იტალიის, ზალცბურგის, ბოსნიის და დასავლეთ-აღმოსავლეთის სხვა ადგილების *B. redtenbacheri*-ს ეგზემპლარებისაგან. ზემოაღწერილი ფორმა ალბად მხოლოდ ამიერ-კავკასიის ახასიათებს, რადგანაც კავკასიის მთა-გრეხილის (კრასნაია პოლიანა) დასავლეთ ნაწილის ეგზემპლარები სავსებით ემსგავსებიან ევროპულს.

3. *B. (Bembidionetolitzkya) coeruleum transeasicum*,
subsp. n.

B. coerulea Serv. f. typ. simile, sed prothorace latiore, lateribus valde rotundatus, antice magis angustato, apice vix sinuato, angulis anticis minus prominulis, elytris striis tenuioribus distinctum.

ფეროვნებით, სიდიდით და საერთო აგებულებით ტიპურ ფორმას ემსგავსება, მაგრამ უფრო ფართო, გვერდების მხრით უფრო მოძრგვალეული ნაკლებად შევიწროებული, ზევით თითქმის პირდაპირ მოკვეთილი წინაზურგით, ნაკლებად გამოწეული მისი წინაკუთხეებით, ნაკლებად ჩაღრმავებული ზედაქერქის კვანძებით განსხვავდება. ამის გარდა გვერდის ზოლი ზედაქერქის წინა მხარეს მე-4 ლარის დასაბამთან ოდნავ სცილდება ასეთს, იმ დროს როდესაც ტიპურ ფორმას იგი შესამჩნევად სცილდება მეოთხე ლარის დასაბამს.

სიგრძე 6—7 მმ.

თბილისი (7. V. 1929) ორდუბადი (24. V. 1933 ა. ბოგაჩევი)—3 ეგზ., საკუთარი კოლ. და საქართველოს სახ. მუზეუმის კოლექცია.

4. *B. (Bembidionetolitzkya) conforme agurense*,
subsp. n.

Formae typicae simillimum, sed differt prothorace minus transverso, basi angustiore, colore obscuriore.

ტიპური ფორმისაგან განირჩევა ნაკლებ განივი, უფრო გამოზურთული, ფუძესთან უფრო მეტად შევიწროებული წინაზურგით, ზედა ნაწილი უფრო მუქი ოდნავ მომწვანო ფერით, ზედაქერქი წინა ნაწილის მცირე სიგრძეზე მუქი მოწითალო მოშავო ფერისა, მთელი ზოლის სიგრძეზე მუქი ფერისა.

სიგრძე 4,8—5 მმ.

დას. კავკასია: მაცესტა მდ. აუურას ნაპირზე, ე. წ. მეორე ჩანჩქოთან (30. VII, 1911, ვ. ლუჩნიკი)—2 ეგზ.

ევროპული ეგზემპლარებისაგან (ავსტრია, სლავია) ეს ქვესახეობა ძლიერ კარგად განირჩევა ზემოაღნიშნული ხიშნებით. მე მგონი რომ ქვესახეობა *agurense* არა ნაკლებ განირჩევა ტიპური *B. conforme*-საგან, ვიდრე ეს უკანასკნელი. *B. varicolor* F.-საგან. შესაძლებელია, რომ მრავალი მასალის შესწავლის შემდეგ ჩვენი ფორმა ცნობილ იყოს ცალკე სახეობად. *B. conforme* აქამდის ცნობილ იყო მხოლოდ დასავლეთ ევროპიდან.


 5. *B. (Peryphus) turanicum insperatum*, subsp. nov.

B. turanico Csiki f. typ. simile, sed elytris lateribus magis parallelis, striatis distinctum. a *B. turanico repando* J. Sahlb. elytrorum stria septima haud indicata faciale distinguendum.

ლითონისებრ მომწვანო, ძლიერ ბრწყინავი, ზედაქერეხები ჩალისფერ ყვითელი, პირველი შორისეთი, ლაქა ნაკერზე შუა ადგილის უკან და ვიწრო განივი გადაბმა ლაქიდან გვერდის კიდემდე მოწითალო-მომურო. უღვაშები, საცეცები და ფეხები ყვითელი. თავი ფართო, შებლის პარალელური ჩანახნექებით, გლუვი. თვალები ძლიერ გამოზურთული. წინაზურგი ცოტა უფრო ფართო, ვიდრე თავლებით, ძლიერ განივი, აშკარად გამოხატული სიგრძივი ნაკეცთ უკანა-კუთხეებში, საფუძველი აშკარად პუნქტირებული. ზედაქერეხები სიგრძივი ოვალური, გვერდების მხრით მცირედ დამრგვალებული, მცირედ გაფართოებული შუას უკან, მთლიანად იზოდიამეტრულად სკულპტირებული, წერტილოვანი ღარებით, რომელთაგან პირველი უფრო ღრმაა, მეორე და მესამე ფრიალ ნახი, თითქმის აღწევნ მწვერვალს. შემდეგი სამი შუას უკან იკარგება. მეშვიდე სულ გადასწორებულია, მესამე ღარი ორი წერტილით.

სიგრძე 4,8 მმ.

ჩრდილო კავკასია: პრასკოვეა — 1 ეგზ.

სამწუხაროდ ჩემს განკარგულებაშია ამ საინტეუესო ფორმის მხოლოდ ერთი ეგზემპლარი. უდაოდ იგი ეკუთვნის *B. turanicum* Csiki (= *pietum* Fald)-ის რასას, რომელიც ფართოდაა გავრცელებული ჩრდილო ევრაზიაში ჩრდილო ამერიკაში და შუა აზიაში და მთელ რიგ გეოგრაფიულ ფორმებად იყოფა. კავკასიიდან ეს სახეობა არ იყო ცნობილი, თუ არ ჩავთვლით ჩემს მითითებას, რომელიც პრასკოვეის ეგზემპლარზე იყო დაფუძნებული¹.

აღწერილი ფორმა ტიპური სახეობისაგან განსხვავდება უფრო მეტად პარალელური ზედაქერეხებით, რომელთა კვლები ნაკლებად ღრმაა. Subsp. *repandum* J. Sahlb-საგან იგი განსხვავდება მით, რომ არა აქვს ზედაქერეხების მეშვიდე ღარი subsp. *pamirense* N. Bates-საგან — ნაკლები სიდიდით და უფრო ნათელი ფეროვნებით. თუმც ამ ახალი ფორმის ჯერჯერობით მხოლოდ ერთი ეგზემპლარი მოგვეპოვება, მაგრამ აღნიშნული განსხვავებანი, ისევე, როგორც ზოოგეოგრაფიული მოსახრებანი უფლებას გვაძლევს ჩავთვალოთ იგი ცალკე ქვესახეობად.

 6. *B. (Peryphus) persicum* Mén.

ეს ნაკლებად ცნობილი სახეობა კავკასიაში ალბად ფართოდ გავრცელებული უნდა იყოს. მე მაქვს იგი როგორც ცენტრალურ კავკასიიდან (ნალჩიკი, ვ. ლ უ ჩ ნ ი კ ი), ისე ამიერ კავკასიიდან (კარამალინოვკა, პ. ეიხარევი; ორდუბადი, ა. ბოგაჩევი, ლისოგორსკი, ა. ბოგაჩევი).

1) Лучник В., Труды Памирской экспед. 1928 г., II, 1930, 36.

მის მსგავს სახეთაგან. *B. persicum* განსხვავდება მცირე სიდიდით და მსგავსი ფართო თავით, რომელიც თვალზე თან ერთად მხოლოდ მცირედ არის ვიზუალურად გამოვლინებული. უმთავრესად ზედაქერეჭების მუქი ზოლი ნაკრთან *B. persicum*-ს ვიწრო აქვს, მაგრამ ხანდახან იგი პირველ სამ შუალედს მოიცავს. მსგავს ეგზემპლარებს ჩვეულებრივ მცირედ მოშავო უღვაშები აქვთ, უფრო ღია ფერის ეგზემპლარებს კი—მთლიანად ყვითლები.

7. *B. (Peryphus) distinguendum nescium*, subsp. n.

ფეროვნებით და ზედანაწილის მიკროსკოპულტურით ამ სახეობის ტიპიურ ფორმას ემსგავსება მაგრამ განსხვავდება ფუძესთან უფრო შევიწროებული მიკროსკოპულტურით და შუას უკან შესამჩნევად გაფართოებული ზედაქერეჭებით.

სიგრძე 5,5—5,8 მმ.

ცენტრალური კავკასია: კლუბორის უღელტეხილი (ა. ბოგაჩევი), ფასანაური (ა. ბოგაჩევი)

8. *B. (Peryphus) oblongum exisum*, subsp. n.

B. oblongo parallelipenni Chaud simile, sed elytris longioribus, septemstriatis facile distinguendum.

ემსგავსება *B. oblongum parallelipenne* Chaud, მაგრამ უფრო გრძელი ზედაქერეჭებით და მათზე ამკარად გამოხატული მეშვიდე ღარით განსხვავდება.

სიგრძე 5—5,5 მმ.

საქართველო: ახალციხე (26. VII. 1928)—3 ეგზ.

ღღემლის კავკასიიდან ცნობილ ამ სახეობის ფორმას *parallelipenne* Chaud. ახასიათებს ზედაქერეჭების გაბრტყელებული მეშვიდე ღარი. ორიგინალური აღწერილობის თანახმად ასეთი „n'est que quelquefois indiquée par quelques points à peine perceptibles disposés en ligne“¹. ამას სავსებით შეეფარდება ჩემი ეგზემპლარები სოჭიდან და ნალჩიკიდან. მათ მეშვიდე ღარი ან სრულიად არა აქვთ ან წარმოდგენილი აქვთ ოდნავ გასარჩევი მთელი რიგი პატარა წერტილებით. ახალ ფორმას, რომელსაც უფრო გრძელი ზედაქერეჭები აქვთ, მეშვიდე ღარი ისევ განვითარებული აქვთ, როგორც წინა მეექვსე, ხოლო იგი შესამჩნევად მოკლეა უკანასკნელზე.

9. *B. (Peryphus) festinum*, sp. n.

A. B. decoro Zenk (cui simile et affine) imprimis oculis minus convexis, prothorace longioribus lateribus, paulo rotundatis, ante angula postica minus sinuatis, elytris postice latioribus, striis magis impressis divergens.

¹ Chaudoir, M. Bull. soc. Nat. Moscou, 1850, 184.

შავი, ლითონისებური ელვარებით, ზევიდან მუქი-მომწვანო, უღვაშები და ფეხები მოწითალო-ყვითელი, პირველნი მესამე სეგმენტიდან გამუქებული, უკანასკნელის წინა სეგმენტიდან საკეცი მომუქო ფერისა. თავი მოკლე, ზომიერად გამოზურთული თვალებით, შუბლი ღრმა ჩანახნექებით რომელთა უკან თვალების შინაგან კიდეებზე მცირე წერტილები. წინაზურგი მცირედ განივი უფრო ფართოა. ვიდრე თავი თვალებთან ერთად, წინისაკენ პირდაპირ მოჭრილი, გვერდების მხრით წინისაკენ მომრგვალებული, ფრიალ ფართოა შუას წინ. უკანისაკენ შევიწროებული, ფუძესთან, რომელიც თითქმის ისეთივე სიფართისაა, როგორც წინა კიდე, მცირე გამოჩანხნექით, სწორი უკანა კუთხეების წინ, დისკო ნაკლებად გამოჩანქილი, მცირედ ჩაღრმავებული, ბოლოებში დამოკლებული შუა ხახით, უკან მცირე წერტილებით, უფრო ხშირ მომრგვალებულ ჩაღრმავებულებში ფუძის თითოეული მხრით, ამღლებული ნაოჭი უკანა კუთხეებზე არა აქვს. ზედაქერეკები ნაკლებ გამოზურთულები, შუას უკან აქვთ უდიდესი სიფართე, შესამჩნევად შვიწროებული მწვერვალისაკენ ძლიერ ღრმა, აგრეთვე გვერდებზე და მწვერვალზე კარგად გამოხატული და გამოზურთული შუალედებით, რომელთაგანაც მესამე არის ორი წერტილით.

სიგრძე 5.5 მმ.

დასავლეთ კავკასია: სოჭა (3. VIII.—1931 ვ. ლუჩნიკი) 1 ეგზ.

ეს სახეობა ყველაზე უფრო უახლოვდება *B. decorum* Zenk., რომელსაც იგი ძლიერ ემსგავსება აგრეთვე ზედა ნაწილის მიკროსკოპულტურით, მაგრამ ამავე დროს აშკარად განსხვავდება ნაკლებ გამოზურთული თვალებით, ნაკლებ განივი გვერდების მხრით სუსტად მომრგვალებული წინაზურგით, რომლის გვერდის კიდეები უკან ნაკლები ამოხნექილობით უკანა კუთხეების წინ, ზედაქერეკები ნაკლებ ვაკიმული, მწვერვალთან უფრო მეტად გაფართოვებული, მათი ღარები ღრმაა გვერდებზე. მართალია ამ სახეობის მხოლოდ ერთი ეგზემპლარი მოგვეპოება, მაგრამ მე სრულიად არ მეპარება ეჭვი ამ სახეობის თავისთავადობაში, ვინაიდან ძისი შედარება *B. decorum*-ის მრავალრიცხოვან წარმომადგენლებთან ესპანეთისა, გერმანიისა, ბუკოვინისა, ბესარაბიისა და სხვა ადგილებიდან და აგრეთვე ამავე სახეობის ყველა დანარჩენი ქვესახეობების წარმომადგენლებთან, გვიჩვენებს აღწერილი ფორმის მათგან სრულ განსხვავებას. *B. festinum* რომ ჩავთვალოთ *B. decorum*-ის კავკასიურ ქვესახეობად არ შეიძლება, რადგან კავკასიაში უკანასკნელი წარმოდგენილია ცალკე ჯერ აუწიერელი ქვესახეობით, რომელიც მე მაქვს ნალჩიკიდან და კრასნაია პოლიანადან.

10. *B. (Synechostictus) ruficornis lubricum*, subsp. n.

B. ruficornis Sturm f. typ. simile, sed antennis obscurioribus, elytris lateribus magis rotundatis distinctum.

ემსგავსება ტიპურ ფორმას და მის მსგავსად გლუვი ზედაქერეკები აქვს. განსხვავდება უღვაშების ფეროვნებით. უღვაშები გამუქებულია მე-3 და მე-4 სეგმენტიდან დაწყებული და უფრო მოკლე, გვერდების მხრით უფრო მეტად მომრგვალებული ზედაქერეკებით.

სიგრძე 5,5—6,8 მმ.



კავკასია: ნალჩიკი, გვილეტი, კრასნაია პოლიანა, ბაკურიანი, ტბა (საკუთარი და საქ. მუზეუმის კოლექცია).

ახალი ფორმის აღნიშნული თავისებურების გარდა, შეიძლება აგრეთვე აღინიშნოს, რომ მისი ეგზემპლარები უმთავრესად განსხვავდებიან ევროპულისაგან აგრეთვე პატარა თვალებით და უკან მეტად ჩახნექილი წინაზურვის შუა ღარით.

11. *B. (Synechostictus) moschatum* Peyr.

ეს იშვიათი სახეობა, აღნიშნულია კავკასიისათვის მხოლოდ ლენქორანიდან, მე მომეპოება საქართველოდან (მცხეთა: ბანკოვსკი, საქ. მუზეუმის კოლექცია) და აფხაზეთიდან (პილენკოვო, ვ. ბელიზინი).

12. *B. (Philochthus) zaitzevi*, sp. n.

Nigro-aeneum, antennis pedibusque piceis, elytris apice pronotoque ante apicem rufis. Prothorace valde transverso, omnino microscopice reticulato, lateribus rotundato, apice magis quam basi angustato, angulis posticis obtusis, apice denticulo terminatis, elytris punctato-striatis, stria septima valde oblitterata. *B. liguttato* F. simile, sed majus, corpore brevior, antennis pedibusque obscurioribus, elytrorum stria septima vix indicata.

შავი, ქვემოდან მცირედ მომწვანო, ზემოდან უმნიშვნელო ირიბირებადი ბრწყინვით, ულვაშები მოწითალო პირველი სეგმენტის გამოკლებით და საცეცები მოშავო მურა ფერისა, ბარძაყები თითქმის შავი, მომწვანო ლითონისებური ელვარებით, წვივები და ფეხები მუქი მურაფერისა. ზედაქერეჭები ბოლოში მოწითალო, მომრგვალებული მოყვითალო წითელი ლაქით მწვერვალთან. თავი დიდი, მქრქალი, მთელი იზოდიამეტრულად სკულპტირებული, არა ღრმა შუბლის ჩახნექილობებით და ძლიერ გამოზურთული თვალებით. წინაზურვი მთელი უხეშად სკულპტირებული, სიგანით ორჯერ მეტი, ვიდრე სიგრძით, თითქმის სწორი ჩინა კიდით, მომრგვალებული გვერდების მხრით, დავიწროებული ზევით უფრო მეტად, ვიდრე ქვევით, გვერდების მხრით ძლიერ მოჭრილია უკანა ბლაგვი კუთხეების უკან, რომელიც მალლით თავდება მცირე სწორკუთხოვანი კბილაკით, შუა ხაზი არ არის ღრმა, არ აღწევს არც მწვერვალსა და არც დასაბამს, ამალბებული ნაკეცი უკანა კუთხეებში კარგადაა განვითარებული. ზედაქერეჭები ფართო, გვერდების მხრით მცირედ მომრგვალებული, აღწევენ უდიდეს სიგანეს შუას უკან, ექვსი წერტილოვანი ღარით რომელთაგან პირველი მწვერვალს აღწევს, დანარჩენი უკან მოგლუვებულია, მეშვიდე აღნიშნულია ოდნავ გარკვეული წერტილების სახით, მესამე შუალედი ორი წერტილით.

სიგრძე 5 მმ.

საქართველო: მდ. ქციას ველი (7/VIII. 1929 ვ. უნკსოვი). ძეგვი (VIII. 1934, ფ. ზაიცევი) საკუთარი და საქ. მუზეუმის კოლექცია).



ამ აშკარად განსხვავებულ სახეობას მე ვუწოდებ ცნობილი ჩვენი ენტომოლოგის ფ. ა. ზაიცევის პატივსაცემად მის სახელს. ფ. ა. ზაიცევის დიდი დამსახურება აქვს კავკასიის კოლეოპტეროფაუნის შესწავლის საქმეში.

სხეულის საერთო აგებულებით *B. zaitzevi* უფრო მეტად ემსგავსება *B. bipunctatum*-ს მაგრამ განირჩევა შეტი სიდიდით, სხეულის უფრო მუქი ფეროვნებით, ხოლო სხეულს მცირე ლითონისებური ელვარება აქვს. მუქი ფერის ფეხებით, უხეში შიგრიწისებოი თავით და წინაზურგით, უკანასკნელის უკანა კუთხეების თავზე აშკარა სწორკუთხოვანი კბილაკი, გაცილებით უფრო ფართო, შუას უკან უფრო მეტად გაფართოვებული ზედაქერეჭებით, ნაკლებ ჩაღრმავებული მათი ღარებით, რომელთაგან მეშვიდე ძლიერ გადაგლუვებულია, ამგვარადვე იმ ნიშნებით, რომლებიც აღნიშნული იყო მის აღწერაში, ეს ქვესახეობა აღვილად განირჩევა თავის ქვეგვარის ყველა სხვა სახეობისაგან.

13. *B. (Philochthus) kirschenblatti*, sp. n.

Rufo-brunneum, supra subaeneum, capite prothoraceque obscurioribus, antennis piceis, pedibus rufo-brunneis, prothorace transverso, lateribus rotundato, angulis posticis obtusis; elytris subtiliter punctato-striatis, stria sexta valde abbreviata, septima nulla.

მრეში-მურა ფერისა, მცირე ლითონისებრი ელვარებით, თავი და წინაზურგი უფრო მუქი, უღვაშები ფისისებრ-მურა ფერისა უფრო ნათელი დასაბამით, ფეხები მრეში-მურათერისა. თავი ფართო გამოზურთხული თვალებით და არა ღრმა შუბლის ჩანახეჭებით. სულ იზოდიამეტრულად სკულპტირებული. წინაზურგი ისეთივე, ხოლო უფრო ნაზი სკულპტურით, ძლიერ განიერი სუსტად ამოჭრილი კიდით, გვერდების მხრით თანაბრად მომრგვალებული. წინ რამდენიმედ უფრო მეტად შევიწროვებული, ვიდრე დასაბამთან, რომელიც გვერდების მხრით მოჭრილია და ზუაში ძლიერ გაწეულია. უკანისაკენ, განივი ნაკეცი ბლაგვ უკანა კუთხეებში გრძელი, კარგად განვითარებული. ზედაქერეჭები ფართო, მცირედ გამოზურთხული, გვერდების მხრით მომრგვალებული, მცირედ გაფართოებული შუას უკან, ნაზი წერტილოვანი ღარებით. რომელთაგან მეექვსე ძლიერ დამოკლებული არ აღწევს ზედაქერეჭების სიგრძის შუამდის, მეშვიდე არა აქვს, მესამე შუალედი ორი წერტილით მესამე ღართან.

სიგრძე 3.4 მმ.

საქართველო: მთა ცარელი (10.X 1928)—1 ეგზ.

14. *B. (Philochthus) cumanum*, sp. n.

Piceum, supra submetallicum, elytris apice rufescentibus, antennis palpis pedibusque rufis. *B. mannerheimi* C. Sahlb. affine, a qua distinguendum: prothorace angulis posticis minus rotundatis, elytris septemstriatis, striis profundioribus.



ფისისებრ-მურა ფერისა, ზევიდან ლითონისებრ მომწვანო სუსტი ზედაქერეჭები ზევით მოწითალო, მურა-წითელი უღვაშების პირველი სევმენტი, საცეცები, უფრო მუქი უკანასკნელის წინა სევმენტის გარდა და ფეხები წითელი. თავი მიკროსკოპულ შიგრიანი-სებრი, არა ღრმა პარალელური შუბლის ჩანახნექებით და გამობურთული თვალებით. წინაზურგი ძლიერ განივი, წინ თითქმის სწორად მოკრილი, გვერდების მხრით ძლიერ მომრგვალებული კიდეებზე იზოდიამეტრული სკულპტურით, შუაში გლვი, უკანა კუთხეები მომრგვალებული, სუსტად გამოხატული. ზედაქერეჭები გლუვი, წინაზურგზე უფრო ფართონი, მცირედ გაფართოვებულნი შუას უკან, შვიდი წერტილოვანი ღარით, რომელთაგან პირველი ოთხი უფრო გრძელია, მეხუთე და მეექვსე უკან დამოკლებული, მეშვიდე ძლიერ ნაზი, მაგრამ აშკარა, მესამე ღარი ორი წერტილით.

სიგრძე 3 მმ.

ჩრდილო კავკასია: მდ. კუმა (6. V. 1890 კ. ზაპასნიკი) 1 ეგზ.

სხეულის ფორმით და ფეროვნებით ეს სახეობა ერთი შეხედვით ემსგავსება *B. mannerheimi*-ს, მაგრამ მისაგან განირჩევა წინაზურგის ნაკლებ მომრგვალებული კუთხეებით, ზედაქერეჭების შესამჩნევად უფრო ღრმა და გრძელი ღარებით და თუმცა სუსტად გამოხატული, მაგრამ მეშვიდე ღარის აშკარა ქონებით.

15. *Tachys* (s. str.) *turkestanicus* Csiki.

ამ სახეობას მე ვაკუთნებ ორ ეგზემპლარს, რომლებიც წარმოსდგებიან ყოფ. სტავროპოლის გუბერნიიდან. ამ ეგზემპლარების ზუსტი ადგილსაზოვნელი არ ვიცით, მაგრამ საფუძველი მაქვს ვიფიქრო, რომ ისინი დაჭირულია პრიკუმის სტეპებში. ეს ეგზემპლარები სავსებით ემსგავსებიან *T. turkestanicus* (= *striolatus* Reitt. non Mael.) ორიგინალურ აღწერას და არაფერი არსებითით არ განირჩევიან თურქესტანული ეგზემპლარებისაგან. მათ ისეთივე ფეროვნება აქვთ, როგორც *micros* Fisch. და უფრო მსხვილებია, წინაზურგის ფორმით *T. bistriatus* Duft-ს ემსგავსებიან. ფერის გარდა უკანასკნელისაგან განსხვავდებიან უფრო გამობურთული თვალებით და ზედაქერეჭების უფრო მეტად განვითარებული ღარებით. აქამდის *B. turkestanicus* მხოლოდ შუა აზიიდან და ბესარაბიიდან იყო ცნობილი.

16. *T.* (s. str.) *lenkoranus* Csiki.

ამ სახეობას, პირველად ეწოდებოდა *T. pallidus* Reitt. (non Chaud.) თუმცა იგი ძლიერ უახლოვდება *T. scutellaris* Steph-ს, მაგრამ, ამისდა მიუხედავად მე მიმაჩნია იგი სრულიად თავისთავად სახეობად. ლიტერატურაში იგი აღნიშნულია ლენკორანისა და საბერძნეთისათვის. მე მაქვს ეგზემპლარები შუა აზიიდან (ივია), ჩრდილო კავკასიიდან (ტბა სოლიონოე—პეტროვსკის ახლო) და დაღესტნიდან (მახაჩკალა).

როგორც ჩანს *T. lenkoranus* ფრიად ფართოდაა გავრცელებული.

V. LUTSHNIK

NEW OR LITTLE-KNOWN FORM OF TRIBUS BEMBIDIINA OF
CAUCASUS

(Summary)

The author describes a large series of new species and subspecies and also gives additional descriptions for some little-known species, on the basis of materials collected in North Caucasus and in Transcaucasia as well, and particularly in Georgia.

6. შ. ს ა ვ ე ნ კ ი (თბილისი)

კავკასიაში MANTODEA-ს გავრცელების საკითხისათვის

არსებული ლიტერატურული მონაცემები კავკასიაში და მოსაზღვრე ქვეყნებში Mantodea-ს გავრცელების საკითხის შესახებ ფრიად მცირეა: ძველი მონაცემები თავმოყრილია იაკობსონისა და ბიანკის წიგნში და ამასთანავე უმრავლეს ნაწილში, საერთო ფორმაში მოითხოვენ ადგილმყოფობის დაზუსტებას და ზოგჯერ მათი ჩვენს ფაუნაში არსებობის დადასტურებას. უახლეს ლიტერატურაში ჩვენ გვაქვს მხოლოდ მითითებანი ცალკე სახეობებზე Adelung-ის (2) Burr-ის (3) უვაროვის, (4) და შუგუროვის (5)¹ ნაშრომებში. კოლექციების მასალების შესწავლა (საქართველოს მუზეუმი, სომხეთის მუზეუმი აკ სამკვლ. ქიმ. ინსტ.) ნებას გვაძლევს მოცემულ იქნას სურათი ამ ჯგუფის სახეობების გავრცელებისა მხარეში. სამწუხაროდ ეს მასალა საკმაოდ ბევრი არაა და განსაკუთრებით გააძნელა მუშაობა ბევრ შემთხვევაში საიმედო შესადარებელი მასალის არქონებამ. ამიტომაც ზოგიერთი ჩვენი სახეობის შესახებ მოგვიხდა თავი შეგვეკავებინა საბოლოო მსჯელობისაგან.

1. *Parameles* sp.

საქართველოს მუზეუმის კოლექციებში მოიპოვებება ერთი ♂ კიროვბადიდან (18. IX, კ. არციმოვიჩი) და ერთი ♀ ნახჭევანის მხარიდან (ზედა აკულისები (28. IV. 16, ვინოკუროვი) ორთავე ეს ეგზემპლარი ალბად ერთსა და იგივე სახეობას ეკუთვნის, შესაძლოა ახალს.

¹ არ შეიძლება აქ არ აღინიშნოს ერთი ლიტერატურული კუროზი: 1930 წ. (Журнал Тропической Медицины გვ. 48) კ. ა. პლატოვი აღწერს Mantodea-ს ახალს ორიგინალურ სახეობას, რომელიც მან იპოვა არიქსის ნახჭევანში და რომელიც ჩვეულებრივი ბუხილა Mantodea-საგან განიორჩევა თავისი პირის აპარატით, რომელიც ისეთია, რომ ამოსწოწნოს სითხე მის მუერ დაჭრული ძწერებიდან, აკტორი წიაადადებებს იძლევა ვუწოდოთ ძათ „Mantis suctorica“ და დაწვრილებით აგვიწერა. აღწერა იმდენად დამაკმაყოფილებულია, რომ მის საფუძველზე ადვილია გამოჩვენება, რომ ავტორს საქმე ჰქონია ბალდინჯოვის საკმაოდ თავი ვებური სხის ეგზემპლარებთან, რომლებიც ეკუთვნიან Ploriarola-ს გვარს (შესაძლებელია კიდევ Pl. dimestica L.).



ამ საკითხის დაზუსტება დღეს ძლიერ ძნელია *P. heldreichi* Br. და *P. taurica* Iak-ს. სახეობათა შესადარებელი მასალების არქონობის გამო. როგორც ერთი, ისე მეორე სახეობის აღწერიდან ჩვენი ეგზემპლარები მეტად თუ ნაკლებად განსხვავდებიან.

(?) 2. *Sphodromantis bioculata* Burm.

ამ სახეობას აღნიშნავს Burr-ი როგორც ჩვეულებრივს თბილისისა და გეოქოთისათვის. აღნიშვნა უსათუოდ შემცდარია, რადგან ხელთქონებულ მასალებში არ არის ამ სახეობის არც ერთი ეგზემპლარი, მაგრამ აქაც და იქაც ჩვეულებრივია ჰაბიტუალურად მათი მსგავსი *Hierodula transeucasica* Brunn.-Watt., რომელსაც ჩვენის აზრით ეკუთვნის Burr-ის აღნიშვნები. იაკობსონსა და ბიანკის მოცემული აქვთ *Sph. bioculata*-ს ადგილსაპონელები: საქართველო და ნოვოროსიისკი (პირველწყარო დარჩა ჩემთვის უცნობი), თუმცა თუ დავუკვირდებით გავრცელებას (ესპანეთი, ჩრდილო და შუა აფრიკა, სირია, მცირე აზია), არ შეიძლება უარყოთ ამ სახეობის არსებობის შესაძლებლობა ამიერკავკასიის ფაუნაში, მაგრამ ეჭვი აღნიშვნის სისწორეში საქართველოს და განსაკუთრებით ნოვოროსიისკისთვის ფრიად დიდია და მომავალში ახალ მასალებში სათანადო დადასტურებების მიღებამე ვტოვებთ ამ სახეობას კითხვის ნიშნის ქვეშ კავკასიურ *Mantodea*-ს ჩამონათვალში.

3. *Hierodula transeucasica* Brunn.-Watt.

აზერბაიჯანი: გეოქოთა VII — IX (იგზ. დიდი სერია, შელკოვნიკოვი).
ლენქორანი VIII (პასტუხოვი). — საქართველო: თბილისი VI — VIII (უვა-
როვი, ზაიცევი), ყარაია VI — X პასტუხოვი, ნატენზონი).

ყველაზე ჩვეულებრივი სახეობა ჩვენთან ამიერ-კავკასიაში. სახეობა აღწერილი იყო ავტორის მიერ ყოფ. ბაქოს გუბ. და ასტრბადის ეგზემპლარების მიხედვით. ჩვენი მასალა სავსებით ეთანხმება ორიგინალურ აღწერას. ამიერ-კავკასიის კოლექციებში მოიპოება ორი ეგზემპლარი (კიროვაბადიდან და ჯაფარხანიდან განსაზღვრულნი ს. პ. ტრაბინსკის მიერ, როგორც *H. tenuidentata* Sauss., ეს ეგზემპლარები არ განსხვავდებიან არაფრით ამიერ-კავკასიურ სხვა ეგზემპლარებისაგან. წარმოადგენს *N. transeucasica* თუ არა *N. tenuidentata*-ს სინონიმს — ეს ჩვენთვის ამკარა არ არის, ვინაიდან შედარებისათვის გქონდა მხოლოდ რამდენიმე ეგზემპლარი აშხაბადიდან. ეს უკანასკნელნი მართალია უფრო მსხვილებია, ვიდრე ჩვენი ეგზემპლარები, მაგრამ არსებითი განსხვავებანი ამიერ-კავკასიურთან შედარებით არა აქვთ: წინაზურგის წელი გაფართოებული ნაწილის უკან, თუმცა ძლიერ სუსტია, მაგრამ მაინც შესამჩნევია. ბიანკის და იაკობსონის მიერ *N. tenuidentata*-სათვის აღნიშნულია სივრცის სიკანესთან შეფარდებანი (უკანა ლაპოტი წინასთან შედარებით საშუალო უფრო გრძელია, არ არის აღმოჩენილი წინაზურგის უკანა ლაპოტი, როგორც ამიერ-კავკასიურ ეგზემპლარებისათვის, ორჯერ ან ცოტა უფრო მეტად გრძელია წინაზე. რაც შეეხება



კბილაკებს, წინაზურგის წინ მხარეზე, ისინი ჩვენს ერთადერთს აშხაბადში მხოლოდ ნიშნებით ვაფორმებული აქვთ, მაშინ, როდესაც ამიერ-კავკასიისას მხოლოდ ნიშნები ეტყობა.

4. *Mantis religiosa* L.

ჩრდილო კავკასია, ნოვოროსისკი (კენიგი), პიატოგორსკი (ვალტერი), პროხლანდნაია VII (ბოლდირევი). — აზერბაიჯანი: ლენქორანი IX, (პასტუხოვი), ბიუჯ-ხანლი X, კიროვაბადი IX (ვასილინინი), გეოკ-თაფა VIII—IX (შელკოვნიკოვი), ჯაფარხანი VII—X (აკავკასიის ქმ. ინსტ. კოლექცია). — საქართველო: თბილისი (Burr-ი), VI (ზაიცევი), VII—X [შუგუროვი], ავჭალა IX (კაზნაკოვი), ბათუმის ოლქი [Burr-ი], სოხუმი და ვაგრა X—XI [შუგუროვი]. — ნახჭევანის მხარე: ორდუბადი VI (სატუნიანი). — თურქეთი: კოტიკი IX (პოლტორაკი), სარაყამში VIII (იგივე), სათელ-აბადი და არდანუჩი (Adelung-ი). წინა სახესთან ერთად აგრეთვე საკმაოდ ჩვეულებრივია, მაგრამ უფრო ფართოდაა გავრცელებული.

5. *Oxythespis turcomaniae* Sauss.

აკავკასიის სამეცნ. კვლ. ქმ. ინსტ-ის კოლექციებში წარმოდგენილია ორი ეგზემპლარით (ავისტოს თვე) კიროვაბადიდან და ჯაფარხანიდან (განს. ს. პ. ტარბინსკიმ).

6. *Iris oratoria* L.

ჩრდილო კავკასია: ნოვოროსისკი (კენიგი). — დაღისტანი: ტარკი IX. — აზერბაიჯანი: მულანის ალექსანდროვკა (ვოლჩანეცი) გეოკ-თაფა VIII (შელკოვნიკოვის ეგზ. სერია) კიროვაბადი VIII, ჯაფარხანი VII—VIII აკავკასიის, სამეცნ. კვლ. ქმ. ინსტ. კოლექცია), მულანის სტები VI—VII (კოსტინი). საქართველო: თბილისი VI (ზაიცევი, კენიგი) [შუგუროვი, Burr-ი], ყარაია VII (პრინცი)-თურქეთი კოხიკი IX (პოლტორ.).

საკმაოდ ჩვეულებრივია.

7. *Bolivaria brachyptera* Pall.

ჩრდილო კავკასია: მდ. კუმი VII (უვაროვი), ზიმნა სტავკა VI—VII, აზიკულაკი IV ბოლშედერბეტის ულუსი VIII. — აზერბაიჯანი) ასლანდუზი VII, ნიკოლაევკა VII, მულანი VII (კოსტინი), გეოკ-თაფა VIII (შელკოვნიკოვი: [Burr-ი]. — საქართველო: ბორჯომი IX (ვინოგრადოვ-ნიკ.), თბილისი VI (ზაიცევი, რიშანსონი), IX [შუგუროვი, Burr-ი], მცხეთა (უვაროვი). — სომხეთი: დოსტი VI, ერევანი VI (უვაროვი), ლიშკვასი VII. — ნახჭევანის მხარე: დარი დალი X, ორდუბადი V—VI. — თურქეთი: ვანი VI, კაზიკობორანი (კენიგი), ჰასან-კალა VII, არდანუჩი VII—VIII, სინგოტი VI [Adelung]. — ირანული ქურთისტანი: ბევრანი, ბიოტე, კონდოლი, გირგაშენი



VI—VII (შელკოვნიკოვი). — ირანი: თეირანი VII—VIII (ბოკილიონი), ჯულფა-ხი VI (კაზნაჯოვი), ურმია V (კოსტინი), შერიფხაბე VII.

ერთი ჩვეულებრივი სახეობანი.

Brunner-ი (6) აღნიშნავს, რომ ბაქოს ერთი ეგზემპლარი წარმოადგენს გარდამავალ საფეხურს *B. brachyptera* Pall-სა და *B. moseri* Sauss.-ს შორის და ამის დასამტკიცებლად მოყავს ვაზომვანი ორთავე სახეობის ♀♀ და ბაქოს ეგზემპლარისა. უკანასკნელისათვის იგი აღნიშნავს სხეულის სიგრძეს 46 მმ (*B. brachyptera* 42 მმ., *B. moseri* 62 მმ). უნდა ვიფიქროთ, რომ სხეულის ზომებს არავითარი როლი არა აქვს ორთავე სახეობის გარჩევაში, ვინაიდან ჩვენს საკრლეტეო მასალებში მოიპოება პატარებთან ერთად ♀♀ რამდენიმე ეგზემპლარი სხვადასხვა ადგილიდან (გეოქ-თაფა, ასლანდუზი, ქურთისტანი), რომელთა ♀♀ სხეულის სიგრძე მეტია, ვიდრე Brunner-ის მიერ-ბაქოს ეგზემპლარისათვის აღნიშნული 47—56 მმ., ე. ი. უფრო მეტად მიახლოებულნი *B. moseri*-ს სხეულის სიგრძესთან. ამისდამიუხედავად ეს ეგზემპლარები პლასტიკური ნიშნების მიხედვით უნდა იქნას მიკუთვნებილი ნამდვილ *B. brachyptera*-სადმი (ზედაქვერეკები არ აღწევენ მუცლის მეორე სტერნიტს, ანალური ფირფიტა წამახვილებული მწვერვალით).

8. *Fischeria caucasica* Sauss.

ამიერ-კავკასიისათვის აღნიშნულია სახეობის ავტორის მიერ ადგილის არა ზუსტი აღნიშვნით. ხელთმქონე მასალებში არ აღმოჩნდა. ალბად ეს სახეობა ჩვენში ფრიად იშვიათია, სამაგიეროდ არის რამდენიმე ეგზემპლარი თეირანიდან VIII (ბოკილიონი), რომელნიც უთუოდ *F. baetica* Ramb-ის ხმელთაშუაზღვის სახეობას ეკუთვნიან.

9. *Empusa tricornis* Goeze.

ჩრდ. კავკ.: ზიმნაა სტავკა VI. — საქართველო: მცხეთა VI (უვაროვი), VI—X (შუგუროვი), თბილისი და დუშეთი VIII—IX (შუგუროვი), ბორჯომი (კენიგი). — აზ.: ალექსანდროვკა VII (ვოლჩანეცი), გეოქ-თაფა VI (შელკოვნიკოვი), ალიატი V (ბანკოვსკი) — ირანი: ურმია (ბენინგი), ირანული ქურთისტანი: სურიადე VI, სინიე VII. — სომხეთი: ალი-დარა 15. VII (შელკოვნიკოვი), ერევანი (შელკოვნიკოვი), ტალინის რ. 10, VII (ამირჯანიანი).

10. *Empusa pennicornis* Pall.

აზერბაიჯანი: გეოქ თაფა (Burr-ი), კიროვაბადი VII, ჯაფარხანა V—VII (ა.კ. სამეცნ. კვლ. ქიმ. ინსტ. კოლექცია). — საქართველო: მცხეთა VI (ტკაჩუკოვი), თბილისი VII (სატუნინი), ყარაიზი VI (პრინცი). — სომხეთი: ერევანი VI (უვაროვი), ალი-დარა 15. VII (შელკოვნიკოვი) — ნახჭევანის მხარე: ჯულფა 3, VI ორდუბათი V (ვორონოვი). — თურქეთი: ბორჩხა VI [Adelung].

უკანასკნელი ორთავე სახეობა საკმაოდ იშვიათია ჩვენში.

ამგვარად, კავკასიის ფაუნისათვის, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, ჩვენ ჯერჯერობით 10 სახეობა გვაქვს. რომელთაგან ერთი მოითხოვს დადასტურებას (*Sphodromantis bioculata* Burm) მეორე კი (*Parameles* sp.) ზუსტ გამორკვევას. ცხადია, ამ რიცხვით არ ამოიწურება Mantodea-ს სახეობრივი შემადგენლობა ჩვენში. ასე, მაგ., კასპის ზღვის სანაპიროზე უნდა მოიპოვებოდეს *Armene alata*, Sauss, ამიერ-კავკასიაში კი საერთოდ *Ameles decolor* Charp ან *Empusa fasciata* Brullé.

ამიტომ, თანდართულ მსაზღვრელობით ტაბულაში შედის გარდა ჩვენს მიერ უკვე აღმოჩენილისა, აგრეთვე მხარის ფაუნისათვის შესაძლებელი სახეები.

ჩვენში გავრცელების ზემომოტანილ მონაცემების მიხედვით ჩანს, რომ ჩრდილო კავკასიაში შედის მხოლოდ ოთხი სახეობა: *M. religiosa* L., *Iris oratoria* L., *B. brachyptera* Pall. და *Empusa tricornis* Goeze, დანარჩენი ექვსი სახეობა არ სცილდება ამიერ-კავკასიის ფარგლებს. სახეობების უმრავლესობა ხმელთაშუაზღვის ფაუნის ელემენტებს წარმოადგენენ (*Sphodromantis bioculata*, *Iris oratoria*, *Empusa tricornis*) და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისადაც კი (*B. brachyptera*, *Fischeria caucasica*, *Empusa penicornis*). თურანული ელემენტი ჩვენთან წარმოდგენილია *Orylthespis turcomaniae* და ალბად *Hierodula transcaucasica* (თუ იგი *N. tenuidentata*-ს იდენტურია). მხოლოდ ერთი სახეობა *Mantis religiosa*) ფართოდაა გავრცელებული: პალეარქტიკის სამხრეთი ნაწილში ტრიბიკებს ჩათვლით *Parameles* sp. ჯერ კიდევ არა საკმაოდ გაცნობილია.

ამგვარად, თუ *Mantodea*-ს ფაუნა ჩვენში ახლა ცოტად თუ ბევრად გამორკვეულია, ჩვენს პირობებში მათი ეკოლოგიის მხრით არავითარი მონაცემები არა გვაქვს. ალბად ამა თუ იმ ჩვენს ჩვეულებრივს სახეობათაგანს აქვს დიდი თუ მცირე სამეურნეო მნიშვნელობა, არის რა ტიპიური მტაცებელი, რეგულატორი, რომელიც ხელს უშლის ჩვენს მავნებელ კალიებისდაგვართა გავრცელებას. კარგი იქნებოდა თუ ამ საკითხს ყურადღებას მიაქცევდნ ჩვენი ენტომოლოგები.

ვინაიდან ლიტერატურაში ძლიერ მცირე ცნობები მოიპოვება *Mantodea*-ს ბიოლოგიისათვის, საინტერესო იქნებოდა გამოგვეყენებია ამ შემთხვევაში პროფ. ა. ვ. ანუჩინის დაკვირვებები *Mantodea*-ს რომელიღაც სახეობის ჭუპრების გამოტების წესზე ეს დაკვირვებები პროფ. ანუჩინმა ჩაატარა სამხრეთ უკრაინაში და ჩახატულია მის მიერ. როგორც დაკვირვებები, ისე სურათები პროფ. ანუჩინმა თავაზიანად გადმოცა ჩემს განკარგულებაში, რისთვისაც შემთხვევა მაქვს უდიდესი მადლობა ვუძღვნა მას.

ჭუპრების გამოტეხვა მუდმივ ხდება საშუალო განივი ზოლიდან. გამოღრილი ნასვრეტიდან პირველად გამოდის გარეთ თავი და წინაზურგი (ტაბ. II, ფიგ. ა), შემდეგ ჭიხვები მოძრაობით ყოველის მხრით სხეული თანდათან გამოდის გარეთ სხეულის სიგრძეზე მიკრული ფეხებით (ფიგ. ბ). მთელი სხეულის განთავისუფლების შემდეგ, ჭუპრი ჩამოეკიდება გვერდზე, ამასთანავე ფეხების ბოლოები რჩება შიგნით (ფიგ. გ). შემდეგ, ფეხების გასანთავისუფლებლად ჭუპრი წინა ნაწილში მოიხრუკება, ეყრდნობა რა თავს, მუცელი იღებს თითქმის პერ-



პენდიკულარულ მდებარეობას ოოტეკის ზედაპირთან (ფიგ. გ.). სხეულის წვერობიანი ნიმი მოძრაობის შემდეგ წინ და უკან, ფეხები თანდათან თავისუფლდებიან (ფიგ. დ.), ამასთანავე ოოტეკიდან ფეხების საბოლოოდ განთავისუფლებისათვის იხრებიან გვერდები (ფიგ. ე). ამავე დროს ხდება თავის გამუქება, რომელიც მანამდის გამჭვირვალეა. ფეხების პარკიდან განთავისუფლების დასრულებამდის კუბური გადმოწვევა გვერდზე ფიგ. გ.), მცირე ხანს იქნება დაკიდებული ასეთ მდგომარეობაში, შემდეგ საბოლოოდ თავისუფლდება და ხტება ძირს ოოტეკიდან.

მ ს ა ზ ლ გ რ ე ლ ო ბ ი თ ი ტ ა ბ უ ლ ა

- 1 (26). წინა ბარძაყები ქვევით შიგნითა კიდევ ერთგვარი ან თანმიმდევრობითი დიდი და პატარა ეკლებით. უღვაშები უბრალო.
- 2 (11). წინაზურგი ვიწრო, წინა წვივებზე არა უგრძესი.
- 3 (4). უკანა თათების პირველი სეგმენტი წაგრძელებული, თითქმის უდრის სიგრძით დანარჩენებს ერთად აღებულს. ზედაქერეჭები და ქერეჭები სავსებით განვითარებულნი, გამჭვირვალენი მურა ფერის ლაქებით. მორჩუნო მურა ფერისა. დედლები უფრო დიდია მამალზე, უფრო მსხვილი წინაზურგით და წინა ბარძაყებით. სხეულის სიგრძე: ♂ 14,5 მმ., ♀ 16 მმ. — შუა აზია.

[*Armene atata* Saus.]

- 4 (3). უკანა თათების წინა სეგმენტი მოკლე, ოდნავ გრძელი თითოეული მომ-
- 5 (8). თვალები დენოზე. მომრგვალო — უკანა წვივები ბალნიანი. ზედაქერეჭები და ქერეჭები ♂ კარგად განვითარებული, ♀ დამოკლებული.
- 6 (7). წინაზურგი მცირედ გაფართოებული წინა ნაწილში, ჩვეულებრივ მუქი სიგრძივი ზოლით. წინა ბარძაყები სუსტად გაფართოებული, უკანა — ვიწრონი. მუცელი ♀ არაგაფართოებული თითქმის ცილინდრული. ცერკები ♂ გენიტალურ ფირფიტაზე უფრო გრძელი. ზედაქერეჭები და ქერეჭები ♀ ერთფერი, რუხი ან მურა ფერისა. ზედაქერეჭები ♀ მუქი მურა ფერისა, ქერეჭები წინამხრიდან ყვითელი, ანალური არე იისფერ-მურაფერისა. სხეულის სიგრძე 20-23 მმ. — სამხრ. ევროპა, სსრკ ევროპული ნაწილის სამხრეთი, თურქმენისტანი.

[*Ameles decolor* Charp.]

- 7 (6). წინაზურგი ძლიერ გაფართოებული წინა ნაწილში, ერთფეროვანი. მუცელი ♀ გაფართოებული თითქმის რომბული, თვალები მცირე გლუვი არით მწვერვალოზე. ზედაქერეჭები ♂ მომწვანო ან მკრთალი ფერისა თუთრი წინა კიდით, ♀ კი მკრთალი-მომწვანო ან ყვითელი. სხეულის სიგრძე ♂ 22-23 მმ, ♀ 18 მმ. ხმელთაშუა ზღვის მხარეები.

[*Ameles abjecta* Cyr.]

- 8 (5). თვალები კონუსური, გლუვი ბორცვით მწვერვალოზე წინაზურგი მცირედ გაფართოებული წინა წვივების დასაბამზე და ჰორიზონტულ გაშლილი ფერდის კიდევ განივი ღარის პირდაპირ, ♀ უკანასკნელი კბილაკებიანი აქვს, ზემოთ მუქ წერტილებით. ზედაქერეჭები და ქერეჭები ♂ მოთეთრო წინა კიდით და მუქი ძარღვებით, ზედაქ-

რეკები ♀ წაგრძელებულ-ელიფსური, მათი უკანა კიდე სტერნიტის მუცლის პირველ სტერნიტს.

- 9 (10). მუცელი ♀ ბოლოში მნიშვნელოვნად გაფართოებული. პირველი სეგმენტი შუა და უკანა თათებისა გამსხვილებული და მეორეზე მოკლე. სხეულის სიგრძე ♂ 22 მმ., ♀ 27 მმ. — ყირიმი.

(*Parameles taurica* Held).

- 11 (2). წინაზურგი უფრო გრძელია წინა ბარძაყებზე.
10 (9). მუცელი ♂ თანდათან უფიწროვდება ბოლოში. პირველი სეგმენტი შუა და უკანა თათებისა მეორეზე უფრო სქელი და გრძელი არ არის. სხეულის სიგრძე ♂ 25 მმ., ♀ 27 მმ. — საბერძნეთი, კვიპროსი, სირია, მცირე აზია.

(*Parameles heldreichi* Br. Watt.).

- 12 (19). ანალური ფირფიტა მოკლე, დამრგვალებული.
13 (18). შუა და უკანა ბარძაყები მწიფრვალის ეკლით. წინაზურგის უკანა ნაწილი ♂ უკილოთ სტიგმა ნათელი, თეთრი.
14 (15). უკანა ბარძაყების მუხლის ლაპოტები სამკუთხოვანი, ხშირად წაწვეტიანებული. უღვაშებსა და თვალებს შუა თითო ბორცვი. წინაზურგი ♀ კილით, რის წინა ნაწილის შუაადგილი მარცვლოვანი. წინაზურგი ♂ უკილოთ გლუვი კილით. ზედაქერეკები სახვებით განვითარებულნი აშკარა თეთრი თვალით, ♀ ერთგვარად შეღებილი, ♂ უკანა ნახევარში მინისებრ-გამჭვირვალე. სხეულის სიგრძე 57 — 77 მმ.

Sphodromantis bioculata Burm.

- 15 (14). უკანა ბარძაყების მუხლის ლაპოტები დამრგვალებულნი. უღვაშებსა და თვალებს შუა ბორცვები არ არის. ♀ წინაზურგის შუაადგილი არ არის მარცვლოვანი.
16 (17). წინაზურგი წინამხრით ოვალურად გაფართოებული, შემდეგ გადადის ვიწრო ნაწილში, რომლის უმცირესი სიგანე ფუქსტანაა, გვერდის მხარეები კბილაკებიანი ზედაქერეკები ნახევრად გამჭვირვალე, ტყავისებრი კილის არით და თეთრი თვალით. ქერეკები გამჭვირვალე, მუცელი ♀ ძლიერ გაბერილი. წინა ბარძაყები ერთნაირად ფართო, სხეულის სიგრძე 59 — 75 მმ. — შუა აზია.

[*Hierodula tenuidentata* Sauss.].

- 17 (16). წინაზურგი სახელურით გაფართოებული ნაწილის უკან. ბარძაყის კიდეები ♂ გლუვი, ♀ დაკბილული, კილი ♂ ჩლუნგი, ♀ ბასრი. ზედაქერეკები კილითი არეზე არაგამჭვირვალე, დანარჩენ ნაწილში მინისებრ-გამჭვირვალე. წინა და შუამკერდი ძოწეულის ფერის წერტილებით. უკანა ბარძაყები ქვევიდან მურა-ძოწეულის ფერისა. სხეულის სიგრძე ♂ 65 მმ., ♀ 52 მმ.

Hierodula transcaucasica Brunn.-Watt.

- 18 (13). შუა და უკანა ბარძაყებზე თხემის ეკალი არ არის. წინაზურგის უკანა ნაწილი ♂ კილით. სტიგმა გაურკვეველი; მწვანე. მწვანე ან მურა



ფერისა. თხემი გამოზურთული. ზედაქერეჭები მუცელზე, გარდა მუცლისა, ანაბეჭდოვანად, ანაბეჭდოვანად, მათი წინა კიდე მკრთალი ან კიდე არე და ძარღვები მურა ფერისა, ან ზედაქერეჭები მურა-ყვითელი. წინა ბარძაყები შავი და მომწვანო ეკლებით შიგნითა მხარეზე. წინა წვივები თანმიმდევრობითი შავი ლაქით ქვემოდან, ხანდახან თეთრი თვალთ ლაქის შუა ადგილას. სხეულის სიგრძე ♂ 40—61 მმ, ♀ 48—76 მმ.

Mantis religiosa L.

- 19 (12). ანალური ფირფიტა წაგრძელებული, სამკუთხოვანი ან ტრაპეციისებრი.
- 20 (21). ანალური ფირფიტა ტრაპეციისებრი. თვალები გამოზურთული ბორცვით შუაში. უღვაშები ბანჯგვლიანი. სხეული თხელი. ზედაქერეჭები და ფრთები გამჭვირვალე, შავი ხაზებით ძარღვებზე, არ აღწევენ მუცლის მწვერვალს, სხეულის სიგრძე (?).

Ocythopsis turcomaniae Sauss.

- 21 (20). ანალური ფირფიტა წაგრძელებული სამკუთხოვანი.
- 22 (23). პირველ სეგმენტი უკანა თათებისა მოკლე, ქვევიდან უეკლოდ. პირველი ეკალი ეკლების შუა რიგიდან წინა ბარძაყზე შეწყულია შიგნისაკენ. ფრთები მრავალფეროვანი მურა-იისფერი ლაქით შუაში და მისგან აქეთ-იქით გამოსული რადიალური განივი ზოლებით. ზედაქერეჭები და ქერეჭები ♀ დამოკლებული. სხეულის სიგრძე ♂ 28—42 მმ., ♀ 32—49 მმ.

Iris oratoria L.

- 23 (22). უკანა თათების პირველი სეგმენტი ძლიერ გრძელი.
- 24 (25). უკანა თათების პირველი სეგმენტი ქვევიდან უეკლო. გენიტალური ფირფიტა უეკლო ზედაქერეჭები და ქერეჭები ორთავე სქესს დამოკლებულნი. ზედაქერეჭები ოვალური, მწვერვალზე წამახვილებული, არ აღწევენ მწვერვალს ზურვის მეორე სტერნიტს მუცლისას, რუხი-მურა ფერისა, მთლიანი ან წყვეტილი მუქი რგოლით შუაში. ანალური ფირფიტა წაწვეტიანებული. მუქი რუხი. სხეულის სიგრძე ♂ 35—42 მმ, ♀ 36—56 მმ.

Bolivaria brachyptera Pall.

- 25 (24). უკანა თათების პირველი სეგმენტი ქვევიდან ეკლებით. გენიტალური ფირფიტა ♀ 2 ეკლით. ზედაქერეჭები და ქერეჭები ♂ სახეებით განვითარებულნი, აღწევენ მუცლის ბოლოს, რუხი, მურა ფერის ორი ლაქათი შუაში, ♀ დამოკლებული, აღწევენ მუცლის მესამე სტერნიტს, მომურო ფერისა შავი ლაქით უკანასკნელ მესამედში, რომლის ორთავე მხარეს განაწილებულია 2 რკალისებრი შავი ზოლი. ქერეჭები ბოლოში ორად გაყოფილი დისკოიდალური ძარღვებით, თეთრი ზოლით ქერეჭის უკანასკნელ მესამედში, რომელსაც ორის მხრით შემოყვება შავი ზოლი. სხეულის სიგრძე ♂ 58 მმ. ♀ 61—66 მმ. — ხმელთაშუაზღვის ქვეყნები, თურქესტანი.

[*Fischeria baetica* Ramb.].

- 26 (1). წინა ბარძაყებს შიგნითა კიდეზე ურიცხვი გრძელი ეკლების გარდა აქეთ აგრეთვე უფრო მოკლე ეკლები, ჩვეულებრივ, რიცხვით სა-



მამდის. უღვაშები ♂ ორად გადაყოფილი. წინა ზურგი გრძელი, შევიწროებული ნაწილი უფრო მეტ, ვიდრე 3-ჯერ გრძელია გაფართოებულზე, გვერდის კიდეები არაა გაფართოებული. წინა ბარძაყები ხევით ულაპოტოთ, შუა და უკანა უბრალო ლაპოტებით. მუცლის რგოლებს აქვთ ლაპოტები გვერდებზე და შუაში.

27 (30). თხემის ამონაზარდი შუაში ორთავე მხრით კბილაკით, რომელიც მწვერვალზე ორად გაყოფილი აქვს ორთავე სექსისას.

28 (29). თხემის ამონაზარდს შუაში თითოეულ მხრით ბლაგვი კბილაკი აქვს, თხემის ამონაზარდის მწვერვალზე ორი ჰორიზონტული, ბოლოში დაბლაგვებული ფირფიტაა. შუა და უკანა ბარძაყები დიდი მომრგვალებული ლაპოტებით შავი ლაქებით მათზე. ლაპოტები მუცლის გვერდებზე მომრგვალებული. ფრთების წვერი მოწითალო. მომწვანო-ყვითელი. სხეულის სიგრძე ♂ 60 მმ, ♀ 65—72 მმ. ბალკანეთის ნახევარკუნძული, მცირე აზია, ეგვიპტე.

[*Empusa fasciata* Brulle].

29 (28). თხემის ამონაზარდი შუაში თითოეულ მხრით წვეტიანი კბილაკით, წვეროზე გვერდების მხრით ორი შეჭყლეთილი ეკლისებური ლაპოტით. შუა ბარძაყები მცირე ლაპოტებით, უკანანი ულაპოტოდ. მუცლის ლაპოტები წამწვეტიანებული. სხეულის სიგრძე ♂ 47—60 მმ, ♀ 47—67 მმ.

Empusa tricornis Goetze.

30 (27). თხემის ამონაზარდი ზუაში უკბილაკებოდ, მწვერვალზე ორად გაყოფილი აქვს მხოლოდ ♀, ვიწრო წამწვეტიანებული და გვერდების მხრით შეკმუნხული ფირფიტებით, ♀ ამონაზარდის წვერო წამწვეტიანებული და ქვევით მოხრილი. შუა ბარძაყები ძლიერ მოკლე ლაპოტებით, უკანები ულაპოტოდ. მუცლის ლაპოტები წამწვეტიანებული სხეულის სიგრძე ♂ 55 მმ., ♀ 60 მმ.

(*Empusa pennicornis* Pall).



Р. Ф. САВЕНКО (Тбилиси)

РАСПРОСТРАНЕНИЕ НА КАВКАЗЕ ПРЕДСТАВИТЕЛЕЙ БОГОМОЛОВЫХ (MANTODEA)

(С табл. II).

Существующие в литературе данные о распространении богомолых на Кавказе и в сопредельных странах весьма скудны: старые данные сведены в книге Якобсона и Бианки (1) и при том большей частью в общей форме, требуют уточнения местонахождений, а иногда и подтверждения их наличности в нашей фауне. В новейшей литературе мы имеем лишь указания на отдельные виды в работах Adelung'a (2), Burra (3), Уварова (4) и Шугурова (5)¹. Изучение коллекционного материала (Музей Грузии, Музей Армении, Зак. НИХИ) позволяет нам уже дать приближенную картину распространения в крае видов этой группы. К сожалению, материал этот все же недостаточно обилен и особенно затруднило работу отсутствие во многих случаях надежного сравнительного материала из Южной Европы и Средней Азии, а потому в отношении некоторых наших видов пришлось воздержаться от окончательного суждения.

1. *Parameles* sp.

В коллекциях Музея Грузии имеется один ♀ из Кировобада (18. IX, В. Арцимович) и одна ♀ из Нахкрая (Верх. Акулисы 28. IV. 16, Винокуров). Оба эти экземпляра вероятно относятся к одному и тому же виду, возможно новому.

Уточнить этот вопрос очень трудно сейчас за неимением сравнительного материала—видов *P. heldreichi* Br. Watt. и *P. taurica* Jak. От описания того и другого вида наши экземпляры в большей или меньшей степени отклоняются.

¹) Нельзя не отметить здесь одного литературного курьеза. В 1930 году (Журнал Тропической Медицины, стр. 48) К. А. Плавтов описывает новый оригинальный вид богомола, обнаруженный им в Нахичевани на Араксе, отличающийся „от обыкновенных жующих богомол“ своим ротовым аппаратом „приспособленным для укола и высасывания содержимого из пойманных им насекомых“. Автор предлагает для него свое название „Mantis suctoria“ и подробно описывает. Описание настолько удовлетворительно, что на основании его легко установить, что перед автором были экземпляры клопа—вида довольно своеобразного, относящегося к роду *Ploiariola* (может быть даже *Pi. domestica* L.).

(?) 2. *Sphodromantis bioculata* Burm.

Вид этот указывается Burr'ом, как обыкновенный для Тбилиси и Геок-тапы. Указания несомненно ошибочные, т. к. в наличных материалах нет ни одного экземпляра этого вида, но зато обыкновенным здесь и там является габитуально сходный с ним — *Hierodula transcaspica* Brunn. Watt., к которому по нашему мнению и надо отнести показания Burr'a. У Якобсона и Бианки приводятся для *Sph. bioculata* местонахождения: Грузия и Новороссийск (первоисточник остался мне неизвестным). Хотя, судя по распространению *S. bioculata* (Испания, север. и сред. Африка, Сирия и М. Азия), нельзя отвергать возможность наличия этого вида в фауне Закавказья, но сомнение в правильности показания для Грузии и особенно Новороссийска остается очень сильное, и впредь до подтверждения в новейших материалах оставляем этот вид в перечне кавказских богомолых под вопросом.

 3. *Hierodula transcaspica* Brunn.-Watt.

Аз.: Геок-тапа VII—IX (большая серия экз., Шелковников), Ленкорань VIII (Пастухов). — Гр: Тбилиси VI—VIII (Уваров, Зайцев), Караязы VI—X (Зайцев). — Иран: Астрабад IX—X (Пастухов, Натензон).

| D | 60 mm (1) | e | 20 mm (0,33) |
| h | 29 „ (0,49) | o | 14 „ (0,23) |

მე აქ ვუახლოვებ *P. liptoviensis* Zeuch. sp-ს ერთ ნიმუშს, რომელიც შიგნით კალაპოტის სახითაა, და კარგად დაცული. ნამარხს მაღალი და პრტყელი ხვეულები და ვიწრო უმბო ახასიათებს.

ნიმუშის მოკაზმულობა შედგება მრავალი, ნამგლისებური სალტეებისაგან. თვითოეულს მათგანს თან სდევს ერთი ან იშვიათად ორი, გრძელი წიბო, რომლებიც უმბოს კაბრასთან იწყებიან და ორ ან სამ ტოტად იყოფიან; დატოტე ხვეულის სიმაღლის ნახევარზე ხდება.

საცხოვრებელი კამერა ნიმუშს არ შერჩენია.

ტიხრის ხაზი კარგად სჩანს ნამარხის მთელ ზედაპირზე. იგი გვიჩვენებს (სურ. 8) ღრმა სიფონურ უბეს, სიმეტრიულ გარე უნაგირას, შედარებით განიერ გვერდის უბეს და შემდეგ შესუსტებულ და ნაკლებად სიმეტრიულ ელემენტებს.

ტიპიური *P. liptoviensis* Zeuch-სგან (იხ. v. Koenen — Ammon. Neoc. S. 62, Taf. 43, Fig. 1 a. b.)



სურ. 8.

ნიმუში განსხვავდება უფრო მცირერიცხოვანი და უფრო წვრილი წიბოებით. კიდევ უფრო განსხვავდება იგი ფალოტის მიერ დასურათებულ ნიმუშისაგან (იხ. Fallot, Gargassien bath. alpin, p. 259, pl. I fig. 5-6) თავისი მაღალი და პტყელი ხვეულებითა, უფრო ვიწრო უმბოთი და ხშირი სალტეებით.

ამავე სახელწოდებით მე აღწერილი მაქვს (Ann. apt. p. 182) ერთი ნიმუში, რომელიც, როგორც ეხლა ვფიქრობ, ტიპიურ ფორმას უფრო შორდება. ადგ. — სტ. ბესტრაშნია (ლისია გორი) ყუბანი, კოლ. — ივანოვის.

Puzosia daghestanica n. sp.

ტაბ. IV, სურ. 4.

1895. *Dermoceras Parandieri* Kossmat: Sudindische Kreideformation, S. 121, Taf. XIII, Fig. 7 a-b.

ზომები:


| | | |
|-------------|-------------|-------------|
| D | 32 mm (1) | 36 mm (1) |
| h | 14 „ (0,44) | 16 „ (0,44) |
| e | 12 „ (0,37) | 13 „ (0,56) |
| o | 8 „ (0,25) | 9 „ (0,26) |



ქართული
ენციკლოპედია

ჩემს ხელთ არის რამოდენიმე კარგად ადკული, თუმცა არამთლიანი ნიმუში. ხვეულები მაღალი არიან, მათი უმეტესი სიგანე ჯერ ფერდების შუა სიმაღლეზეა, ხოლო შემდეგ უმბოსკენ გადაადგილდება. უმბო პატარაა, ოდნავ მორგვალეებული კაბრით.

ნიჟარის მოკაზმულობა შედგება მრავალი (11 თითო ხვეულზე) მოკლე, ნამგლისებური სალტეებისგან, რომლებიც უფრო მკვეთრად ჩანან ხვეულების გარე მხარეზე. თითოეულ მათგანს ორივე მხრით თითო კვალი ახლავს, რომელთაგან უკანა წინაზე ღრმაა. ამ სალტეების შორის ვითარდება 6—7 წვრილი ნამგლისებური წიბო, რომლებიც კვალს მხოლოდ შიგა კალაპოტის გარე მხარეზე სტოვებენ.



სურ. 9.

საცხოვრებელი კამერა ცნობილი არაა. ტიხრის ხაზი (სურ. 9) კარგად ჩანს ნიმუშ B-ზე. იგი 5-ი ელემენტისგან შედგება და გვიჩვენებს ღრმა სიფონურ უბეს, სიმეტრიულ უნაგირებს და სიფონურზე ოდნავ ღრმა გვერდის უბეს.

საერთოდ ნიმუშები ეთანაბრებიან კოსსმატის მიერ დასურათებულ ფორმას, რომელიც აკუმას (დალესტანი) მიდამოებიდანეა. კოსსმატი ამ ფორმას უთანაბრებს *D. Paradieri* d'Orb. sp-ს (ალბური ფორმა), რაც მე სწორედ არ მიმაჩნია. დ'ორინის ფორმას უფრო დაბალი ხვეულები, უფრო მსხვილი სალტეები აქვს და ამასთანავე წიბოების კვალები შიგა კალაპოტზე იქ არ ჩანან.

რსც. — 3, ადგ. — აკუმა (დალესტანი). კოლ. — კომაროვის.

ოჯ. Hoplitidae

გვ. Douvilleiceras de Grossouvre 1893

Douvilleiceras Abrechtii-Alustriiae Hoh. sp.-ს ჯგუფი

Douvilleiceras aff. Cornuelli d'Orb. sp.

ზომები:

| | | | |
|-------------|-------------|-------------|--------------|
| D | 50 mm (1) | e | 30 mm (0,60) |
| h | 20 „ (0,40) | o | 29 „ (0,40) |

ნიმუში განსხვავდება დ'ორინის ტიპისგან უკანასკნელი ხვეულის ნაკლები სიგანითა და რამოდენიმედ მოკაზმულობით. ახალგაზდა ფაზაში, ნიმუშს ახასიათებენ ზედა კაობიდან ორად დატოტვილი მსხვილი, მთავარი წიბოები, რიცხვით 12—13-მდე, ორ ასეთ წიბოს შუა ვითარდება ერთი ან ორი ჩანამატი უკაობო წიბო. განსხვავება ძლიერდება 30 mm-ის დიამეტრიდან აქ ორ მთავარ წიბოს შუა მხოლოდ ერთი წიბოა და გარდა ამისა, უკანასკნელ ხვეულზე ორი მთავარი წიბო სამტოტიანია.

უმბო საშფაქო ზომისაა.



საცხოვრებელი კამერა მხოლოდ ნაწილობრივ შერჩენია ნიმუშს.
ტიხრის ხაზი ცუდათ ჩანს.
ადგ. — აკუშა (დალესტანი). კოლ. — კომაროვის.

Douvilleiceras Cornuelli b'Orb. sp. v. *pygmea* Nikh.

- 1897 *Acanthoceras Cornuelli* Karakasch: Dépôts Crét. du Caucase, p. 26,
pl. IV, fig. 4-5 et 8.
1897 *Aspidoceras* cfr. *Royeri* Karakaseh: Ib. 28, pl. IV, fig. 11.
1914 *Douvilleiceras Cornuelli* d'Orb. v. *pygmea* Nikhitch: *Douvilleiceras*.,
p. 17, pl. I, fig. 2-8.
1933 " " Rouchadzé: *Amm. apt.* p. 189, pl. II fig. 8-12.

ზომები:

| | | | |
|-------------|--------------|-------------|-------------|
| D | 16 mm (1) | e | 8 mm (0,50) |
| h | 6,5 " (0,40) | o | 6 " (0,38) |

ნიმუში კარგად დაცული და ნიჟარიანი არის. ხვეულების სიგანე სიმაღლეს სჭარბობს, თუმცა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ტიპიურ ვარიეტეტში. უმბო საშუალო ზომისაა.

მოკაზმულობა შედგება 12 მსხვილი წიბოსაგან თითო ხვეულზე. ისინი მარტივი არიან და კარგად ემჩნევათ ზედა კოპები. ხოლო ქვედა კოპები იშვიათი არიან და მეტად წვრილი, თვითოეულ ასეთ წიბოს მოსდევს ერთი ჩანამატი უფრო წვრილი წიბო.

ნიმუშს იშვიათად ემჩნევა ფორმის დამახასიათებელი ტრანსიერსული კვალები.

საცხოვრებელი კამერა დაცული არაა. ტიხრის ხაზი ჩვეულებრივია.

მიუხედავად იმისა, რომ ტრანსვერსული კვალები კარგათ გამოსახული არ არიან, ეს ნიმუში საერთოდ უნდა ეკუთვნოდეს *D. Cornuelli* d'Orb. v. *pygmea* Nikh. ადგილი — აკუშა (დალესტანი). კოლ. — კომაროვის.

Douvilleiceras seminodosum Sinz.

- 1906 *Douvilleiceras seminodosum* Sinzow: *Douvilleiceras*-Arten S. 165, Taf. I.
Fig. 3-6.
1913 " " Kilian: *Uuterkreide*, S. 349. Taf. IX, Fig. 1-2.
1913 " " Sinzow: *Kreide des Nordkavkasus*., S. 105,
Taf. V, Fig. 2 a-q.
1914 " " Kasansky: *Céphalopodes*., p. 64, pi. III,
fig. 43-43.




1914 *Douvilleiceras seminodosum* Nikchitch: *Douvilleiceras*., p. 20.
 1933 " " Rouchadzé: *Ammon. apt.*, p. 190, pl. III fig. 1,

ზომები:

| | | | |
|-----------|-------------|-----------|--------------|
| D | 89 mm (1) | e | 45 mm (0,50) |
| h | 36 " (0,40) | o | 27 " (0,30) |

ხვეულების განაკვეთი ნიმუშებში ოდნავ უფრო განიერია, ვიდრე მაღალი, რაც შეეხება მოკაზმულობას, *D. Seminodosum* Sinz-ში იგი საკმაოდ ცვალებადია: ზოგიერთი ნიმუშებზე კოპები მოზდილ ფაზაშიაც არსებობენ. ხოლო სხვებში მეტად თუ ნაკლებად აღრე ჰქვრებიან. ჩემს ნიმუშზე უმბონური კოპები 70 mm დიამეტრზე კიდევ ჩანან. უმბო საშუალო ზომისაა, მორგვალებული კაბრიით.



სურ. 10.

საცხოვრებელი კამერა მხოლოდ ნაწილობრივ არის დაცული. ტიხრის ხაზი (სურ. 10) სავესებით ტიპიურია.

საერთოდ, ეს ნიმუში თანაბარია სინცოვის მიერ დასურათებული ნიმუშის (*Douvilleiceras-Arten.*, Taf. I, Fig. 3 a-c).

აღვ.—სტ. ბესტრაშნაია, (ლისია გორი) ყუბანი. კოლ.— იფანოვის.

Douvilleiceras Martini d'Orb. sp.-ს ჯგუფი.

Douvilleiceras subnodosocostatum Sins.

1906 *Douvilleiceras subnodosocostatum* Sinzow: *Douvilleiceras-Arten.*, S. 175, Taf. V, fig. 1-8.
 1906 " " Jacob et Tobler: *Engelberger Aa*, p. 14, pl. I, fig. 4-6.
 1914/ " " Nikchitch: *Douvilleiceras* p. 40, pl. VI, fig. 4-7.
 1913 " " Rouchadzé: *Ammon. apt.* p. 195.

ზომები:

| | A | B | C |
|-----------|-------------|-------------|-------------|
| D | 30 mm (1) | 35 mm (1) | 38 mm (1) |
| h | 14 " (0,56) | 15 " (0,42) | 16 " (0,42) |
| e | 18 " (0,60) | 20 " (0,56) | 20 " (0,52) |
| o | 10 " (0,33) | 12 " (0,34) | 11 " (0,29) |

ჩემს ხელთაა რამოდენიმე ტიპიური, მაგრამ არამთლიანი ნიმუში, რომლებიც განიერი ხვეულებითა, საშუალო ზომის უმბოთი და ცვალებადი მოკაზმულობით ხასიათდებიან.



დასაწყისის ხვეულებზე მოკაზმულობა შედგება იშვიათი მთავარი, კოპებოვანი წიბოებისგან, რომელთა შორის რამოდენიმე იმდენად წვრილი წიბო ჩანს, რომ შიგა კალაპოტზე; მათი კვადები თითქმის არ შეიმჩნევიან. შემდეგ, ინდივიდუუმის 15 mm-ის დიამეტრიდან, მოკაზმულობა იცვლება: მთავარი წიბოების რიცხვი მატულობს, ხოლო ჩანამატების ჯერ კლებულობს და შემდეგ 0-ზე დადის. უკანასკნელ შემთხვევაში მთავარი წიბოები ორ ტოტად იყოფიან, ამათგან წინა ტოტი მსხვილ სიფონურ კოპებს ატარებს, ხოლო უკანა უკოპოდ რჩება.

საცხოვრებელი კამერა დაკული არ არის. ტიხრის ხაზი ჩვეულებრივია.

შიგა ხვეულების განაკვეთით და მოკაზმულობით, ეს სახე მოგვაგონებს *D. Waageni* Anth. sp. (იხ. ქვემოთ) და *D. Tschernyschewi* Sinz. მაგრამ გარეგანი ხვეულებით ძლიერ განსხვავდებიან მათგან.

რიც. — 6. ადგ. — კისლოვოდსკის მიდამ., კოლ. — სიმონოვიჩის. (ნიმუშები ამოტეხილ იქნენ ბლოკიდან, რომელიც Mus. cauc. t. III-ში აღნიშნულია გვ. 225, № 145-ით).

Douvilleiceras subnodosocostatum Sinz
v. *hexagonum* n. v.

ტაბ. II, სურ. 3.

1908 *Douvilleiceras* aff. *subnodosocostatum* Wassiliewskii: Couches à Douvilleiceras de Saratow..., p. 41, pl, III fig, 2 a-b, 3 a-b.

ზომები:

| | A | B |
|-------------|-------------|-------------|
| D | 21 mm (1) | 27 mm (1) |
| h | 10 „ (0,46) | 11 „ (0,44) |
| e | 15 „ (0,71) | 18 „ (0,66) |
| o | 7 „ (0,33) | 8 „ (0,33) |

ახალგაზრდა ფაზაში, 10—15-mm-ის დიამეტრამდე, ნიმუშები ეთანაბრებიან *D. subnodosocostatum* Sinz-ის ტიპურ ფორმას. ისინი ხასიათდებიან განიერი ხვეულებითა, რომელთა მოკაზმულობას შეადგენენ იშვიათი, მსხვილი, სამწყვილ კოპებიანი და ძლიერ წვრილი, მეტადრე შიგა კალაპოტზე, ჩანამატი წიბოები. ხსენებულ დიამეტრის შემდეგ, კოპების განვითარების გამო, ხვეულის განაკვეთი ექვსკუთხიან ფორმას იღებს. ამავე დროს მოკაზმულობაც იცვლება და ერთგვაროვანი ხდება. მთავარი, კოპებიანი, წიბოები ხშირი ხდებიან და ორ ტოტათ იყოფიან, მაგრამ წინა ტოტი იმდენად წვრილია, რომ ძნელად შეიმჩნევა. ჩანამატი წიბოები გამონაკვლისის სახით გვხვდებიან; ისინი იწყებიან უმბონურ კაბრასთან და ატარებენ გარეთა და სიფონურ კოპებს.

საცხოვრებელი კამერა უცნობია. ტიხრის ხაზი ჩვეულებრივია.



ჩემი ნიმუშები სავსებით ეთანაბრებიან ვასილევსკის მიერ *D. subnodocostatum*-ის სახელწოდებით აღწერილ ფორმას, რომელსაც მე ცალკე ვარიეტად ვოვლი.

რიც. 2. ადგ. (კისლოვოდსკი). კოლ.—სიმონოვიჩის.


Douvilleiceras pusillum Sinz.

- 1906 *Douvilleiceras subnodocostatum* Sinz. v. *pusilla* Sinzow. *Douvilleiceras*-Arten, S. 180, Taf. II. Fig. 9-10,
 1906 " " Sinz. v. *pusilla* Jacob et Tober: *Engelberger* Aa, p. 15, pl. I, fig. 12-14.
 1914 " *pusillum* Kasansky: *Céphalopodes*., p. 57, pl. II, fig. 30-32.

ზომები:

| | | | |
|-------------|-------------|-------------|-------------|
| D | 17 mm (1) | 20 mm (1) | 27 mm (1) |
| h | 8 " (0,47) | 8 " (0,40) | 12 " (0,43) |
| e | 11 " (0,64) | 11 " (0,55) | 15 " (0,55) |
| o | 6 " (0,34) | 6 " (0,30) | 8 " (0,30) |

D. pusillum Sinz'-ის დასაწყისი ხეულებით ძლიერ გავს *D. subnodocostatum* Sinz-ს განსხვავება მხოლოდ 10—15 mm-ის დიამეტრიდან იწყება, როდესაც ხეულები ელიპსიურ განაკვეთს იღებენ და მათი მოკაზმულობაც დამახასიათებელი ხდება. მთავარი, მარტივი, წიბოები სამ წყვილ კოპს ატარებენ, რომელთაგან სიფონურნი ტრანსვერსულად არიან გაგრძელებული. ჩანამატი წიბოების რიცხვი ორ მთავარ წიბოს შორის 2—4-მდე აღწევს. ყველა წიბო წინწახრილია.



სურ. 11.

საცხოვრებელი კამერა არც ერთ ნიმუშზე არ არის დაცული. ტიხრის ხაზი (სურ. 11) ჩანს მხოლოდ პატარა ნიმუშზე (A) და ძლიერ ჰგავს *D. subnodocostatum* Sinz.-ის ტიხრის ხაზს.

რიც.—3, ადგ.—კისლოვოდსკი, კოლ.—სიმონოვიჩის. (ნიმუშები ამოტეხილ იქნენ ბლოკიდან, რომელიც აღნიშნულია Mus. cauc. t. III-ში გვ. 223, № 145-ით).

Duvillæiceras Waageni Anth. sp.

- 1899 *Pachyiscus* (?) *Waageni* Anthula: *Kreidefossilien*., S. 106, Taf. IX, Fig. 1 a-b.
 1906 *Douvilleiceras Meyendorffi* d'Orb. sp. v. *Waageni*. Sinzov: *Douvilleiceras*-Arten., S. 164, Taf. I, Fig. 10.

- 1907 *Acanthoceras Waageni* Papp, in Dechy: *Kaukasus, Rd. III, S. 169,*
Taf. X, Fig. 1-1a.
1914 *Douvilleiceras Waageni* Kasansky: *Céphalopodes, p. 61.*
1914 " *Tschernyschevi* Nikchitch: *Douvilleiceras, p. 25, pl. III,*
fig. 1-2. pl. V et. VI.

ზომები:

| | A | B |
|-------------|--------------|--------------|
| D | 225 mm (1) | 300 mm (1) |
| h | 102 " (0,26) | 125 " (0,40) |
| e | 125 " (0,51) | 140 " (0,47) |
| o | 95 " (0,37) | 100 " (0,33) |

ზოგიერთი, ავტორების მიერ *D. Tschernyschavi* Sinz.-ის სახელწოდებით აღწერილი ნიმუშები იმდენად დაკავშირებული არიან *D. Maageni* Anth-სთან საერთო შეხედულებით, მოკაზმულობით, ხვეულების განაკვეთითა და დახვევით, და აგრეთვე ტიხრის ხაზით, რომ მათ შორის არსებითი განსხვავებების პოვნა შეუძლებელია. ამიტომ ეს ნიმუშები მიკუთვნებული უნდა იქნენ *D. Waageni* Anth.-ზე. ამ ფორმისა, *D. Meyendorffi* d'Orb. v. *Waageni* Anth. (in Sinzow) და *D. Tschernyschewi* Sinz.-ის დაკავშირების შესაძლებლობაზე უკვე ნიკ-შიჩი მიუთითებდა (loc. cit. p. 37 და 57). მაგრამ ეს დაკავშირება იმ მიზეზით არ მოუხდენია, რომ *D. Waageni* Anth. sp-ის ტიპის შიგა ხვეულების მოკაზმულობა ცნობილი არაა. ჩემი აზრით, აქ საერთო ნიშან თვისებების რაოდენობა იმდენად დიდია, რომ დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას იძლევა.

ჩემ განკარგულებაშია რამოდენიმე დიდი ტანის, კარგათ დაცული და ნაწილობრივ ნიჟარიანი ნიმუში, მათი წინასწარი პრეპარაციამ შესაძლებელი გახადა შიგა ხვეულების შესწავლა. ეს ხვეულები მეტად განიერია და მოკაზმულობა დამახასიათებელი აქვთ. დასაწყისში მთავარი წიბოები იშვიათი და მსხვილი არიან, ისეთნი, როგორც *D. subnodosocostatum* Sinz.-ს ახასიათებენ. მათ შორის ვითარდებიან მეტად წვრილი, შიგა კალაპოტზე თითქმის შეუმჩნეველი ჩანამატი წიბოები. მაგრამ უკვე 15—20 mm-ის დიამეტრზე ინდივიდუუმების მოკაზმულობა და განაკვეთი იცვლება მთავარი წიბოები სამ წყვილ კოპს ატარებენ და იტოტებიან გარეთა კოპიდან ორ წიბოთ, რომელთაგან წინა წვრილია, ხოლო უკანა მსხვილი და ატარებს სიფონურ კოპებს. ამნაირი მოკაზმულობა ინდივიდუუმის 50 mm-ის დიამეტრამდე რჩება. შემდეგ მთავარ წიბოების რიცხვი მატულობს და ისინი სიფონურ და გარეთა კოპებს ჰკარგავენ, ხოლო უმბონური კოპები სუსტდებიან. ამ კოპებიდან წარმოიშობა ორი ან სამი თანაბარი სიდიერის წიბო. თითოეული ამნაირად დატოტვილი მთავარი წიბოს მიჰყვება ერთი ან იშვიათად, ორი ჩანამატი წიბო. შემდეგ, ინდივიდუუმის 60—70 mm-ის დიამეტრზე, უმბონური კოპები ადგილს უთმობენ უბრალო გამსხვილებებს და მოკაზმულობაც ერთგვაროვანი ხდება.



ქართული
საბუნების
მეცნიერებათა
აკადემია

ორ ჩემს ნიმუშს შერჩენილი აქვს საცხოვრებელი კამერა, რომელსაც ცალკე ლოვებით ხვეულის $1/2$ -ი სიგრძე უჭირავს. მათი აპერტურა დაცული არ არის. ტიხრის ხაზი კარგათ არის დაცული და ეთანაბრება *D. Tschernyschewi* Sinz. ტიხრის ხაზს. ეს ნიმუშები სავსებით ეთანაბრებიან ნიკშიციის მიერ ტაბ. II, სურ. 2 და ტაბ. IV და V-ზე დასურათებულ ნიმუშებს, რომლებიც გარდა დიდი ზომებისა არაფრით არ განსხვავდებიან ტიპური *D. Waageni* Anth. sp.-დან. რიც. — 6, ადგ. — აკუშა (დალესტანი), კოლ. კომაროვის.

Douvilleiceras Tschernyschewi Sinz

1906 *Douvilleiceras Tschernyschewi* Sinzow: *Douvilleiceras*-Arten., S. 162, Taf. III, Fig. 2-7 (seuls).
 1904 " " Nikhitch: *Douvilleiceras*. p. 25, pl. II, fig. 2-9.
 1933 " " Rouchadzé: *Ammon. apt.* p. 194.

ზომები:


| | A | | B | |
|---------|-------------|-------------|--------------|--------------|
| D . . . | 60 mm (1) | 120 mm (1) | 200 mm (1) | 295 mm (1) |
| h . . . | 27 " (0,45) | 54 " (0,43) | 90 " (0,45) | 120 " (0,42) |
| e . . . | 28 " (0,72) | 64 " (0,53) | 100 " (0,50) | 136 " (0,46) |
| o . . . | 18 " (0,30) | 40 " (0,33) | 74 " (0,32) | 94 " (0,32) |

ამ ფორმაში ხვეულების მოკაზმულობა უფრო გვიან იცვლება, ვიდრე წინა სახეში, დაახლოებით 70–80 mm-ის დიამეტრზე (ზოგიერთი ნიმუშზე 120 mm-ზედაც). ხვეულების განაკვეთი ნაკლებ განიერია, ხოლო უმბო იგივე რჩება. ამ დიამეტრიდან მოკაზმულობა ერთგვაროვანია: მთავარი წიბოები, რიცხვით 18-მდე ერთ ხვეულზე, კარგავენ თავიანთ სიფონურსა და გარეთა კოპებს და დატოტვა უმბონურ კოპებიდან ხდება. ამნაირ დატოტვით წარმოსდგება 2–3 თანაბარი სიძლიერის წიბო. თვითოეულ მთავარს და დატოტვალ წიბოს მოჰყვება 1–2 ჩანამატი წიბო. ხოლო 100–120 დიამეტრის შემდეგ, უმბონური კოპები შეიცვლება თბრალო გამსხვილებებით და თვით წიბოები ძლიერ მსხვილი ხდებიან და ერთი მეორეს უფრო შორდებიან, ვიდრე *D. Waageni* Anth. sp.-ში.

საცხოვრებელი კამერა არც ერთ ნიმუშს არ შერჩენია. ჩანს ფორმა დიდი ზომის აღწევდა, ვინაიდან თვით 295 mm-იანი დიამეტრის (B) ნიმუში ბოლომდე დატიხრულია.

ნიმუშებს დიდ ნაწილზე დაცული აქვთ ნიჟარა, რომელიც ძლიერ სქელია და სამ ფენას გვიჩვენებს.

ტიხრის ხაზი (სურ. 12) კარგად ჩანს ყველა



სურ. 12.



საქართველოს
საბუნებისმეტყველო
მეცნიერებათა
აკადემია

ნიმუშზე. იგი გვიჩვენებს ღრმა სიფონურ უბეს, მაღალსა და განიერს განიერს უბნად, რომელიც დასურათებული ნიმუში, რომლის თანაბარი არიან ჩემი ნიმუშები. შემცირებულ ელემენტებს.

ამ სახის ტიპად უნდა ჩაითვალოს სინკოვის მიერ ტაბ. III, სურ. 1-ზე დასურათებული ნიმუში, რომლის თანაბარი არიან ჩემი ნიმუშები.

რიც. — 4, ადგ. — დალესტანი, კოლ. კომაროვის.

Douvilleiceras Buxtorfi Jacob et Tobler.

1906 *Douvilleiceras Buxtorfi* Jacob et Tobler: Engelberger Aa, p. 15, pl. I, fid. 9-10.

1914 " " Nikchitch: Douvilleiceras, p. 45, pl. 2, fig. 8-10.

ზომები:

| | A | B |
|-------------|-------------|-------------|
| D | 37 mm (1) | 38 mm (1) |
| h | 15 " (0,40) | 17 " (0,44) |
| e | 20 " (0,53) | 22 " (0,33) |
| o | 11 " (0,30) | 12 " (0,33) |

ნიმუშები კარგად დაცული და მთლიანი არიან. ხვეულების განაკვეთი ელიპსურია და სივანე ასაკის მიხედვით კლებულობს, მაგრამ ყოველთვის სიმალღებზე მეტი რჩება. მოკაზმულობაც ცვალებადია—25—30 mm-ს დიამეტრამდე; მთავარი წიბოების რიცხვი ხვეულზე 16-ს არ სცილდება. ისინი იტოტებიან და წინა ტოტი უფრო წვრილია, ვიდრე უკანა, რომელიც სიფონურ კოპებს ატარებს. თითოეულ მთავარ წიბოს ერთი წვრილი, ჩანამატი, წიბო მოჰყვება. ხსენებული დიამეტრის შემდეგ, მთავარი წიბოების დატოტვა წყდება, გარეთა კოპები ჰქრებიან, ხოლო სიფონურნი უბრალო გამსხვილებებად შეიცვლებიან და ჩანამატი წიბოებიც იშვიათი ხდებიან.

საცხოვრებელი კამერას ხვეულის ნახევარზე მეტი უჭირავს. მას აპერტურა არ შერჩენია. ტიხრის ხაზი ჩანს მხოლოდ შიდა ხვეულებზე. იგი ძლიერ ემსგავსება *D. Waageni* Anth. sp-ის ტიხრის ხაზს. შიგა ხვეულების განაკვეთი, მოკაზმულობა და ტიხრის ხაზი გვიჩვენებს, რომ ეს სახე ენათესავება ზემოთ ხსენებულ *D. Tschernyschewi* Sinz. და *D. Waageni* Anth. sp-ს.

რიც. — 3, ადგ. — კისლოვოდსკი. კოლ. — სიმონოვიჩის.



33. *Acanthohoplites* Sinzow 1907
(Emeud Kilian 1913).

Acanthohoplites aschiltaensis Anth. sp-ის ჯგუფი

Acanthohoplites aschiltaensis Anth. sp.

1899 *Ammonites Milletianus* Abich: Rais cat., S. 17-18, Taf. III, fig. 1.
 1899 *Parahoplites aschiltaensis* Anthula: Kreidofossilien., S. 117. Taf. X, Fig. 2-3. (non Taf. XI Fig. 1).
 1907 *Acanthohoplites aschiltaensis* Sinzow. Amm. Mangyschlacks u. Kaukasus S. 479. Taf. V, Fig. 2-8. (non fig. 1).
 1914 " " Kasansky: Céphalopodes.. p. 67, pl. III, f. 47.
 1923 " " Rouchadzé: Ammon. apt. p. 197.

ზომები:

| | A | B | C | D |
|---------|-------------|-------------|-------------|-------------|
| D . . . | 30 mm (1) | 43 mm (1) | 140 mm (1) | 190 mm (1) |
| h . . . | 13 " (0,47) | 18 " (0,42) | 57 " (0,39) | 77 " (0,40) |
| e . . . | 11 " (0,37) | 17 " (0,39) | 46 " (0,32) | 60 " (0,31) |
| o . . . | 10 " (0,33) | 24 " (0,32) | 47 " (0,31) | 67 " (0,35) |

Ac. aschiltaensis Anth. sp. ტიპად უნდა ჩაითვალოს ანთოულას ნაშრომში ტაბ. X, სურ.—2-3-ზე დასურათებული ნიმუშები, ხოლო ნიმუში, რომელიც დასურათებულია ტაბ. XI, სურ. 1-ზე ცალკე სახეს წარმოადგენს.

მე ხელთ მაქვს ამ სახის რამდენიმე ტიპური ნიმუში: ერთი მადგანი აბიხის კოლექციიდანაა და შეცდომით განსაზღვრულია როგორც *Amm. Milletianus* d'Orb. (loc. cit. Taf. H, Fig. 1).

დასაწყისში ნიმუშების განაკვეთი სწორ კუთხედურია, მორგვალეზული კუთხეებზე, ხოლო მოკაზმულობა გვიჩვენებს, მსხვილ კოპებიან წიბოებსა და ჩანამატ, უფრო წვრილ, უკაპო წიბოებს. მთავარი წიბოების რიცხვი თითოეულ ხვეულზე 10-მდეა. მათი დატოვა კოპებიდან იწყება და ამნაირად წარმოსდგება ორი თანაბარი ტოტი. გარდა ამისა თვითოეულ მთავარ წიბოს მოსდევს ერთი ან ორი ჩანამატი წიბო.

40 mm-ის დიამეტრიდან, ხშირად უფრო ადრეც, ხვეულების განაკვეთი ელიპსური ხდება, და ბოლომდე უფრო მაღალი რჩება, ვიდრე განიერი. რაც შეეხება მოკაზმულობას, იგიც იცვლება: კოპები დასუსტებას განიცდიან და მალე სავსებით ჰქრებიან. მთავარი წიბოების ერთი ნაწილის დატოვა ხდება ხვეულის სიმაღლის ნახევარზე და ამნაირად წარმომდგარი ორივე ტოტი, თანაბარი სიძლიერის არიან. ხოლო მეორე ნაწილი მარტივი რჩება და უკანასკნელ შემთხვევაში

თითოეულ წიბოს მოჰყვება ერთი ჩანამატი, მოკლე, მაგრამ მსხვილი წიბო. ყველა წიბოების რიცხვი მუცლის მხარეზე 62-მდე აღის.



სურ. 13-a.

საცხოვრებელი კამერა, არც ერთ ნიმუშს არ შერჩენია.

ტიხრის ხაზი (სურ. 13a) ეთანაბრება ტიპური ნიმუშის ხაზს.



სურ. 13-b.

ეს სახე ცვალებადობას გვიჩვენებს. სინ-
ცოვს გამოყოფილი აქვს ერთი ვარიეტე-
ტი—v. *rotundata*-ს სახელწოდებით, რომ-
ლის მაგვარი ნიმუშები მოიპოვებიან კომა-
როვის კოლექციაში. მათი ზომები შემდეგი
აა:

| | A | B | C | D |
|---------|-------------|-------------|-------------|-------------|
| D . . . | 21 mm (1) | 26 mm (1) | 40 mm (1) | 46 mm (1) |
| h . . . | 9 „ (0,43) | 11 „ (0,42) | 17 „ (0,43) | 20 „ (0,43) |
| e . . . | 20 „ (0,47) | 12 „ (0,47) | 20 „ (0,50) | 22 „ (0,47) |
| o . . . | 9 „ (0,43) | 11 „ (0,43) | 17 „ (0,44) | 19 „ (0,40) |

ეს ვარიეტეტი ტიპური ფორმისგან განსხვავდება ხვეულების დიდი სიგა-
ნითა და უმბოს მეტი დიამეტრით. ხოლო მოკაზმულობა და ტიხრის ხაზი (სურ.
13b), ისეთივე აქვთ. აქ აღწერილი ნიმუშები ხვეულების ოდნავ მეტი სიგანით
ხასიათდებიან, და უფრო მკვეთრად გამოსახული წიბოებით, მაგრამ ეს განსხვა-
ვებები მე არსებითად არ მიმაჩნია.

რიც. — 8, აღგ. — აკუშა (დადესტანი), კოლ. — კომაროვის. ერთი ნიმუში
აბიხის კოლექციიდან უცნობი ადგილიდანაა და განსაზღვრულია შეცდომით.
როგორც *Amm. Milletianus* d'Orb. (ib. Rais. cat. Taf. II, Fig. 1).

Acanthohoplites sparsicostatus n. sp.

ტაბ. I, სურ. 7.

1899 *Parahoplites aschiltzensis* Anthula: Kreidefossilien., S. 171, Taf. XI,
Fig. 1.



1907 *Acanthohoplites aschiltaensis* Sinzow: Ann. Mangyschlackens. S. 479, Taf. V. Fig. 1.

ზომები:

| D . . . | 150 mm (1) | 200 mm (1) | 250 mm (1) | 264 mm (1) |
|-----------|-------------|-------------|-------------|--------------|
| h . . . | 58 „ (0,38) | 72 „ (0,31) | 76 „ (0,30) | 77 „ (0,28) |
| e | 42 „ (0,28) | 52 „ (0,26) | 66 „ (0,26) | 74 „ (0,14) |
| o | 54 „ (0,34) | 76 „ (0,36) | 94 „ (0,38) | 107 „ (0,40) |

როგორც ზემოდ იყო ნათქვამი *Ac. aschiltaensis* Anth. sp. ერთგვაროვანი სახე არ არის. აქედან *Ac. sparsicostatus* n. sp. სახელწოდებით მე გამოვყოფ ფორმას, რომელიც ანთულას შრომაში ტაბ. XI, სურ. 1-ზეა დასურათებული.

ჩემ ხელთაა ერთი ასეთი დიდი ტანის მთლიანი და კარგად დაცული ნიმუში, რომელიც ასაკის მიხედვით ნიშან-თვისებების ზოგიერთ ცვალებადობას გვიჩვენებს.

ხვეულების განაკვეთი, თუმცა ყოველთვის სწორკუთხედს უახლოვდება და უფრო მაღალია, ვიდრე განიერი, მაგრამ ინდივიდუუმის ზრდასთან ერთად, თანდათანობით, იცვლება იმ მხრივ, რომ მთელი დიამეტრთან შედარებით, მისი სიმაღლე და სივანე კლებულობს, ხოლო უმბო ოდნავ მატულობს. ხვეულები შიგა კალაპოტზე ყოველთვის ნაკლებ მაღალია, და ნაკლებ განიერი, ვიდრე ნიჟარიან ნიმუშზე იქნებოდა, რადგანაც როგორც ალაგ-ალაგ დარჩენილი ნიჟარის ნაშთებიდან ჩანს, იგი (ნიჟარა) სქელია.


ნიმუშის 20 mm-ის დიამეტრამდე მოკაზმულობა ცნობილი არ არის, რადგანაც ხვეულები ამ ადგილას ქანით არიან დაფარული. ხოლო შემდეგ ისინი მკაფიო გამოსახულ მარტივ, მთავარ და ჩანამატ წიბოებს გვიჩვენებს, რიცხვით 60-მდე თვითეულ ხვეულზე. მთავარი წიბოები უმბოს ნაკერთან იწყებიან და უმბონურ კოპისებურ გამსხვილებებს ატარებენ, რომლებიც ალბათ ნიჟარაზე უფრო მოზდილი იქნებიან, ვიდრე ეს ნამარხის შიგა კალაპოტზე ჩანს. ამიტომაც საფიქრებელია, აგრეთვე, რომ შიგა ხვეულებზე, რომლებიც ქანითაა დაფარული, წიბოები კოპებიანი იქნებიან. თვითეული ამნაირი მთავარი წიბოს მიჰყვება ერთი ჩანამატი წიბო. მთავარი წიბოები მალე ჰკარგავენ თავიანთ კოპისებურ გამსხვილებებს და მოკაზმულობა უფრო ერთგვაროვანი ხდება. ამნაირი მოკაზმულობა უკანასკნელ ხვეულამდე გრძელდება, სადაც, მეტადრე საცხოვრებელ კამერაზე, წიბოები ერთი მეორეს ძლიერ შორდებიან და სინუსური სახეს ღებულობენ.

საკმაოდ ცვალებადია აგრეთვე უმბოც, რომელიც ინდივიდუუმის ასაკის მიხედვით ფართოვდება. საერთოთ იგი დიდი ზომისაა და უფრო დიდია შიგა კალაპოტზე, ვიდრე ნიჟარიან ნიმუშზე იქნებოდა.

ნიმუში მთლიანია, მას შერჩენილი აქვს საცხოვრებელი კამერა, რომელსაც ხვეულის ნახევარზე მეტი უჭირავს. მის აპერატურას ოდნავ სინუსური კიდე აქვს. ამ კიდის უკან ორი უკანასკნელი წიბო ერთი მეორეზე ძლიერ დაშორე-

ბულია და მათ შორის მეტად წვრილი, ზრდის ხაზების მაგვარი, წიბოვანი თარღებიან. ეს გვიჩვენებს, რომ ინდივიდუმის ზრდა დამთავრებული არის.

ტიხრის ხაზი კარგად ჩანს (სურ. 14) და ძლიერ მოგვაგონებს *Ac. aschil-taensis* Anth. sp. ტიხრის ხაზს, მაგრამ განსხვავდება მისგან გვერდის უბის ნაკლები სიმეტრიულობით.



სურ. 14.

ამ სახეს უნდა დაუკავშიროთ აგრეთვე ნიმუში, რომელიც აღწერილი და დასურათებული აქვს სინცოვს, ზემო ხსენებულ ნაშრომის ტაბ. V. სურ. 1-ზე და რომელიც არაფრით არ განსხვავდება ამ ფორმისგან, თუ არა უფრო მაღალი ხვეულებითა.

ადგ. — აკუშა, (დაღესტანი) კოლ. — კომაროვის.

Acanthohoplites daghestanicus n. sp.

ტაბ. II, სურ. 2.

ზომები:

| | | | |
|---------|-------------|--------------|--------------|
| D . . . | 200 mm (1) | 300 mm (1) | 450 mm (1) |
| h . . . | 86 „ (0,43) | 128 „ (0,42) | 175 „ (0,38) |
| c . . . | 60 „ (0,30) | 90 „ (0,30) | 117 „ (0,27) |
| o . . . | 68 „ (0,34) | 102 „ (0,34) | 153 „ (0,44) |

ჩემ ხელთ არის ერთი მეტად დიდი ტანის თითქმის მთლიანი ნიმუში, რომელიც აღწერილი ფორმისაგან განსხვავდება ხვეულების მოკაზმულობითა და ზომებით. ხვეულების განაკვეთი ელიპსურია გაცილებით უფრო მაღალი, ვიდრე განიერი. უმბო საშუალო ზომისაა.

მოკაზმულობა საკმაოდ ცვალებადია ასაკის მიხედვით. შივა ხვეულები, 15 მმ-ის დიამეტრამდე, დაფარულია ქანით. მაგრამ შემდეგ ისინი გვიჩვენებენ გრძელ და მსხვილ მთავარ წიბოებს, რომლებიც კოპებს არ ატარებენ. საფიქრებელია, რომ პირველ ხვეულებზე ისინი არსებობენ, მაგრამ ადრე ჰქრებიან. მთავარი წიბოები ორ ტოტად იყოფიან. ან და მარტივი რჩებიან. ამ უკანასკნელ შემთხვევაში თვითოეულ მათგანს მიჰყვება ერთი ჩანამატი მოკლე. მაგრამ მსხვილი წიბო. ინდივიდუმის 100 მმ-ის დიამეტრზე წიბოების საერთო რიცხვი ხვეულზე 50-დია, ხოლო შემდეგ ოდნავ იზრდება და უკანასკნელ ხვეულზე

65-მდე აღწევს. ამავე დროს წიბოები, მეტადრე საცხოვრებელ კამერაზე, ძლიერ მსხვილდებიან და სცილდებიან ერთი მეორეს. აქ მთავარი წიბოები არ არიან ტებიან და თვითეულ მათგანს მიჰყვება მოკლე, მაგრამ მძლავრი ჩანამატი წიბო.

საცხოვრებელი კამერა დაკულია, იგი მთლიანი არაა და მისი აპერტურა უცნობია.

ტიხრის ხაზი (სურ. 15) კარგად ჩანს თითქმის ნიმუშის მთელ ზედაპირზე, რადგანაც ნიჟარა თითქმის ყველგან აცდილია. იგი ძლიერ გავს *Ac. sparsicostatus* n. sp.-ის ტიხრის ხაზს.



— სურ. 15.

ეს სახე თავისი მოკაზმულობით 250-ის დიამეტრამდე ძლიერ გავს *Ac. laticostatus* Sinz, მაგრამ უკანასკნელს უფრო დაბალი ხვეულები აქვს და კოპებს გაცილებით უფრო გვიან ჰკარგავს. *Ac. sparsicostatus* n. sp.-სგან უფრო მეტად განსხვავდება. თავისი უფრო მაღალი ხვეულებითა, უფრო ვიწრო უმბოთი და ტიხრის ხაზითაც, რომელიც უფრო ნაკლებ სიმეტრიულ გვერდის უბეს გვიჩვენებს.

აღგ. დაღესტანი (აკუშა), კოლ. კომაროვის.

Acanthohoplites Uhligi Anth. sp.

1899 *Parahoplites Uhligi* Anthula: Kreidefossien., S. 114, Taf. X, Fig. 1.

1907 *Acanthohoplites Uhligi* Sinzow: Amm. Mangyschlacks u. Kaukasus., S. 498, Taf. II, Fig. 1.

1914 " " Kasansky: Céphalopodes., p. 86, Taf. V, Fig. 71-72.


1933 " " Rouchadzé: Amm. apt., p. 200.

ზომები:

| | | | |
|---------|-------------|---------|--------------|
| D . . . | 160 mm (1) | e . . . | 40 mm (0,25) |
| h . . . | 72 " (0,45) | o . . . | 45 " (0,28) |

ნიმუში კარგად დაცული არ არის: შიგა ხვეულები დაფარული არიან ქანით. მათი განაკვეთი სუბტრაპეცოიდურია უფრო მაღალი, ვიდრე განიერი. მუცელზე მულობა ერთგვაროვანია, ხოლო უმბო საშუალო ზომისაა და ვარდნის კონტრინი. მოკაზმულობა ასაკის მიხედვით ოდნავ იცვლება. წიბოები ჯერ ოტ ტოტად იცოფიან, ხვეულის სიმაღლის ქვედა მესამედზე, მაგრამ ეს დატოტვა მალე წყდება და შემდეგ თვითოეულ მარტივ და მთავარ წიბოს მიჰყვება ერთი მოკლე ჩანამატი წიბო. რადგანაც შიგა ხვეულები ქანით არიან დაფარულნი, შეუძლებელია თქმა თუ კოპები რა დიამეტრზე ჰქრებიან.

ტიხრის ხაზი ემსგავსება *Ac. aschiltaensis* Anth. sp-ას (სურ. 16). საცხოვრებელი კამერა მხოლოდ ნაწილობრივ არის დაცული.



სურ. 16.

ამ სახეს შორეული ნათესავობა აქვს *Ac. aschiltaensis* Anth. sp-სთან და განსხვავდება მისგან ერთგვაროვანი, ხშირი წიბოებით, ხვეულების სუბტრაპეცოიდური განაკვეთით და უფრო ვიწრო უმბოთი.

ადგ. — აკუშა (დაღესტანი). კოლ. — კომაროვის.

Acanthohoplites subpeltoceroides Sinz

1899 *Parahoplites Trefryanus* Anthula: Kreidefossilien., S. 115. Taf. VIII. Fig. 6 a-b.

1907 *Acanthohoplites subpeltoceroides* Sinzow: Amm. Mangyschlacks u. Kaukasus, S. 487. Taf. IV, Fig. 3-4. Taf. V, Fig. 16 a-b.

1933 „ „ Rouchadzé: Ammou. apt. p. 198.

ზომები:

| | A | B | C |
|---------|-------------|-------------|-------------|
| D . . . | 30 mm (1) | 40 mm (1) | 50 mm (1) |
| h . . . | 14 „ (0,47) | 18 „ (0,45) | 21 „ (0,42) |
| e . . . | 12 „ (0,40) | 12 „ (0,38) | 18 „ (0,36) |
| o . . . | 11 „ (0,87) | 13 „ (0,33) | 16 „ (0,32) |



საქართველოს
თავისუფალი
მეცნიერებათა
აკადემია

ჩემ ხელთ არის რამოდენიმე კარგად დაცული, თუმცა არა მთლიანად შენახული ისინი განსხვავდებიან სინკოვის ტიპური ფორმისგან ხვეულების უფრო ვიწრო განაკვეთითა და უფრო განიერი უმბოთი. სამაგიეროდ მოკაზმულობა სავსებით თანაბარია. შიგა ხვეულებზე შეიმჩნევა რამოდენიმე წვრილ კოპებიანი მთავარი წიბო, რომელთაც ორრ ან სამი უფრო წვრილი ჩანამატი წიბო მიჰყვება. ინდივიდუმის 10-15 mm-ის დიამეტრიდან მთავარი უკაზმ წიბოების რიცხვი მატულობს 18-20-მდე თვითოეულ ხვეულზე და ამ შემთხვევაში თვითოეულ მათგანს ერთი უფრო მოკლე, მაგრამ მსხვილი წიბო მიჰყვება.

საცხოვრებელი კამერა არც ერთ ნიმუშს არ შერჩენია. ტიხრის ხაზი ცუდად ჩანს.

რიც. — 6. აღგ. — აკუშა (დაღესტანი). კოლ. — კომაროვის.

Acanthohoplites Trautscholdi Sim. sp.

1876 *Ammonites Trautscholdi* Simonowitsch: Piatigorsk., p. 100, pl. V, fig. 2 a-p.

1907 *Acanthohoplites Trautscholdi* Sinzow: Amm. Mangyschjacks u. Kaukasus., S. 499, Taf. IV, Fig. 9-15.

სამწუხაროდ ის ნიმუში, რომელიც დასურათებული აქვს სიმონოვიჩის, მის კოლექციაში არ აღმოჩნდა, დაცულია მხოლოდ ერთი ნატეხი, რომელიც უკანასკნელი ხვეულის ნაწილს წარმოადგენს და სავსებით ეთანაბრება *Amm. Trautscholdi* Sim-ის შესაბამის ნაწილს.

მისი განაკვეთი სწორკუთხედს მოგვაგონებს, გაცილებით უფრო მაღალს, ვიდრე განიერს, ხოლო უმბოს დიამეტრი რამდენადაც ხვეულის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, საშუალო ზომისაა.

ხვეულის მოკაზმულობა დამახასიათებელია: თვითეული მთავარი წიბო ხვეულის სიმაღლის ნახევარზე ორ ტოტად იყოფა და ხშირად მას მიჰყვება ერთი ჩანამატი მოკლე წიბო.

ხვეულის ნატეხი საცხოვრებელ კამერას წარმოადგენს და როგორც ასეთი ტიხრის ხაზს არ გვიჩვენებს.

აღგ. — კისლოვოდსკი, კოლ. — სიმონოვიჩის.

Acanthohoplites Tobleri Jac. et Tob. sp.

1906 *Parahoplites Tableri* Jacob et Tobler: Engelberger Aa, p. 11, pl. II, fig. 4-6.

1907 *Acanthohoplites Tobleri* Sinzow: Amm. Mangyschlacks n. Kaukasus., S. 486, Taf. V, Fig. 14-15.

1914 " " Kasansky: Céphalopodes., p. 70 pl. III, fig. 49-50.

1904 " " *Sinzowi* (pars) Kasansky: Jb., 73 pl. III, fig. 53-53. (non fig. 54-55).



ერთი ნატეხი ნიმუში გვიჩვენებს უფრო მაღალს, ვიდრე განიერს ხეულს ვიდრე უმბოს. შიგა ნაწილში ხეულს ახასიათებს, რამოდენიმე მთავარი კონპიანი წიბო. თვითოეულ მათგანს ერთი მოკლე ჩანამატი წიბო მიჰყვება. უფრო მოზდელ ფაზაში წიბოები ერთი მეორეს შორდებიან, მსხვილდებიან და კოპებს ჰკარგავენ.

საცხოვრებელი კამერა დაცული არ არის.

ტიხრის ხაზი (სურ. 17) კარგად ჩანს და სიმეტრიულ გვერდის უბეს გვიჩვენებს.



ნიმუში სავსებით ტიპურია.

სურ. 17.

ადგ. — აკუშა (დალესტანი). კოლ. — კომაროვიჩის.

Acanthohoplites aff. Sinzowi Kasansky

ტაბ. III, სურ. 1.

| | | |
|-------------|-------------|--------------|
| D | 43 mm (1) | 16 mm (0,37) |
| e | 16 „ (0,37) | 19 „ (1,37) |

ნიმუში მთლიანი არაა და შიგა კალაპოტის სახითაა. მისი ხეულების განაკვეთი წესებურია. უმბო დიდია.

ხეულების მოკაზმულობა შედგება მთავარი და ჩანამატი წიბოებისაგან. მთავარი წიბოები საერთოდ ხეულის სიმალის ნახევარზე იტოტებიან. მსხვილი და წვეტიანი კოპებიდან, მაგრამ ხშირად, ლატოტვა უმბოს კაბრასთანაც ხდება და ამ შემთხვევაში ორ ამნაირად წარმომდგარ ტოტიდან ერთი. წინა, ისევ ორ ტოტად იყოფა, ხოლო მეორე, უკანა, მარტივი რჩება. თვითოეულ მთავარ წიბოს მიჰყვება ერთი (იშვიათად ორი) ჩანამატი წიბო.

საცხოვრებელი კამერა ნიმუშს არ შერჩენია.

ტიხრის ხაზი კარგად ჩანს. (სურ. 18).



სურ. 18.

ჩემი ნიმუშები უფრო ეთანაბრებიან კაზანსკის მიერ

ტაბ. III, სურ. 53—55-მდე დასურათებულ ფორმას, ხოლო განსხვავდებიან ტაბ. III, სურ. 52 დასურათებულ ნიმუშიდან, რომელიც ტიპად უნდა *Ac. Sinzowi Kas.*-სთვის. კიდევ უფრო მეტად განსხვავდება ჩემი ნიმუში სინცოვის მიერ აღწერილ

ფორმისგაი *Ac. Tobleri Jac. et Tob. v. discoidalis Sinz* რომელსაც კაზანსკი *Ac. Sinzowi*-ის სინონიმად სთვლის. ეს განსხვავება სჩანს წიბოების დატოტვაში და ხეულების განაკვეთში.

ადგ. — კასლოვოდსკი. კოლ. — ბაიერნის.


Acanthohoplites aff. *rectangularis* Kasansky

ტაბ. II, სურ. 4.

| | A | B | C |
|---------|------------|------------|-------------|
| D . . . | 10 mm (1) | 20 mm (1) | 30 mm (1) |
| h . . . | 4 „ (0,40) | 8 „ (0,40) | 12 „ (0,40) |
| e . . . | 4 „ (0,40) | 8 „ (0,40) | 10 „ (0,35) |
| o . . . | 3 „ (0,35) | 7 „ (0,35) | 10 „ (0,35) |

ყველა ნიმუში პატარა ზომისაა. ისინი ტიპიური ფორმისგან განსხვავდებიან უფრო განიერი უმბოთი და ხვეულების განაკვეთით, რომელიც უფრო გვიან ზდება სწორკუთხედური.

მოზრდილ ასაკში წიბოები უფრო დაშორებულია ერთი მეორეს. 30 mm-იან დიამეტრის ნიმუშის უკანასკნელ ხვეულზე 8 მთავარი, კოპიანი. ორად დატოტვილი წიბოა, რომლებსაც ორ-ორი (იშვიათად ერთი) ჩანამატი წიბო მიჰყვება. მთავარი წი ოები კოპებს ინდივიდუუმის 25 mm-ის დიამეტრზე ჰკარგავენ და შემდეგ არც იტოტებიან. საცხოვრებელი კამერა ნაწილობრივ არის შერჩენილი, მოზრდილ ნიმუშზე (C) მისი აპერტურა ცნობილი არ არის.



სურ. 19.

ტიხრის ხაზი (სურ. 19) კარგად ჩანს.

რიც. 4, ადგ. კისლოვოდსკი, კოლ. ბაიერნის.

Acanthohoplites multispiuatus Anth. sp-ის ჯგუფი

Acanthohoplites multitpinatus Anth. sp.

1899 *Parahoplites multispiuatus* Anthula: Kreidefossilien., S. 119, Taf. X, Fig. 5 a-c.
 1907 *Acanthohoplites multispiuatus* Sinzow: Amm. Mangyschlags u. Kaukasus. S 492. Taf. VII, Fig. 5 a-b.
 1914 „ „ Kasansky: Céphalopodes, p. 81.
 1933 „ „ Rouchadzé: Amm. apt. 201.

ზომები:

| | A | B | C |
|---------|-------------|-------------|-------------|
| D . . . | 37 mm (1) | 38 mm (1) | 50 mm (1) |
| h . . . | 16 „ (0,43) | 17 „ (0,44) | 23 „ (0,46) |
| e . . . | 12 „ (0,32) | 12 „ (0,32) | 13 „ (0,26) |
| o . . . | 11 „ (0,30) | 11 „ (0,30) | 14 „ (0,28) |



ჩემთ ხელთა რამოდენიმე, თუმცა არამთლიანი, მაგრამ კარგად დაცული ნიმუში. ხვეულების განაკვეთი სწორკუთხედს მოგვაგონებს. გაბრტყილი სიფონური მხარით. უმბო საშუალო ზომისაა და არასოდეს არ აღწევს ინდივიდუუმის დიამეტრის 1/3-ს.


დასაწყისი ხვეულები მოკაზმულია წვრილი წიბოებით. მთავარი წიბოები განირჩევიან ჩანამატებისგან მით, რომ სამ წვეთ კოჰს ატარებენ. ეს წიბოები შუა გვერდის კოზიდან იტოტებიან, ან და მარტივი რჩებიან. დაახლოვებით ნიმუშის 25 mm-ს დიამეტრზე ხვეულების მოკაზმულობა სხვაგვარი ხდება: წიბოები ერთი მეორეს შორდებიან და მსხვილდებიან. მათ შორის მთავარი წიბოები მხოლოდ გამონაკლისის სახით იტოტებიან. თვითოეულ მარტივ მთავარ წიბოს, ამ შემთხვევაში, ერთი ჩანამატი წიბო მიჰყვება, რომელიც მოკლეა და სიფონურ კოპებს ატარებს.

საცხოვრებელი კამერა შერჩენილია მხოლოდ ერთ მოზდილ (C) ნიმუშზე და ისიც ნაწილობრივ, ასე რომ აპერტურა უცნობი რჩება.

ტიხრის ხაზი (სურ. 20) კარგად ჩანს.

საერთოდ ნიმუშების დაკავშირება *Ac. multispinatus* Anth. sp. ეჭვს არ იწვევს, რადგანაც, თუ არა ოდნავ ხშირი წიბოები შიგა ხვეულებზე, მათ ამ ფორმისგან არაფერი განასხვავებს.

რიც. — 3, აღგ. — კისლოვოდსკი, კოლ. — ბაიერნის.



სურ. 20.

Acanthohoplites multispinatus Anth. sp. *A. robusta* Sinz.

1907 *Acanthohoplites multispinatus* Anth. sp. v. *robusta* Sinzow. Ammon. Mangyschlacks n. Kaukasus., S. 492. Taf. VII, Fig. 7—8a.

ზომები:

| | A | B | C |
|---------|-------------|-------------|-------------|
| D . . . | 25 mm (1) | 33 mm (1) | 33 mm (1) |
| h . . . | 12 „ (0,48) | 14 „ (0,42) | 14 „ (0,42) |
| e . . . | 10 „ (0,40) | 12 „ (0,38) | 13 „ (0,39) |
| o . . . | 5 „ (0,20) | 9 „ (0,30) | 10 „ (0,30) |

ეს ვარიეტეტი განსხვავდება ტიპური ფორმისგან, ხვეულების მეტი სიგანითა და მოკაზმულობით. ახალგაზდა ფაზაში, მთავარი წიბოები გაცილებით მცირე რიცხოვანი არიან, ვიდრე ჩანამატნი.

მთავარ წიბოებს, 20—24 mm-ის დიამეტრიდან, ძლიერი გამსხვილება ეტყობა, ისე როგორც კოპებსაც. თვითოეულ მათგანს მიჰყვება ერთი მოკლე ჩანამატი წიბო. საცხოვრებელი კამერა ნაწილობრივ არის დატული მოზდილ ნიმუშზე (C) და ხვეულის ერთი მესამედი უჭირავს. აპერტურა უცნობია. ტიხრის ხაზი ტიპური ფორმისაა:

აქ შესწავლილი ნიმუშები განსხვავდებიან სინცოვის მიერ აღწერილ ფორმისგან, მხოლოდ უფრო გაშლილი და მცირე რიცხოვანი წიბოებით.
 რიც. — 3, ადგ. კისლოვოდსკი, კოლ. ბაიერნის.

Acanthohoplites multispinatus n. sp.


ტაბ. I, სურ. 8.

ზომები:

| | A | B | C |
|-------------|-------------|-------------|-------------|
| D | 24 mm (1) | 35 mm (1) | 45 mm (1) |
| h | 10 „ (0,41) | 15 „ (0,43) | 19 „ (0,41) |
| e | 7 „ (0,30) | 12 „ (0,33) | 16 „ (0,35) |
| o | 6 „ (0,25) | 10 „ (0,20) | 14 „ (0,30) |

Ac. multispinatus n. sp. სახელწოდებით მე აქ აღვწერ რამოდენიმე ძლიერ ბტყელ და შედარებით ვიწრო უმბოიან ფორმას. შიგა სხვეულებით, როგორც ზომებით, ისე მთავარ სამ წყვილ კოპებიანი წიბოებით იგი *Ac. multispinatus* sp.-ს ემსგავსება. აქ მთავარი წიბოების რიცხვი დიდი არაა, სულ 9—10-მდე ხვეულზე. უმბონურ კოპებიდან გამოიყოფა 2—ან იშვიათად 3 წიბო, რომლებსგან ერთი, წინა, წვრილია, ხოლო უკანა (ან შუათანა სამათ დატოტვის შემთხვევაში) უფრო მსვილი. ეს უკანასკნელი ხელახალ დატოტვას განიცდის შუა კოპიდან და ამნაირად წარმომსდგარი ორი ტოტისგან, წინა უფრო წვრილია, ვიდრე უკანა. თვითოეულ ამნაირად დატოტვილ წიბოს მიჰყვება ორი (ან ერთი სამათ დატოტვის შემთხვევაში) წიბო. შემდეგ, 20—25 mm-ის დიამეტრიდან, ინდივიდუუმის მოკაზმულობა იცვლება. უმბონური და შუა კოპები ძლიერ სუსტდებიან, ხოლო სიფონურნი უბრალო გამსხვილებებთ იქცევიან. ეს ახასიათებს ჩანამატ წიბოებსაც. ამ დროს წიბოების დატოტვა მხოლოდ შუა კოპებიდან ხდება. უფრო მოზდილ ფაზაში, წინა ტოტი სცილდება მთავარ წიბოს და გადაიქცევა მოკლე ჩანამატ წიბოთ.

საცხოვრებელი კამერა შერჩენილი აქვს მხოლოდ ერთ ნიმუშს, (C) და ხვეულის ნახევარი უჭირავს. მისი აპერტურა ცნობილი არ არის.



სურ. 21.

ტიხრის ხაზი (სურ. 21). კარგად სჩანს და გვიჩვენებს სიმეტრიულ გვერდის უბეს და შედარებით განიერ უნაგირს. ამ ფორმას მახლობელი ნათესაობა აქვს *Ac. multispinatus* Anth. sd.-სთან, რომლისგან განსხვავდება თავისი მოკაზმულობით მოზდილ ფაზაში, უფრო ბტყელი ხვეულებითა და შედარებით ვიწრო უმბოთი.

რიც. — 3, ადგ. — კისლოვოდსკი, კოლ. — ბაიერნის.

33. Parahoplites Anthula 1899.

(Emend. Kasansky 1914)

Parahoplites Melchioris Anth.

- 1899 *Ammonites fissicostatus* Abich: Rais. cat., S. 18, Taf. II, Fig. 4.
 1899 *Parahoplites Melchioris* Anthula: Kreidefossilien..., S. 112, Taf. VIII.
 Fig. 4-5.
 1907 " " Sinzow: Amm. Mangyschlacks u. Kaukasus.,
 S. 498, Taf. II, Fig. 1-4.
 1914 " " Kasansky: Céphalopodes., p. 90, dl. V, fig.
 76-78 pl. VI fig. 79.

ზომები:

| | A | B | C | D |
|---------|-------------|-------------|-------------|-------------|
| D . . . | 20 mm (1) | 42 mm (1) | 60 mm (7) | 85 mm (1) |
| h . . . | 10 " (0,50) | 21 " (0,50) | 28 " (0,49) | 29 " (0,46) |
| e . . . | 10 " (0,50) | 14 " (0,45) | 26 " (0,43) | — |
| o . . . | 5 " (0,26) | 11 " (0,26) | 16 " (0,27) | 23 " (0,26) |

ჩემთ ხელთ არის რამოდენიმე კარგად დაცული ნიმუში. მათგან მეტი წილი ტიპური არის. ნიმუშების 40 - 50 mm-ის დიამეტრამდე, ხვეულების განაკვეთი თითქმის კვადრატულია, ხოლო შემდეგ სწორკუთხედური, უფრო მაღალი, ვიდრე განიერი. უმბო ყოველთვის ვიწროა.

პირველ ხვეულებს, ინდივიდუუმის 5—10 mm-ს დიამეტრამდე, არავითარი მოკაზმულობა არ ემჩნევა. იგი შემდეგ ჩნდება ძლიერ წვრილი წიბოების სახით. ინდივიდუუმის ზრდასთან ერთად ეს წიბოები მსხვილდებათ და ოდნავ სინუსური ხდებათ. მთავარი წიბოები ხშირად იტოტებიან შიგა ხვეულებზე. შემდეგ წინა ტოტი გამოიყოფა დამოუკიდებელ ჩანამატ. წიბოდ. ამნაირად, თვითოეულ მთავარ წიბოს, ერთი ჩანამატი, მოკლე, მაგრამ მსხვილი წიბო მიჰყვება. წიბოების საერთო რიცხვი ხვეულის გარე მხარეზე 32—35-მდე აღწევს.

ნიმუშების მეტ წილს შერჩენილი აქვს საცხოვრებელი კამერა, რომელსაც ხვეულის ნახევარი უჭირავს. აპერტურა უცნობია.

ტიხრის ხაზი (სურ. 22) კარგად ჩანს და გვიჩვენებს ასიმეტრიულ გვერდის უბეს, რომელიც გაცილებით უფრო ღრმა არის ვიდრე სიფონურ უბე.

ჩემი ნიმუშები საესებით ეთანაბრებიან ანთულას მიერ აღწერილ და დასურათებულ ტიპს და ოდნავ სცილდებიან კაზანსკისა და მეტადრე სინცოვის ნიმუშებს თავიანთი უფრო მსხვილი და დაზორებული წიბოებით.



სურ. 22.



რიც. — 12, ადგ. — აკუშა, კოლ. — კომაროვის. ერთი ნიმუში ლექტიდანაა, რომლის პოვნის ადგილი უცნობია.

Parahoplites sub-Campichei Sinz


1907 *Parahoplites sub-Campichei* Sinzow: *Amm. Mangyschlacks u. Kaukasus.*, S. 406, Taf. I, Fig. 6-9.

ზომები:

| | A | B | C | D |
|---------|------------|-------------|-------------|-------------|
| D . . . | 13 mm (1) | 15 mm (1) | 32 mm (1) | 38 mm (1) |
| h . . . | 6 „ (0,49) | 19 „ (0,50) | 35 „ (0,49) | 19 „ (0,50) |
| e . . . | 6 „ (0,49) | 15 „ (0,40) | 14 „ (0,43) | — |
| o . . . | 3 „ (0,25) | 7 „ (0,23) | 8 „ (0,24) | 9 „ (0,23) |

ამ ფორმას ხვეულების სუბტრაპეციოდური განაკვეთი, ხშირი წიბოები და ვიწრო უმბო ახასიათებს. საერთოდ წიბოები მსხვილი არიან და ნაწილობრივ (12—13 თვითო ხვეულზე) ორ ტოტად იყოფიან, უმბონურ სუსტი გამსხვილებებიდან.

ნიმუშები მთლიანი არ არიან, მათ აკლიათ საცხოვრებელი კამერა.



სურ. 23.

ტიხრის ხაზი, (სურ. 23) კარგად ჩანს, მაგრამ არავითარ თავისებურებას არ გვიჩვენებს.

ეს ფორმა განსხვავდება *P. Campichei* Pict. et Ren. sp.-სგან უფრო მსხვილი წიბოებით, რომლებიც კოპების ნაცვლად, ხოლო ძლიერ სუსტს გამსხვილებებს ატირებენ.

რიც. — 6, ადგ. — აკუშა, კოლ. — კამაროვის.

Parahoplites Grossouvrei Jacob.

1905 *Parahoplites Grossouvrei* Jacob: *Clansayes.*, p. 49, pl. XIII fig. 2 a-b.

1907 „ „ Sinzow: *Amm. Mangyschlacks u. Kaukasus.*, S. 459, Taf. I, Fig. 1-3.

ერთედ ერთი ნიმუში, რომელიც მე ხელთა მაქვს, ფრაგმენტულია, იგი შედგება უკანასკნელი ხვეულისგან და შიგა ხვეულის ნაწილისგან. ამათი განაკვეთი დასაწყისში თითქმის კვადრატულია, ხოლო ინდივიდუუმის ზრდასთან ერთად, სიმაღლე მატულობს და სწორკუთხედური ხდება, გარე მხარის ოდნავი შევიწროებით. უმბო ძლიერ ვიწროა.

მოკაზმულობა შედგება მსხვილი, წინწახრილი წიბოებისგან, რომლებისგან ერთი ნაწილი ორად, ან იშვიათად, სამად იტოტება ხვეულის სიმაღლის ქვედა მესამედზე. იშვიათად, ზოგიერთ მთავარი წიბოს მიჰყვება ერთი ჩანამატი, გრძელი და წვრილი წიბო.



უკანასკნელი ხვეულის შერჩენილი ნაწილი თითქმის მთლიანად საცხოვრებელი კამერას წარმოადგენს, მაგრამ მისი აპერატურა დაცული არაა. ტიხრის ხაზი გაურკვეველია.

საერთოდ ნიმუში ტიპური ჩანს.

აღვ. — აკუშა, კოლ. — კომაროვის.

Parahoplites maximus Sinz.

1899 *Ammonites Clementinus* Abich: Rais. cat., S. 18, Taf. II, Fig. 2.

1901 " " Abich: Mus. cauc., t, III, p. 207, № 66.

1907 *Parahoplites maximus* Sinzow: Amm. Mangyschlaeks u. Kankasus S. 459, Taf. X, Fig. 1-3.

ზომები:


| | A | B |
|-------------|-------------|-------------|
| D | 50 mm (1) | 86 mm (1) |
| h | 22 " (0,45) | 42 " (0,46) |
| e | 22 " (0,44) | 35 " (0,40) |
| o | 12 " (0,24) | 21 " (0,24) |

Par. maximus Sinz.-ს მე მივაკუთვნე ერთ ნიმუშს, აბიხის კოლექციიდან, რომელიც განსაზრული იყო *Amm. Clementinus* d'Orb. სახელწოდებით და დასურათებული Rais. cat.-ში. Taf. II, Fig. 2-ზე. იგი სრული არაა, მას აკლია საცხოვრებელი კამერა. ხვეულების განაკვეთი საკმაოდ იცვლება ასაკის მიხედვით. დასაწყის ხვეულებში იგი უფრო განიერია, ვიდრე მაღალი, შემდეგ სიმალე თანდათან მატულობს და განაკვეთი თითქმის სწორკუთხედური ხდება უფრო მაღალი, ვიდრე განიერი. იმავე დროს გარე მხარე ოდნავ ვიწროვდება და მრგვალდება. უმბო ვიწროა და სივანით ნიმუშის მთელ დიამეტრის მეოთხედს უახლოვდება. ხვეულების მოკაზმულობა შედგება მთავარი და ჩანამატი წიბოებისგან. მთავარი წიბოები, რიცხვით 20-მდე თვითოეულ ხვეულზე, გრძელი არიან და ხვეულის სიმაღლის ნახევარზე, ორ ტოტად იყოფიან. ინდივიდუუმის ზრდასთან ერთად, წინა ტოტი გამოიყოფა დამოუკიდებელ, მოკლე, ჩანამატ წიბოთ. გარდა ამისა იქა-იქ ვხვდებით, რამდენიმე უფრო გრძელ ჩანამატ წიბოსაც.

ტიხრის ხაზი კარგად ჩანს, (სურ. 24).

აღწერილი ნიმუში, უდავოთ, *Par. maximus* Sinz.-ს მიეკუთვნება და განსხვავდება მისგან მხოლოდ წიბოების ოდნავ მეტი რიცხვით (43 წინააღმდეგ 41-სა).

აღვ. — დაღესტანი, კოლ. — აბიხის.



სურ. 24.

Parahoplites Sjögreni Anth,

ტაბ. III, სურ. 2.

1899 *Parahoplites Sjögreni* Anthula: Kreidefossilien., S. 116, Taf. X, Fig. 2-3 a-b.

1914 „ „ Kasansky: Céphalopodes, p. 92.

ზომები:

| | A | | B | |
|---------|-------------|--------------|--------------|--------------|
| D . . . | 100 mm (1) | 200 mm (1) | 300 mm (1) | 375 mm (2) |
| h . . . | 45 „ (0,45) | 100 „ (0,50) | 142 „ (0,37) | 168 „ (0,44) |
| e . . . | 40 „ (0,40) | 89 „ (0,46) | 120 „ (0,40) | 144 „ (0,39) |
| o . . . | 26 „ (0,26) | 70 „ (0,25) | 70 „ (0,24) | 99 „ (0,24) |

Par. Sjögreni Anth. ს მე მივაკუთნებ ორ დიდი ტანის კარგად დაცულ ნიმუშს. შიგა ხვეულების განაკვეთი თითქმის კვადრატულია. შემდეგ, ინდივიდუმის 60 mm-ის დიამეტრიდან, იგი ელიპსური ხდება.

ეს ფორმა საკმაოდ ინვოლუტურია და უმბოს სივანე მთელ დიამეტრის $\frac{1}{4}$ უდრის. ინდივიდუმის მოკაზმულობა ერთგვაროვანია 200—250 mm-ს დიამეტრამდე: წიბოები მსხვილი არიან. მთავარი წიბოები იტოტებიან, ან მარტივი რჩებიან. უკანასკნელ შემთხვევაში, თვითოეულ მათგანს ერთი მოკლე, ჩანამატი წიბო მიჰყვება. უკანასკნელ ხვეულზე, როცა ინდივიდუმის ზრდა დამთავრებულია, მოკაზმულობა უეცრად იკვლება, წიბოები ერთი მეორეს შორდებიან და მსხვილდებიან.


საცხოვრებელი კამერა შერჩენილი აქვს დიდი ტანის ნიმუშს (375 mm). მას უჭირავს ხვეულის ნახევარზე მეტი. მისი აპერატურა დაცული არ არის.

ტიხრის ხაზი (სურ. 25) გვიჩვენებს განიერ უნაგირებს და შედარებით უფრო ვიწრო უბეებს. გვერდის უბე ძლიერ ასიმეტრულია. უფრო პატარა ნიმუშის (ტაბ. III, სურ. 2) ტიხრის ხაზი ანომალის გვიჩვენებს (სურ. 26). აქ არა მარტო მომდევნო ტიხრის ხაზები ერთი მეორეს არ ეთანხმებიან, არამედ ერთი და იგივე ხაზი, განსხვავებას გვიჩვენებს ხვეულის ფერდების მიხედვით.

შესაბამის დიამეტრზე ეს ნიმუშები ეთანაბრებიან ან თუ ლას მიერ აღწერილ და დასურათებულ ტიხრს, მაგრამ საკმაოდ განსხვავდებიან სინცოვის ფორმისგან. (loc. cit. S., 476, Taf. II, Fig. 14-15), რომელიც ამ ავტორს აწერილი აქვს *Sonneratia Sjögreni* Anth, sp.-ის სახელწოდებით. სინცოვმა ეს ფორმა გვარს *Sonneratia* Bayle მიაკუთვნა, მაგრამ ის განსხვავებები, რომლებსაც ადგილი აქვს, როგორც ტიხრის ხაზში, ისე მოკაზმულობაში, *Sonne-*


ratia Bayle და *Parahoplites Anthula* შორის, ამ აზრს მიუღებლად დასაბუთებელი
როგორც ეს კარგად აღნიშნა კაზანსკიმ.

საქართველოს
მეცნიერებათა
აკადემიის
გეოლოგიური
ინსტიტუტი



სურ. 25.

ადგ. კახა-მახი, დაღესტანი. კოლ. კოლ. კომაროვის (იხ. Mus. cauc. t. III, p. 194, № 3. *Ammonites* sp.) პატარა ნიმუში (A) აბიხის კოლექციიდანა (იხ. Ib. p. 19.)



სურ. 26.

Parahodlites Sjögreni Anth. v. *Kubanica* n. v.

1907 *Sonneratia Sjögreni* Sinzow: *Amm. Mangyschlacks u. Kaukasus.*, S. 497, Taf. II, Fig. 14-15.

ჩემთ ხელთ არის ორი ნატეხი, რომლებიც თავიანთი ზომებით და მოკაზმულობით სავსებით ეთანაბრებიან *S. Sjögreni* Sinz-ის (non *Anthula*) ფორმას. ხვეულების განაკვეთი უფრო მაღალია, ვიდრე განიერი და გარე მხარე შევიწროებულია. ხოლო უდიდესი სივანე უმბონურ კაბრასთან არის. უმბო შედარებით ვიწროა.



მოკაზმულობა დასაწყისში შედგება ნაკლებ მსხვილი წიბოებისგან, ვიდრე *P. Sjögreni* Anth. ტიპს ახასიათებს. ისინი ოდნავ მსხვილდებიან ინდივიდუალის ზრდასთან ერთად, მაგრამ მაინც ბუნდოვანი კვალებს სტოვებენ ნიმუშის შიგა-კალაპოტზე. მე სავსებით ვიზიარებ კაზანსკის აზრს, რომ ამ ფორმის მოთავსება *Sonnenatia* Bayle-ში შეუძლებელია, ვინაიდან უკანესკენლის ტიხრის ხაზი საკმაოდ განსხვავდება გვ. *Parahoptites* Anth. ტიხრის ხაზისგან.

ადგ.—კისლოვოდსკი, კოლ.—სიმონოვიჩის. № 164; არაა აღნიშნული Mus. cauc. t. III-ში.

Parahoptites Sjögrenoides n. sp.

ტაბ. III, სურ. 3.

ზომები:

| | A | B | A | B |
|---------|-------------|--------------|--------------|--------------|
| D . . . | 150 mm (1) | 200 mm (1) | 230 mm (1) | 345 mm (1) |
| h . . . | 75 " (0,50) | 100 " (0,50) | 99 " (0,99) | 168 " (0,48) |
| e . . . | 65 " (0,43) | 80 " (0,40) | 92 " (0,40) | 125 " (0,37) |
| o . . . | 22 " (0,15) | 35 " (0,175) | 40 " (0,175) | 76 " (0,19) |
არალითონიანი მადნეული დახ გამოფენაზე ყურადღებას იპყრობს ყაზბეგის, შოდას, ზემო სვანეთის და ზ. რაჭის მთის ბროლის ულამაზესი დრუზები და კრისტალები. ახალციხის რაიონიდან აქატი, ხოლო საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან აქატი, ქალცედონი, იასპი, გიშერი და ოპალი. აქვეა ბოლისებური, შავი და წითელი ობსიდიანი ჯავახეთიდან და სხვადასხვა ნაკეთობანი ობსიდიანიდან. ამავე განყოფილებაში გამოფენილია წყალთბილას სელენიტი, ს. ჯოდას კრისტალური და აზამბურის ფურცელა თაბაშირი, სალომინაოს, ხუდონის, კრებალოსა და წესის სხვადასხვა ფერისა და სახის ნედლი და გაპრიალებული ალუბასტრის ნიმუშები და ნაკეთობანი სალომინაოს ალუბასტრიდან.

შემდეგ აღსანიშნავია აღვის (ლეჩხუმი) ფოსფორიტები და ჩორჩანის ტალკი ბუნებრივი ნიმუშებისა და ფქვილის სახით; ქისათიბის დიატომიტი; აგური ქისათიბის დიატომიტისაგან; დიატომიტის ფქვილი; ცაიშის ცარცი; ლითოვრა-



ფიული ქვები ალგეთის, სიპისკარისა და დუშეთის რაიონებიდან, და ალგეთის ლიტოგრაფიულ ქვაზე დაბეჭდილი სხვადასხვა ფერადი სურათები, მთავრად ლავის ნიმუშებიდან გამოფენაზე წარმოდგენილია ყაზბეგის ანდეზიტი. ექსპონატები მოცემულია ბუნებრივი ნიმუშებისა და ქიმიური ქარხნების სხვადასხვა რთული დანადგარების ცალკეული ნაწილების სახით. ქიმიური ნედლეულისა და საღებავების განყოფილებაში გამოფენილია ბარიტი, დარიშხანის მადნები, პირიტი, გლაუბერის მარილი და მინერალური საღებავები.



მთის ბროლო და აქატი

ბარიტი წარმოდგენილია უმთავრესად დასავლეთ საქართველოს საბადოებიდან (საბრეგელა, ვათეთრა, ვანი, შექვენა, დერჩი, ლოკნარი, ლეყერეთი და სხვ.) ბარიტის მრავალფეროვან ნიმუშების გარდა გამოფენილია ბარიტის ნედლი ნატეხები. გამდიდრებული და დაფქული ბარიტი. აქვეა ხვამლის ბარიტის საინტერესო ნიმუშები: ბარიტი გალენიტით, სპილენძის შენაერთით, სულფიდურ



ბით, მარკაზიტით, რკინის შენაერთითა და სხვ. ფოტოსურათებისა და მინერალური მასალის გარდა მოცემულია ბარიტის მოხმარების სხვადასხვა დარგები და ბარიტის ამოღების დინამიკა წლების მიხედვით. წარმოდგენილია აგრეთვე დასავლეთ საქართველოს რეალგარი, აურიპიგმენტი და არსენოპირიტი.

აქვე წარმოდგენილია პირიტისა და გლაუბერის მარილის ანუ მირაბილიტის ნიმუშები. აქ არის პირიტი გელათის, აჭარის, მეჭვენის, გურიის, დედო-



სილიკატური ნედლეულისა და მარმარილოების განყოფილება

რაკისა. გლაუბერის მარილი მუხრავანის, გლდანის, აელაბრის ტბების და სხვა. მინერალური საღებავები გამოფენაზე წარმოდგენილია ბანოჯის ქანგმიწის (ოხრა) და სოფ. უბისისა (მდ. ძირულას ხეობა), ს. სურების (გურია) სურინჯის საბადოებით.

სილიკატური ნედლეულის და თიხების, განყოფილებაში მოცემულია შრომის გრანტული პეგმატიტების მინერალები: მიკროკლინი, ბერილი, კვარცი, მოსკოვიტი, ლეპიდოლიტი, ბაზობისმუტი, კერამიკული პეგმა-

ტიტი, შრიფტ — გრანიტი და ვაკის-ჯვრის სიენიტური პეგმატიტის მინერალური მარმარილოები და მარმარილოები, დიობსიდი, აპატიტი, ბიოტიტი, ანორტოკლასი და სხვ. აქვე გამოფენილია კვარცის ქვიშები: ქროლის, საჩხერის, ავჭალის, პერევისის, მწვანე ყვავილას და მოცემულია ქვიშების გრანულომეტრიული შედგენილობის დიაგრამა.

ასკანის ბენტონიტური თიხები და გუმბრინი წარმოდგენილია მრავალფეროვან ნიმუშების სახით. აქ არის ასკანის ბუნებრივი თიხა და ასკანგელი, გუმბრინი ბუნებრივი, დამარცვლული და დაფქულის სახით. აქვე მოცემულია დაუწმენდელი და გუმბრინითა და ასკანგელით დაწმენდილი ნავთის პროდუქტები. დიაგრამაში ნაჩვენებია გუმბრინის წარმოების მიღწევები: 1929 წელს ამოღებული იყო 1.300 ტ. 1933 წელს — 32.100 ტ. ხოლო 1937 წლის საწარმოო გეგმაითვალისწინებს 85.000 ტ. გუმბრინის ამოღებას. გუმბრინის წარმოების ამ გრანდიოზულმა მიღწევებმა სრულიად უზრუნველყო ჩვენი ნავთის მრეწველობა საკუთარი ნედლეულით და გაანთავისუფლა ის საზღვარგარეთელი იმპორტისაგან.

ამავე განყოფილებაში წარმოდგენილია მაკვანეთის კაოლინის ბუნებრივი ნიმუშები, კაოლინისაგან დამზადებული და გამომწვარი (1.000 და 1.5000) აგური, შროშის ცეცხლგამძლე თიხები და შამოტური აგურის მშრალი წნების მეთოდით წარმოების სქემა.

მარმარილოებისა და საშენი ქვების განყოფილებაში წარმოდგენილია მარმარილოების, დეკორატიული და საშენი ქვების მრავალი სახესხვაობანი: სადახლოდან მუქი ნაცრისფერი და მოშავო მარმარილო მოყვითალო წვრილი ძარღვებით, სამხრეთ ოსეთიდან მოთეთრო-მოყვითალო და ღია ნაცრისფერი მარმარილო. ასპინძიდან და ჩორჩანიდან სხვადასხვა სახისა და ფერის მარმარილო, ლოფოთიდან თეთრი და ღია ნაცრისფერი მარმარილო, შროშისა და კოტიტაურის წითელი, საკასრიას მუქი ნაცრის ფერი მარმარილო, მოლითის წითელი და სალიეთის ღია წითელი და ბანაჯის თეთრი და შავი მარმარილოები.

მარმარილოები წარმოდგენილია გაბრიალებული ფირფიტების სახით (ზომა $40 \times 25 + 2$ სმ.) საშენი ქვები კი კუბების სახით (ზომა $10 \times 100 + 10$ სმ.)

დეკორატიული და საშენი ქვები წარმოდგენილია საქ. სხვადასხვა კუთხიდან: გრანიტი წითის, ცუმერის, შროშის და რკვის; სიენიტი ვაკის-ჯვრის, ტეშენიტი ოფურჩხეთისა და კურსების; რქატყუარაიანი პორფირიტი ქუთაისის, ანდეზიტი ბაკურიანისა და ყაზბეგის; ბაზალტი მარნეულის; დიაბაზი ქვატაის; ტუფი თეძამისა და ბოლნისის, სადახლოს, აკეთის, კარიობის და ოფურჩხეთის; კირქვა ეკლარის, ხანდების, გოდოვანის; სპონგოლიტებიანი ქვიშაქვა აჯამეთის და ქვიშაქვა ვერისა და კოჯორის და აგრეთვე კახეთის სახურავი ფიქლების ნიმუშები.

ამ განყოფილებაში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მარმარილოების სიუხვე და მრავალფეროვნება და აგრეთვე ბოლნისის ლამაზსახოვანი ტუფი.


მინერალური წყლების განყოფილებაში უმაჯრესად დახასიათებულია საქართველოს ძირითადი და უკეთ შესწავლილი წყლები: თბილისის, საიბრის, ჯავის, ყაზბეგის, სკურის, მენჯის, ბორჯომისა და წყალტუბოს. მოცემულია რაიონის გეოლოგიურ აღნაგობა ნიმუშებით, ქრილებით. ნახაზებით, ფოტოსურათებით და სხვ. თითოეულ წყალს თან ერთვის მისი ქიმიური შემადგენლობის პატა-



რა დიაგრამები. შედარებით უფრო დეტალურათ მოცემულია ბორჯომის მინერალური წყლის დახასიათება. დიაგრამაში ნაჩვენებია ბორჯომის მინერალური წყლის ჩამოსხმა წლების მიხედვით და აგრეთვე კურორტის კეთილმოწყობისათვის გაწეული თანხების რაოდენობა.

ნავთობის განყოფილებაში დახასიათებულია კახეთის, აფხაზეთის, სამეგრელოსა და სამხრეთ-ოსეთის ნავთობის შემცველი რაიონები. მოცემულია გეოლოგიური ჭრილები, გამოფენილია რაიონის ქანები და პალეონტოლოგიური მასალა. გამოფენაზე წარმოდგენილია ნავთობის ნიმუშები (მირზაანის, ტარიბანის, ბაიდას და პატარა შირაქის) და აგრეთვე ნავთობის პროდუქტები: ძრავის სათბობი, ნავთი, მანქანის ბენზინის და სხვ. რუკაზე მოცემულია საქართველოში ნავთის ძირითადი ნაჩვენების გავრცელება.

გამოფენაზე განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს დიდი მექანიზირებული რუკა, რომელზედაც აღნიშნულია საქართველოს ს. ს. რ.-ის უმთავრესი საბადოები.



საქართველოს უმთავრესი საბადოების გავრცელების მექანიზირებული რუკა

გამოფენა დათვალიერა მე-17 საერთაშორისო გეოლოგიური კონგრესის წევრებმა და მათი დიდი ქება დაიმსახურა.

გამოფენისადმი აგრეთვე დიდ ინტერესს იჩენს თბილისის მშრომელი მასები და საქართველოს რაიონებიდან და საბჭოთა კავშირის მოძმე რესპუბლიკებიდან ჩამოსული ექსკურსანტები.

გეოლოგიისა და საქ. მინერალურ რესურსების გამოფენა აუცილებლად შეასრულებს იმ მიზანს რისთვისაც ის ძირითადად იქნა მოწყობილი.


საქ. სახ. მუზეუმი.

ქ. თბილისი.

ნოემბერი 1937 წ.



საქართველოს
რესტრუქტურის
საქ. მუზეუმის



გეგმა იმ დარბაზებისა, სადაც მოეწყობა გამოფენა

საქ. მინერალური რესურსების გამოყენება საქ. მუზეუმში

ბ ჭ ე ლ ი ძ ე

სოფ. ჭალის მიდამოების გეოლოგიური აღწერა

1935 წლის ზაფხულში მონაწილეობას ვღებულობდი ა/კ. გეოლოგიური ტრესტის სამხრეთ-ოსეთის გეოლოგიური პარტიის მუშაობაში, რომელსაც ინჟ. გეოლ. ივ. კახაძე ხელმძღვანელობდა.

მუშაობის მიზანი იყო მდ. ყვირილისა და მდ. ძირულის სათავეებში გეოლოგიური აგეგმვის ჩატარება.

სოფ. ჭალის მიდამოებში ჩვენ მოგვიხდა თავისებური გეოლოგიური და გეომორფოლოგიური ერთეულის გადაკვეთა, სადაც უმთავრესად ფაუნისტურად კარგად დბზასიათებული მიოცენის ნალექებია განვითარებული.

წინამდებარე „აღწერის“ ძირითად მიზანს ამ რაიონში გავრცელებული მიოცენის სტრატეგრაფიისა და ფაუნის შესწავლა შეადგენს, — მაგრამ, რადგან სასურველი იყო მოგვეცა რაიონის მთლიანი გეოლოგიური აღნაგობაც, მას წინ დაურთე უფრო ძველი ფორმაციების სტრატეგრაფია და ტექტონიკა, რომელიც ინჟ. გეოლ. ი. კახაძის გამოკვლევათა მიხედვით მაქვს შედგენილი.

ამრიგად წინამდებარე „აღწერა“ შესდგება ორი თავისაგან. პირველში ძალიან მოკლედ და სქემატურად განხილულია რაიონის მთელი სტრატეგრაფიული და ტექტონიკური ხასიათი, ხოლო მეორე ნაწილი შეიცავს საკუთრივ მიოცენის სტრატეგრაფიას, რომელიც საკუთარი დაკვირვებების შედეგად მაქვს შედგენილი.

მუშაობის დროს შევადგინე რაიონის რამოდენიმე დეტალური განაკვეთი და შევაგროვე ფაუნის ძლიდარი მასალა.

სოფ. ჭალა მდებარეობს მდ. ყვირილის ხეობაში დაბა საჩხერის აღმოსავლეთით 9—10 კმ მანძილზე.


შესწავლილი რაიონი მდებარეობს სოფ. ჭალის სამხრეთით მდ. ყვირილის მარცხენა ნაპირზე, რომლის ჩრდილო საზღვარი არის მდ. ყვირილა, სამხრეთი — ჯვარის გადასვლის სამხრეთით მდებარე განედი, აღმოსავლეთით — სოფ. ურუნას და დასავლეთით სოფ. ინწყისის მერიდიანები. (ნახ. 1).

რაიონი „ძირულის მასივის“ ჩრდილო პერიფერიას წარმოადგენს და ამიტომ სტრატეგრაფიული და ტექტონიკური ხასიათი სავსებით მასზეა დამოკიდებული.

ცენტრალურ ნაწილში მოვაკებული ზედაპირი ხეობებით არის დასერილი, რომელთა შუა ყველგან მოიცენის დაუნაოქებელი ნალექები გვხვდება. ხეობებში

პორფირიტული წყება გაშიშვლებული, ხოლო რაიონის სამხრეთ ნაწილში მდებარე ხეობებში კი გრანიტული მასივიც შიშვლდება.

თუ რაიონს რომელიმე მაღალი ქედიდან დავხედავთ, ის ერთ სიბრტყეშია თარაზულად მოკვეთილი, — ამის მიზეზია ერთის მხრით გრანიტული მასივი და მეორეს მხრით გრანიტულ მასივზე მოთავსებული პორფირიტული წყების ტუფ-ბრეჩქიები და ქვიშაქვები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევდნენ ორგენეტულ ძალებს. ამიტომ როგორც აღენიშნე რაიონს ახსიათებს რბილი რელიეფი.



კაუხაბი 1:200000

ნახ. 1.

რაიონის მთავარ წყალშემკრებ არტერიას წარმოადგენს მდ. ყვირილა, სამხრეთი ნაწილისათვის კი — მდ. ძირულა. თვით რაიონი დასერილია მრავალი პატარა მდინარითა და ღვლით, რომლებსაც საერთოდ წყლის სიმცირე ახსიათებთ. მთელი შესწავლილი ფართობი, ადმინისტრაციულად ჰიათურის რაიონს ეკუთვნის.

მაღლობების აბსოლუტური სიმაღლე რაიონში არ აღემატება დაახლოებით 1000 მეტრს, ხოლო შეფარდებითი სიმაღლეები ქანაობს 50—250 მეტრამდე. შესწავლილი რაიონი ძალიან სუსტად იყო ლიტერატურაში გაშუქებული. შეიძლება ითქვას, რომ 1934 წლამდე ამ რაიონის დეტალური გეოლოგიური აღწერა არავის მოუცია, მხოლოდ 1934—1935 წ. ინე. გეოლ. ივ. კახაძის მიერ ჩატარებულმა მუშაობამ, რომლის მეორე წლის მუშაობაში მეც ვიღებდი მონაწილეობას ბევრი ახალი და საინტერესო გეოლოგიური მოვლენები გამოარკვია.



შედარებით ძველი, გეოლოგიური შრომა ჩვენი რაიონის შესახებ ეკუთვნის სიმონოვიჩს (1), რომელიც უმთავრესად რაიონში გავრცელებულ ნამარხებს ეხება და მხოლოდ აღნიშნავს სარმატულ და ოლიგოცენის ნალექებს.

შემდეგი დროის შრომა ჩვენი რაიონის შესახებ ეკუთვნის ლ. კონიუშევსკის (2), რომლის მიზანი ისევ რაიონის სასარგებლო ნამარხებია. იგი შედარებით უფრო მეტად აზუსტებს სიმონოვიჩის ცნობებს და თავის ანგარიშს თან ურთავს სიმონოვიჩისავე რუკას.

უნდა აღინიშნოს, რომ როგორც სიმონოვიჩის, ისე კონიუშევსკის გამოკვლევანი შეეხება უფრო დიდ ფართობს, ვიდრე ჩვენი, და უკანასკნელის შესახებ ისინი მხოლოდ ვაკერითი ცნობებს იძლევიან.

სიმონოვიჩი და კონიუშევსკი აღნიშნავენ ეოცენის მიდამოებში სარმატულის არსებობას. მიოცენის სხვა ნალექებს ან იმას, თუ სარმატის რიმელ ჰორიზონტთან გვაქვს საქმე—ავტორები სრულიად არ ეხებიან.

ხსენებული ავტორების შეხედულება გრანიტული კონგლომერატების ასაკის შესახებ, რომელთაც ისინი ქვედა და შუა ოლიგოცენად სთვლიან—სწორი არ არის. ამავე დროს მკვლევარები სრულიად არ ასახელებენ მოსაზრებებს ან საბუთებს აღნიშნული წყების ოლიგოცენურ ასაკისადმი მიკუთვნების შესახებ.

შეიძლება აგრეთვე დასახელებული იქნას ვლ. ბოგაჩოვის (3) პატარა სტატია, რომელიც უმთავრესად მეზობელ რაიონებს ეხება, ხოლო ჩვენი რაიონის შესახებ ვაკერით აღნიშნავს, რომ ვხვდებით დაუნაოჭებელ მოიცენის ნალექებსო.

1932 წელს ამავე რაიონში, ქალის ნახშირის კვლევასთან დაკავშირებით, მუშაობდა ა/კ. გეოლოგიური ტრესტის გეოლოგიურ—საძიებო პარტია, რომლის ანგარიში წარდგენილი იქნა. გეოლოგ კალანდაძის (4) მიერ ინახება აღნიშნულ ტრესტის ფონდების სექტორში. ანგარიშს აგრეთვე თან ერთვის გეოლოგიური რუკაც.

ანგარიშსა და რუკის რაიმე მნიშვნელობაზე ლაპარაკი ზედმეტია; შეიძლება აღინიშნოს, რომ გეოლოგია არ არის სწორად მოცემული, თუმცა სწორედ ამ ანგარიშში პირველად არის გამოყოფილი სპანიოდონტელებიანი ჰორიზონტი.

1934 წელს ამავე რაიონს შეეხო საქართველოს გეოლოგიური-საკვლევი ინსტიტუტის ნახშირის პარტია, რომელსაც იქნა გეოლ. ივ. კახაძე ხელმძღვანელობდა. შემდეგი წლის მუშაობა, ნაწილობრივ ისევ შეეხო ამავე რაიონს და იშვიათი გამონაკლისების გარდა დაადასტურა 1934 წლის გამოკვლევათა სისწორე.

რაიონში უძველესი ფორმაცია წარმოდგენილია გრანიტებითა და კრისტალური ფიქლებით, რომლებიც ჩვენი რაიონის სამხრეთ ნაწილებში შიშვლდებიან.

რაიონის სამხრეთი საზღვარი „ძირულის მასივის“ ჩრდილო პერიფერიას წარმოადგენს და აქ ის თანდათანობით დაძირულია ლიასურ, ბაიოსურ და მოიცენის ნალექების ქვეშ.



შესწავლილი რაიონის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ჯვარის გადასავლიდან დასავლეთით, სოფ. ჩონთოს ბოლომდე, გრანიტულ მასივს თავზე ადევს უხელი კვარციანი ქვიშაქვების წყება, რომელიც თითქმის მთლიანად წმინდა კვარცის მარცვლებისაგან შესდგება.

ამ კვარცის ქვიშაქვებს იმავე რაიონში, ზევით მოჰყვება საკმაოდ სქელი, მერგელებრივი თიხა-ფიქლების წყება. მასში გამოერევა ძალიან წვრილმარცვლიანი ქვიშაქვის ფენები 5—15 სმ სისქის. წყებაში გაბატონებულია მერგელებრივი თიხა-ფიქლები, ქვიშაქვები კი ძლიერ დამორჩილებულია, ამიტომ მას მერგელებრივი თიხა-ფიქლების წყება შეიძლება ეუწოდოთ.

თიხა-ფიქლები ხასიათდებიან ფურცლებრივი განცალკავებით. უფრო ზევით, წყება ფაციალური თანდათანობით გადადის ბაიოსის პორფირიტულ წყებაში.

მიუხედავად ენერგიული ძებნისა აღნიშნულ წყებაში ვერავითარი ორგანიული ნაშთი ვერ ვიპოვნეთ, ამიტომ მარტო ჩვენი რაიონიდან მიღებული საბუთებით ძნელი შეიქნა მისი ასაკის გამორკვევა.

ცნობილია, რომ შროშის მიდამოებში კვარციანი ქვიშაქვები დათარიღებულია, როგორც ქვედა ლიასი. ასეთივე წყება ჩვენი რაიონის მეზობლად მდებარე ლოპანის-წყლის ხეობაში, ინჟ. გეოლოგ ს. ჩიხელიძის მიერ აგრეთვე დათარიღებულია, როგორც ქვედა ლიასი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ თუ შროშის მიდამოებში ქვედა ლიასურ კვარციან ქვიშაქვებს თანდათანობით მოჰყვება შუა ლიასური ვარდისფერი კირქვები, — ლოპანის-წყლის ხეობაში ვარდისფერი კირქვები მხოლოდ ტექტონიკური ლინზების სახით არის წარმოდგენილი და მას თავზე მოიისფრო მერგელებრივი თიხა-ფიქლების წყება მოჰყვება, რომელიც შიგ დატულ *Grammoceras thuarsense* d'Orb. მიხედვით ზედა ლიასურად თარიღდება.

ასეთი სტრატეგრაფიული სურათის შედეგად ადვილად ხერხდება ჩვენს რაიონში — ჯვარის გადასავლიდან ოტრია-ჩონთომდე გავრცელებული კვარცის ქვიშაქვები ქვედა ლიასს მივაკუთვნოთ, ხოლო მერგელებრივი თიხა-ფიქლების წყება ზედა ლიასს. მათ შორის შუა ლიასური ვარდისფერი კირქვების არ არსებობა ტექტონიკური გამოსოცის მიზეზია.

ზემოაღწერილ მოიისფრო და შოკოლადისფერ მერგელებრივ თიხა-ფიქლებს, სოფ. ჩონთოს მიდამოებში, ფაციალური სრული თანდათანობით მოჰყვება პორფირიტული წყება. თიხა-ფიქლებში ზევითკენ უკვე გაბატონებულ როლს ასრულებს ქვიშაქვები, შემდეგ ტუფ-ქვიშაქვები, ტუფ-ბრექჩიები და ზევით კი მომწვანო-მორუხო ფერის პორფირიტული წყებაა გაშიშვლებული. განსაკუთრებით კარგად გაშიშვლებები სჩანს მდინარე ძირულის ხეობაში; მას აგრეთვე ვხვდებით მიოცენის ქვეშ სოფ. სპეთში, ეხვევში, ეთოში და სხვ. აქედან პორფირიტული წყება გადადის მდ. ყვირილის ხეობაში და უერთდება სამხრეთ-ოსეთის და რაჭის ანალოგიურ წყებებს.

სოფ. ჩონთოს ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ერთ-ერთ ხევში ნახულ იქნა ამონიტის რამდენიმე ნიმუში, რომელშიც ინჟ. გეოლ. ივ. კახიძის განსაზღვრით მოიპოვება ქვედა ბაიოსურისათვის დამახასიათებელი ფორმა: *Stephoceras*





Freyineti Bayle. აქვე მოიპოვება პატარა ტანის *Sphaeroceras*-ები რომელიც სახეები ჯერჯერობით განსაზღვრული არ არის.

ბაიოსის პორფირიტული წყების ნალექებს ზევით დიდი კუთხური და სტრატოგრაფიული უთანხმოებით მოჰყვება ზედა იურის ნალექები. სოფ. ქალასთან მდ. ყვირილის მარცხენა ნაპირზე გაშიშვლებულია კვარციანი ქვიშაქვების სქელი წყება, ხოლო მდ კინტუას დასავლეთით მიმდინარე ღელის სათავეებში—წყება ნამდვილ კონგლომერატების ხასიათს ღებულობს. ლოდების სიდიდე ორ მეტრამდე აღწევს, ხოლო მასალიდან სჭარბობს ვარდისფერი და ნაცრისფერი გრანიტების; გვისების კვარც-პორფირებს და კრისტალური ფიქლების ნაგორები ლოდები; ამ კონგლომერატებში ხშირად გამოერევა კვარციანი ქვიშაქვების საშუალო სისქის შრეები.

სხვაგან, სახელდობრ ქალა-სხეთის გზის გასწვრივ, გვაქვს სულ სხვა ხასიათის განაკვეთი; ამ განაკვეთში ის სქელი კონგლომერატები, რომელიც ზემოთ აღწერეთ არ არის. წყება უმთავრესად წარმოდგენილია მასიური ქვიშაქვების და ქარსიანი თიხა-ფიქლების მორიგეობით; მაგრამ თუ ამ წყებას ჰორიზონტული მიმართულებით გავყვებით, ის თანდათან გადადის ძლიერ კვარციან ქვიშაქვებში და ბოლოს კი დიდ ლოდებიან კონგლომერატში.

როგორც სჩანს საქმე გვაქვს საკმაოდ მცირე მანძილებში ფაციესების ძლიერ ცვლასთან.

კონგლომერატების ძლიერი წყებისა და შემჩნეული კუთხური უთანხმოების მიხედვით შეიძლება ეს წყება ტრანსგრესიულად წარმოვიდგინოთ, მხოლოდ მის თავზე განლაგებული კვარცის ქვიშაქვის და ქარსიანი თიხების მორიგეობა, რომელშიც აუარებელი თევზის ქერცლი მოიპოვება და რომელიც მაიკაპის წყების ეკვივალენტს უნდა წარმოადგენდეს, საშუალებას იძლევა ეს წყება პირობითად ზედა-იურას მივაკუთნოთ; ამ მოსაზრებას ის გარემოებაც ადასტურებს, რომ წყება მდ. ყვირილის მარჯვენა ნაპირზე თანდათან გადადის თიხებში, რომლებიც უფრო დასავლეთით—საჩხერისაკენ ქვედა კვარცის ნალექებით იფარებიან.

კვარცის ნალექები ჩვენს რაიონში გავრცელებული არ არის.

შემდეგი დროის ნალექებიდან გავრცელებულია წვრილმარცვლოვანი კვარცის ქვიშები და ქვიშაქვები, რომლის კარგ გაშიშვლებებს სოფ. ირთავაზაში ვხვდებით. ამ ადგილებში ამ წყების დიდი გაშიშვლებები შემდეგნაირად არის წარმოდგენილი: ქვევით ვხვდებით თიხებს, რომელშიც თევზის ქერცლი (*clupea*) მოიპოვება, ზევით მას კვარცის ქვიშები მოსდევს, შემდეგ ისევ თიხები და ბოლოს უკვე ქვიშებია გაბატონებული. განაკვეთში ნათლად სჩანს ფიციესის ბრძოლა.

სოფ. დურევში, მდ. ცვარას სათავეებში, პორფირიტული წყების აღმოსავლეთიდან შემოცოცების გამო კვარცის ქვიშების წყება ქვეშ ექცევა პორფირიტულ წყებას, ზევით კი ნაწილობრივ პორფირიტულ წყებაზე და ნაწილობრივ კვარცის ქვიშებზე—მოიცნის ჰორიზონტული ნალექებია განლაგებული.

კვარცის ქვიშების ტრანსგრესიულობის, მის თავზე ისევ ტრანსგრესიული მოიცნის არსებობის და ზემოაღწერილი ტექტონიკური სურათის გამო, ეს წყება ინჟ. გეოლ. ივ. კახაძის მიერ 1934 წელს ოლიგოცენად იყო დათარიღებული, რაც 1935 წ. ჩატარებულმა დაკვირვებებმა ერთხელ კიდევ დაადასტურა.

დიდი კუთხური უთანხმოებით ოლიგოცენის ნალექებს მიოცენი მოჰყვება, რომელიც, როგორც უკვე აღნიშნული მაქვს, სრულიად პორიზონტულად არის განლაგებული უფრო ძველ წყებებზე. რაიონში შეგროვილ პალეონტოლოგიური მასალების დამუშავების შედეგად შესაძლებელი შეიქნა ფაუნისტურად დათარიღებული ყოფილიყო მიოცენის სართულები: ჩოკრაკული (?), კარაგანული, კონკური და ქვედა სარმატული.

მიოცენის ნალექები მასივზე მოთავსებულ ზღვისა და სანაპირო ფაციესის გამო, მთელ რიგ სტრატиграფიულ და ფაუნისტურ თავისებურებებს ატარებს, რომლის შესახებ მეორე ნაწილში, საკუთრივ მიოცენის გარჩევის დროს, უფრო დაწვრილებით შევჩერდები.

ვულკანური ქანებიდან, თუ გრანიტულ მასივზე არაფერს ვილაპარაკებთ, რაიონში გავრცელებულია ანდეზიტ-ბაზალტი, რომლის განმფენი მოთავსებულია სიმაღლე 1085-ზე. ქანის ასაკი უდავოდ ქვედა სარმატულის შემდგომია, რადგან სჩანს რომ ანდეზიტ-ბაზალტის განმფენი ქვედა სარმატული ქვიშაქვების და თიხების მორიგეობაზეა განლაგებული.

რაიონის ტექტონიკურ მოვლენებიდან მოკლედ შევეხები მხოლოდ დიზიუნქტიურ დისლოკაციებს.

პირველი შესხლეტვა შემჩნეულ იქნა სოფ. სპეთის ქვემო ეკლესიასთან, მდ. კინტუას მთელ სიგრძეზე. აქ კარგად სჩანს, რომ პორფირიტული წყება ზედა იურის ნალექებზეა შეცოცხებული, — მოძრაობა დასავლეთით არის მიმართული.

მეორე შესხლეტვა შემჩნეულ იქნა სოფ. ეთოსა და სოფ. ინწყისის შუა. ეს შესხლეტვა, რომელიც კარგად სოფ. ირთავაზაში სჩანს, ყვირილის მარცხენა ნაპირზე კონგლომერატებში იწყება, შემდეგ სჩანს პირფირიტულ წყების განლაგება ზედა იურის კონგლომერატებზე; ხოლო სოფ. ირთავაზასთან და სოფ. დურევთან პორფირიტული წყება უკვე ოლიგოცენის კვარცის ქვიშებზეა განლაგებული.

მესამე შესხლეტვა შემჩნეულ იქნა ძირულის ხეობაში — ჯვარის გადასავლიდან სოფ. ჩონთოს გასწვრივ. სხლეტვის ხაზი NW—SO-ის მიმართულებისაა და სჩანს, რომ მერგელებრივი თიხა — ფიქლების წყება შესხლეტილია კვარცის კონგლომერატებზე; ამის გამო თუ ლოპანის-წყლის ხეობაში შუა ლიასური ვარდისფერი კირქვები ტექტონიკური ლინზების სახით მაინც სჩანს, — აღწერილ რაიონში ვარდისფერი კირქვები სრულიად გამოსოლილია. ეს შესხლეტვა ზუსტად ებმის ინჟ. გეოლოგ ს. ჩიხელიძის მიერ ლოპანის-წყლის ხეობაში შემჩნეულ ტექტონიკურ უთანხმოებას.

რაიონის სასარგებლო ნამარხებიდან შეიძლება დასახელებულ იქნას ბარიტის ძარღვები და ნახშირი.

ბარიტის ძარღვები 1—2 მეტრის სიმძლავრის ცნობილია მდ. კინტუას ღეღეში. ის აგრეთვე ცნობილია მდ. ყვირილის მარჯვენა ნაპირზე; სოფ. ქალაში და სოფ. დრბოში.

აღნიშნულ საბადოებზე კვლევას აწარმოებდა ა/კ. გამოყენებითი მინერალოგიის ინსტიტუტი, მაგრამ ცუდი შედეგების გამო მუშაობა შეწყვეტილი იქნა.



ნახშირის გამოსავლები ცნობილია სოფ. ეთოში, მდ. ციფყას ნაპირზე, სოფ. ეხვევის ქედის სამხრეთ კალთებზე და მდ. კინტუას სათავეებში. როგორც ინჟ. გეოლ. ი. ვ. კახაძის მონაცემებიდან ჩანს აღნიშნულ ნახშირს აქვს ლინზების ხასიათი, რომლის უმეტესი ნაწილი ზედა იურის ტრანსგრესიის მიერ ზოგჯერ სრულიად გადარეცხილია.

აღნიშნული ნახშირის საბადოებიდან შედარებით მნიშვნელოვანია სოფ. ეთოს ნახშირის საბადო, სადაც წინასწარი გამოანგარიშებით მარაგი 15000 ტონამდე შეიძლება განისაზღვროს. რასაკვირველია, ამ მხრივ არც აღნიშნული საბადოა დიდი მნიშვნელობის, მაგრამ მისი შინამრეწველური ხერხებით დამუშავების შემდეგ, ის ადგილობრივი მიზნებისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნას.

მ ი ო ც ე ნ ი

მიოცენის ნალექების უკეთ შესწავლის მიზნით, რაიონში რამდენიმე დეტალური განაკვეთი შევადგინეთ და შემდეგ მასალის დამუშავების დროს განვსაზღვრე ფაუნა.

რაიონი მოიცენის ზღვის სანაპირო ზოლს წარმოადგენს, ისიც მასივის პერიფერიაზე, და ამიტომ ფაუნისტურ და ფაციალურ თავისებურებებს ატარებს.

სურათის სისრულისა და გამოყვანილი დასკვნების თვალსაჩინოების მიზნით ქვევით მომყავს ორი ნორმალური განაკვეთის აღწერა.

ჭ რ ი ლ ი I.

სოფ. ეხვევის სამხრეთი ბოლო, დაღმართი მდ. კინტუას ლელისაკენ.

ქვევიდან-ზევით:

1. ბაიოსის პორფირიტული წყების მასიური ტუფ-ბრექჩიები.
2. სუსტად შეცემენტებული კონგლომერატი, რომელიც ძირითადად აგებულია პორფირიტული წყების ნაგორები ქვებით; შიგა და შიგ მოიპოვება მკვრივი ქვიშაქვის და გრანიტული ქანის ნაგორები მასალაც. კონგლომერატის შემადგენელ ლოდების $d = \leq 5$ სმ. არის 25 სმ-ც, სიმძლავრე 2 მ.
3. ქვიშაქვები ფხვიერი, მორუხო ფერის, კვარცის ნაგორები მარცვლებით (გამოფიტვის გამო ქვიშაქვა ჟანგის ფერია). ნაპოვნია მტკნარი წყლისათვის დამახასიათებელი *Melanopsis* n. sp.

სიმძლავრე 0,8 მ.

4. ზემოაღწერილი შემადგენლობის კონგლომერატი

სიმძლავრე 0,6 მ.

5. ფხვიერი ქვიშაქვები ნაცრისფერი-უნამარხო.

სიმძლავრე 0,3 მ.

6. მკვრივი ქვიშაქვები ღია მომწვანოფერის—გაქედილი ნატეხი Spanidon-tell-ებით.

სიმძლავრე 0,3 მ.



7. ქვიშაქვები თხელშრეებრივი უნამარხო.

სიმძლავრე 1,5 მ.

8. მკვრივი ქვიშაქვების და ფიქლებრივი თიხიანი ქვიშაქვის მორიგეობა. შრეების საშუალო სისქე 10—15 სმ. ზედა ნაწილები გაქედლია *Spaniodontella*-ებით, რომელთაგანაც განსაზღვრულია:

Spaniodontella tapesoides Andrus.

„ *pulchella* Baily

„ „ „ var. *megrelica* Katsch.

„ *Andrussovi* Toulia

შრეების საშუალო სიმა. 1,5 მ.

9. საშუალო მარცლოვანი ქვიშაქვები, რომელიც თითქმის ნიჟარულ დეტრიტუს წარმოადგენს, შრეების სის. 8-10 სმ.

სამძლავრე 7 მ.

10. ოლიტური სქელშრეებრივი ჟანგისფერი კირქვა.

სიმძლავრე 2 მ.

11. მონაცრისფერო წვრილმარცლოვანი ქვიშაქვები უნამარხო.

სიმძლავრე 1 მ.

12. მომწვანო ფერის ქვიშაქვები, შრეების ზედა ნაწილი მთლიანად გაქედლია ნიჟარებით. ნამარხები მთლიანად *Ervilia trigonuta* Sokol.-ს ეკუთვნის. ამ ჰორიზონტს ერვილებიან ჰორიზონტს უწოდებთ.

სიმა. 4 მ.

13. უნამარხო ქვიშაქვები.

სიმა. 1 მ.

14. ოლიტური ქვიშაქვიანი კირქვა.

სიმა. 1,5 მ.

15. სქელ შრეებრივი ქვიშაქვები, ნიჟარის ნამტვრევებით.

სიმა. 1,4 მ.

16. თიხიანი ქვიშაქვების და მტკიცე ქვიშაქვების მორიგეობა. მათ შუა 0,4 მ-ის სისქის ოლიტური კირქვის შრე. ქვიშაქვებიდან განსაზღვრულ იქნა:

Spaniodontella Sokolovi Sinz.

Ervilia sp.

Cardium sp.

Sanibergeria sp.

სიმძლავრე 9 მ.

17. სუსტად შეცემენტებული ჟანგისფერი ქვიშაქვები *Prolas*-ების ნიჟარებით და აღნაბეჭდებით; შიგ მოიპოვება:

Barnea pseudoustjurtensis Bog.

„ *ustjurtensis* Eichw.

Pholas sp.

სიმძლავრე 4 მ.

18. სუსტად შეცემენტებული ფიქლებრივი თიხიანი ქვიშაქვები, ხშირი მცენარეული ნაშთებით. შიგ მოიპოვება ცუდად დაცული შემდეგი ნამარხები:



ეროვნული
ბოტანიკური
სადგურ-მუზეუმი

Syndesmya cf. reflexa Eichw.

Ervilia dissita Eichw.

" " " var. *macrodon*

Mactra sp.

Cardium sp.

სიმძლავრე 8 მ.

19. მკვრივი ქვიშაქვების და თიხების მორიგეობა. ქვიშაქვები მთლიანად გაქედლია ნამარხებით. შიგ ნახულ იქნა:

Modiola sarmatica Cat.

Syndesmya cf. reflexa Eichw.

Ervilia dissita Eichw.

" " " var. *macrodon* Andrus.

" " " " *Andrussovi* Koles.

Mactra Eichwaldi Lask.

" *urupica* Dan.

Tapes vitalianus d'Orb. nov. var.

Cardium cf. quadripartitum Koles.

" " *gracile* Pasch.

" sp.

Trochus sp.

სიმძლავრე 5 მ.

20. სქელ შრეებრივი ქვიშაქვების და თხელ შრეებრივი თიხების მორიგეობა. ქვიშაქვები მთლიანად ლუმაშელს წარმოადგენს. ნამარხები ცუდად არის დაცული. შიგ მოიპოვება უმთავრესად:

Ervilia sp.

სიმძლავრე 2 მ.

21. უფრო ზევით უკვე გაბატონებულია თიხები, რომელშიაც გამოერევა ხოლმე ქვიშაქვების თხელი ფენები. თიხებში მოიპოვება ძლიერ ღარიბი და ცუდად დაცული ფაუნა:

Tapes sp.

Mactra sp.

Cardium sp.

წყება სქელია.

ზ რ ი ლ ი ი

სოფ. დურევის ეკლესიასთან. მდინარე ცვარას სათავეებიდან — სიმაღლე 1085-საკენ.

ქვევიდან — ზევით

1. კვარცის ქვიშები მდიდარი გრანიტული მასალით (ოლიგოცენი).

2. კონგლომერატი ძირითადად პორფირიტული წყების მასალისაგან აგებული. შიგა და შიგ მოიპოვება გრანიტი, ვნეისი და ქვიშაქვებიც, მაგრამ მცირე რაოდენობით. მარცვლების $d=2-30$ სმ. სიმძლ. 6 მ.



3. მკვრივი ქვიშაქვები და ფხვიერი მოშავო ფერის ქვიშების მორიგეობა ქვიშაქვებში გაურკვეველი ნიჟარის ნატეხები. სიმძლ. 5 მ.

4. წვილმარცვლოვანი კონგლომერატი, მცირე კვარციტ; ძირითადად პოროფირიტული წყების მასალისაგან შემდგარი. მარცვლების $d=3$ სმ. სიმძლ. 0,5 მ.

5. სუსტად შეცემენტებული კირიანი ქვიშაქვები, გაქედლილი *Spaniodontella*-ს ნატეხებით. სახეების განსაზღვრა არ ხერხდება სიმძლ. 2,5 მ.

6. მკვრივი ქვიშაქვების და მოშავო ფერის ქვიშების მორიგეობა. უნამარხო. სიმძლ. 1 მ.

7. სუსტად შეცემენტებული მსხვილმარცვლოვანი ქვიშაქვები, გაქედლილი ბატარა ტანის *Pholas*-ებით. შიგ მოიპოვება:

Barnea ustjurtensis Eichw.

„ *Sinzovi* Os.

სიმძლავრე 3 მ.

8. თეთრი ფერის მკვრივი ქვიშაქვები, აუარებელი *Pholas*-ებით. მოიპოვება უმთავრესად:

Barnea Sinzovi Os.

სიმძლავრე 2 მ.

9. სუსტად შეცემენტებული ქვიშაქვების და თიხების მორიგეობა, მდიდარი ნამარხებით. ქვიშაქვის შრეების სისქე 10—15 სმ. თიხების 25 — 30 სმ. თიხებში 2—3 სმ. სისქის ქვიშაქვის შრეები სავსე *Pholas*-ებით. აქაც ნამარხები იგივეა, რაც ქვეით იყო:

Barnea ustjurtensis Eichw.

„ *Sinzovi* Os.

წყების სიმძლავრე 6 მ.

10. ქვიშიანი თიხები, ცუდად დაცული ღარიბი ფაუნით. შემდეგ გაშიშვლება ცუდია; აქა-იქ სჩანს, რომ გრძელდება იგივე ქვიშიანი თიხები ღარიბი ფაუნით. შიგ მოიპოვება:

Ervilia sp.

Mactra sp.

Cardium sp.

სიმძლავრე 40 მ.

11. მსხვილმარცვლოვანი ნაცრისფერი ქვიშაქვების და თიხების მორიგეობა. აქედან განსაზღვრულია:

Ervilia trigonula Sok.

„ *dissita* Eichw.

„ „ „ var. *macrodon* Andrus.

„ „ „ „ *podolica* Eichw.

Mactra sp.

Tapes sp.

Cardium sp.

სიმძლავრე 12 მ.



12. თიხებისა და ქვიშაქვების მორიგეობა. გაბატონებულია თიხებისა და ქვიშაქვები საესეა ფაუნით; შიგ მოიპოვება:

Modiola sarmatica Gat.

Syndesmya reflexa Eichw.

Ervilia dissita Eichw. var. *macrodon* Andrus.

Cardium ruthenicum (Hilb) Lask.

„ *sp.*

Mactra *sp.*

Tapes aff. *naviculatus* (B. Heornes) Andrus.

„ *sp.*

Bulla reseniensis Koles.

ამ წყების სიმძლავრე უდრის 10 მ.

13. თიხებისა და ქვიშაქვების მორიგეობა. გაშიშვლებაში სჭარბობს თიხები. შიგ მოიპოვება ღარიბი და ცუდად დაცული შემდეგი ნამარხები:

Modiola sarmatica Gat.

Syndesmya reflexa Eichw.

Tapes vitalianus d'Orb.

Mactra *sp.*

Cardium *sp.*

სიმძლავრე 25 მ.

14. იგივე თიხებისა და ქვიშაქვებისა მორიგეობა. მხოლოდ ახლა გაბატონებულია არა თიხები, არამედ ქვიშაქვები, რომელიც მთლიანად გაქედილია ნამარხებით; აქედან ამოკრფილ იქნა:

Modiola sarmatica Gat.

Ervilia dissita Eichw.

Mactra Eichwaldi d'Orb.

Tapes vitalianus d'Orb.

Donax dentiger Eichw.

„ *priseus* Eichw.

Cardium cf. *gracile* Pusch.

Solen subfragilis M. Horn,

Buccinum triformis Koles. var. *pellae* Koles.

Mactra subvitaliana Koles.

წყების სიმძლავრე 45 მ.

ზემომოყვანილი ჭრილების აღწერის შემდეგ, გადავიდეთ ცალცალკე ჰორიზონტების დახასიათებაზე.

ჩოკრაკული ჰორიზონტი ჩვენს რაიონში ფაციალურად წარმოდგენილია კონგლომერატებით, რომელიც უმთავრესად პორფირიტული წყების ხარჯზეა აგებული. შიგ მცირე რაოდენობით მოიპოვება ქვიშაქვებიც და კრისტალური მასივის ნაგორები მასალა: გნეისები, გრანიტები და კრისტალური ფიქლები.

ამ წყებას, რომელიც ჩემს I-ლ ჭრილში 2, 3, 4-თ არის აღნიშნული, ხოლო II-რე ჭრილში ისევ 2, 3 და 4-თ, პირობითად ჩოკრაკულს ვაკუთვნებ.

კონგლომერატების სისქე სხვადასხვა აღვილას სხვადასხვაა. ზემოაღვილას კირილებიდანაც სჩანს, რომ სოფ. ეხვევის მიდამოებში მისი სისქე 3,1 აღვილას აღემატება, ხოლო სოფ. დურევის მიდამოებში სისქე 11,5 მ-ს აღწევს. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ რაიონის უფრო აღმოსავლეთ ნაწილებში წყებებს თანდათან გათხელება ახასიათებთ, რაც სანაპირო ზღვის ფაცივისათვის საკვირველს არაფერს წარმოადგენს.

რაიონის აღმოსავლეთ ნაწილებში ზოგჯერ კრილი პირდაპირ სპანიოდონტელებით იწყება, — ჩოკრაკული სრულიად არა გვაქვს, — ზოგჯერ კონკურით, ხოლო მდ. ძირულის აუზისაკენ, პუნქტ 1085-ის სამხრეთით, ნალექები ძლიერ თხელდება და სარმატული პირდაპირ პორფირიტულ წყებას ადევს თავზე. მაგ., სოფ. ცხამში პორფირიტულ წყებას თავზე პირდაპირ სპანიოდონტელებიანი შრეები მოჰყება, აქ ჩოკრაკული არ სჩანს. ასეთი სხვადასხვა ჰორიზონტის პორფირიტულ წყებაზე განლაგება, როგორც არის ერთი მხრივ ჩოკრაკულის კონგლომერატები, და მეორე მხრივ სპანიოდონტელებიანი შრეები თავისთავად სვამს კითხვას, ხომ არ არიან ისინი ერთი სტრატეგრაფიული ჰორიზონტის სხვადასხვა ფაცივი, მაგრამ ამ კითხვაზე უარყოფითად უნდა ვუპასუხოთ, რადგან სხვა განაკვეთებიდან სჩანს, რომ სპანიოდონტელები ყოველთვის ჩოკრაკულის თავზე მდებარეობს და ამავე დროს საქმე გვაქვს კრისტალურ მასივზე მოთავსებულ ზღვის პერიფერიასთან, სადაც ასეთი მოვლენები გაკვირვებას ვერ გამოიწვევს, მით უფრო რომ, კრილი ზოგჯერ კონკურით იწყება ან ზოგჯერ პორფირიტულ წყებას და კრისტალურ მასივსაც სარმატული თიხები ადევს თავზე; ეს ზღვის ტრანსგრესიის თანდათანი განვითარების შედეგია.

კონგლომერატებში მოქცეულ ქანგისფერ თიხიან ქვიშაქვებში მხოლოდ ერთადერთი გვარი იქნა ნაპოვნი, სახელდობრ: *Melanopsis*. ჩემს ხელთ არსებულ ლიტერატურაში მსგავსი ფორმა ცნობილი არ არის, ალბათ საქმე ახალ სახესთან გვაქვს. მისთვის სახელის დარქმევისა და აღწერისაგან კი თავი შევიკავე — მასალის უფრო მეტი რაოდენობით შეგროვებამდე. ამჟამად ჩემს ხელთ მხოლოდ 15-მდე შემეტესად ცუდად დაცული ეგზემპლარები მოიპოვებოდა.

კარავანული ჰორიზონტი. სრულიად დაუნაპოვებელ ჩოკრაკულ კონგლომერატს ფაცივალური თანდათანობით ზევით მოჰყვება ქვიშაქვების და თიხების მორიგეობა, რომლის ზედა ჰორიზონტები გაჭედილია საშუალო სიდიდის *Spaniodontell*-ებით. ამ ჰორიზონტებში *Spaniodontell*-ები ლუმაშელს ქმნიან და ქანზე ისე მჭიდროდ არიან დაკრული, რომ მათი ამოღება თითქმის შეუძლებელია. ამ წყებაში, რომელიც I-ლ კრილში 5, 6, 7, 8-ით მაქვს აღნიშნული, ხოლო II-რე კრილში 5, 6-ით შეიძლება ნამარხები მოიპოვება:

Spaniodontella tapesoides Andrus.

„ *pulchella* Baily.

„ „ „ var. *megrelica* Katsch.

„ *Anbrussovi* Toulia.

ამავე დროს აღსანიშნავია, რომ თუ სოფ. ეხვევის კრილში *Spaniodontell*-ები მდიდარი და კარგად დაცული ნიმუშების სახით არის წარმოდგენილი, სოფ. დურევის კრილში სუსტად შეცემენტებული კირიანი ქვიშაქვები გაჭედილია



ქართული
ენციკლოპედია

Spaniodontell-ების ნატეხებით და მათი ცუდი დაცულობის გამო სახეობის განსაზღვრა არ ხერხდება.

ზემოჩამოთვლილი ნამარხების საფუძველზე სოფ. ეხვევის ქრილში 5, 6, 7, 8-ით და სოფ. დურევის ქრილში 5, 6-ით აღნიშნულ ნალექებს კარგანულ ჰორიზონტს ვაკუთვნებ. როგორც უკვე აღნიშნული მაქვს ზოგჯერ კარგანული ჰორიზონტი პირდაპირ პორფირიტულ წყებას ადევს თავზე და მას ზევით ფოლასებანი შრეები მოუყვება; ასეთი სურათია მაგ., სოფ. ცხამის მიდამოებში. ნალექების სისქე, როგორც ქრილებიდან სჩანს, 3,6 მ-ს არ აღემატება. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მთელ წყებაში, რომელიც აუარებელ და კარგად დაცულ Spaniodontell-ების ნიჟარებს შეიცავს, არც ერთი სხვა გვარის წარმომადგენელი არ მოიპოვება.

მასალაში ნაპოვნი იქნა *Spaniodontella pulchella* Bailely var. *megrelica* Katsch., რომელიც დოც. ივ. კაჭარავას მიერ სკურდ-მარტილის მიდამოებიდან არის აღწერილი; ეს ვარიაცია ალბათ დასავლეთ საქართველოს მოიციენისათვის დამახასიათებელია. Δ -ის მსგავსი კბილის თავისებურობა მკიფიოდ ანსხვავებს მას ტიპისაგან, სხვა მხრივ კი მათ შორის განსხვავება არ არის.

კონკურტი ჰორიზონტი განსაკუთრებით სრულად და მრავალფეროვნად წარმოდგენილია სოფ. ეხვევის მიდამოებში, სადაც ის სრულიად გამოყოფილ და თავისებურ სამ ჰორიზონტს შეიცავს. აქ სპანიოდონტელოებიან შრეების შემდეგ იწყება საშუალო მარცლოვანი ქვიშაქვები, რომელსაც თავზე ადევს ოლიტური სქელშრეებირივი კირქვა. ხოლო ამ უკანასკნელს ისევ უნამარხო წვრილმარცლოვანი, მონაცრისფერო ქვიშაქვები მოჰყვება, რომელიც შემდეგ გადადის მომწვანო ფერის ქვიშაქვებში, რომლის ზედა ჰორიზონტები სავსებით გაჭედლილია პატარა ტანის *Ervilia*-ებით. ნიმუშების შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ საქმე *Ervilia trigonula* Sok. გვაქვს. ნიმუშის პატარა ზომა და ნიჟარის სამკუთხედისებური მოყვანილობა ამის გარკვეულ საბუთს იძლევა. ეს ერვილიებიანი ჰორიზონტი საკმაოდ სქელი წყებაა: 4-მ და გარდა აღნიშნულ ნამარხისა შიგ სხვა არაფერი მოიპოვება.

ერვილიებიანი ჰორიზონტი ზევით ისევ უნამარხო ქვიშაქვებში და ოლიტურ კირიან ქვიშაქვებში გადადის, რომელსაც თავზე თიხიანი ქვიშაქვები და მტკიცე ქვიშაქვების მორიგეობა მოუყვება, საიდანაც განსაზღვრულ იქნა:

Spaniodontella Sokolori Sinz.

Ervilia sp.

Cordium sp.

Sandbergeria sp.

უფრო ზევით კი იწყება მესამე, სრულიად თავისებური ჰორიზონტი, რომელიც ფაციალურად ზისიათდება სუსტად შეცემენტებული ჟანგისფერი ქვიშაქვებით, რომელშიაც გარდა *Pholas*-ებისა სხვა არაფერი მოიპოვება. აქედან განსაზღვრულ იქნა:

Pholas (barnea) pseudoustjurtensis Bog.

Barnea ustjurtensis Eichw.

Pholas sp.

როგორც ვხედავთ კონკური სართული სოფ. ეხვევის მიდამოებში თაუ-
ნისტურად სამ სრულიად განსხვავებულ ერთეულით არის წარმოდგენილი

3. ფოლასებიანი შრეები (*Pholas*)
2. სპანიოდონტელებიანი შრეები (*Sp. Sokolovi*)
1. ერვილიებიანი შრეები (*E. trigonula*)

პირველ კრილში კონკური სართული 9—17 არის აღნიშნული, მისი საერთო სიმძლავრე 17 მ-ს აღწევს.

სულ სხეანაირია სურათი II-რე დურევის კრილში. აქ კონკური სართული ფაუნისტურად მხოლოდ ერთი ზედა ჰორიზონტით არის წარმოდგენილი და შიგ. მოიპოვება:

Barnea ustjurtensis Eichw.
„ *Sinzovi* Os.

ფაციალურად წარმოდგენილია სუსტად შეცემენტებული მსხვილმარცლოვანი ქვიშაქვების და თეთრი ფერის მკვრივი ქვიშაქვების მორიგეობით, რომელთა საერთო სიმძლავრე ამ კრილში 11 მ-ს არ აღემატება. კრილში ასეთი განსხვავება ალბათ ისევ მასივზე მოთავსებული პერიფერიული ზღვის თავისებურობის მიზეზია. ამ კრილში კონკური სართული 7—9-ით არის აღნიშნული.

ქვედა სარმატული. კონკური სართულის *Pholas*-ებთან ჰორიზონტს ზევით სრული თანხმობით მოჰყვება ქვედა სარმატულისათვის დამახასიათებელი ფაუნის შემცველ ქვიშაქვებისა და თიხების მორიგეობის სქელი წყება.

სარმატი ორივე კრილში თითქმის ერთნაირად იწყება: სუსტად შეცემენტებულ თიხიან ქვიშაქვები ცუდად დაცული და ღარიბი ფაუნით, საიდანაც აღსანიშნავია:

Syndesmya reflexa Eichw.
Ervilia dissita Eichw.
„ „ „ var. *macrodon* Andrus.
Maetra sp.
Cardium sp.

ხოლო უფრო ზევით ფაუნა უკვე მრავალსახეობით არის წარმოდგენილი და უკეთ არის შენახული. აქედან განსაზღვრულია:

Modiola Sarmatica Gat.
Syndesmya reflexa Eichw.
Ervilia trigonula Sok.
„ *dissita* Eichw.
„ „ „ var. *macrodon* Andrus.
„ „ „ „ *podolica* Eichw.
„ „ „ „ *Andrussovi* Kolec.
Donax dentiger Eichw.
Don. priscus Eichw.
Maetra Eichwardi Lask.
„ *urupica* Dan.



Maetra subvitaliana Koles.

Tapes vitalianus d'Orb. nov. var.

„ aff *naviculatus* (R. Hoern.) Andrus.

„ sp.

Cardium cf. *quadripartitum* Koles.

„ cf. *gracile* Pusch.

„ „ *rutenicum* (Hilb.) Lask.

„ sp.

Solen sabfragilis M. Horn.

Trochus sp.

Bulla reseniensis Koles.

Buccinum triformis Koles. var. *pellax* Koles.

ამ მდიდარი ფაუნის საშუალებით ფოლასებიან ჰორიზონტს ზევით მოთავსებული მთელი წყება ქვედა სარმატს მივაკუთვნე.

დამახასიათებელია, რომ ქვედა სარმატულისათვის სახელმძღვანელო *Ervillea* ეხვევის ჭრილის მიერ ქვედა სარმატულ ფაუნაში ვერტიკალური მიმართულებით მოიპოვება, ხოლო ღურევის ჭრილის სულ ზედა ჰორიზონტებში ეს გვარი ძლიერ შეზღუდულია და შიგ მხოლოდ ერთი-ორი ეგზემპლარის სახით შეიძლება შევხვდეთ, ამიტომ ეს წყება, რომელიც მე-II ჭრილში 14-ით მაქვს აღნიშნული, ქვედა სარმატულის სულ ზედა ჰორიზონტებს ან შეიძლება შუა სარმატულის სულ ქვედა ჰორიზონტებს ეკუთვნოდეს. ამ წყებაში აგრეთვე სჩანს *Maetr*-ების სიდიდის ზრდა; ისინი თანდათან უახლოვდებიან შუა სარმატულ დიდი ტანის *Maetr*-ებს. აღსანიშნავია, რომ სოფ. ღურევის მიდამოებში ამ წყების თავზე ბაზალტის განმეფენია მოთავსებული, რის გამოც ეს ადგილი რაიონში ჰიბსომეტრიულად ცყველაზე მაღალია. ალბათ ამის მიზეზია ისიც, რომ წყება აქ შეიძლება ნაკლებად იყოს გადარეცხილი, სავაგან კი მაგ., სოფ. ეხვევის ჭრილში ეს ზედა ჰორიზონტები წარმოდგენილი არ არის, რაც გადარეცხვას უნდა მიეწეროს.

მდ. ძირულის აუზისაკენ, პუნქტ. 1085-ის სამხრეთით და საერთოდ რაიონის სამხრეთ პერიფერიაზე მიოცენი პირდაპირ ან პორფირიტულ წყებას ადევს თავზე ან გრანიტულ სუფსტრატს. იწყება ის ყველგან ამ რაიონებში წვრილმარცვლოვანი კონგლომერატით, რომელსაც ზევით მოჰყვება თიხიანი ქვიშაქვების თხელი წყება, რომელიც ძლიერ ღარიბ და ცუდად დაცულ ფაუნას შეიცავს. აქედან შეიძლება დასახელებულ იქნას: *Maetra* sp. *Cardium* sp.

აქ ჩვენ საქმე ამკარა სარმატულ ტრანსგრესიასთან გვაქვს, მაგრამ არც ეს მოვლენა წარმოადგენს საკვირველ რამეს თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ჩვენ მასივზე მოთავსებულ ზღვის პერიფერიაზე ვიმყოფებით. მიოცენის ზღვა წინ მიიწვედა, დასავლეთიდან-აღმოსავლეთის მიმართულებით და სწორედ ამის გამოა, რომ მოიცენი ზოგან ჩოკრაკით იწყება, ზოგან კარავანულით და ზოგან კი პორფირიტულ წყებაზე ან მასივზე სარმატულია განლაგებული.

1936 წ.

ტფილისი

Г. Ф. Ч Е Л И Д З Е

ГЕОЛОГИЧЕСКОЕ ОПИСАНИЕ ОКРЕСТНОСТЕЙ СЕЛ. ЧАЛА

(Резюме)

В настоящем очерке автор касается геологического строения окрестностей сел. Чала (Чиатурский район).

Домиоценовые формации (юра и олигоцен) даны по исследованиям Инж. Геол. Ив. Кахадзе. Более детально описан миоцен, для которого автор дает ряд геологических разрезов.

На основании изучения фауны в миоцене условно выделен чокракский горизонт представленный главным образом конгломератами с пещанными прослоями. В последних найден *Melanopsis n. sp.* По мнению автора эта форма является новым видом, но он воздерживается от его описания в виду неимения достаточного количества экземпляров.

Караганский горизонт хорошо представлен в I-м разрезе, где переслаивающиеся глины и песчаники переполнены хорошо сохранившимися караганскими *Spaniodontell*-ами.

Из этих спаниодонтелл автор особо отмечает разновидность *Sp. pulchella* Baily var. *megrelica* Katsch. описанную доцентом Ив. Качарава из окрестностей Скурды-Мартвили (Мегрелия) и, по видимому характерную для миоцена Западной Грузии.

Автор указывает, что в некоторых местах разрез миоцена начинается спаниодонтелловым горизонтом (чокрак отсутствует) в других же конкским, а ближе к ущелью р. Дзирули на восток и юг от сел. Ехвеви миоценовые отложения вообще утоняются. К югу же от пункта 1085 Сарматские глины налегают непосредственно на порфиритовую серию или же на гранитный массив.

Налегание разных горизонтов восходящем порядке на порфиритовую серию или гранитный массив обусловлено постепенным наступанием моря, трансгрессивно покрывавшего массив.

Автор дает следующее дробное деление (нисходящем разрезе) конкских отложения:

3. Фоладовые слои (*Pholas*).
2. Спаниодонтелловые слои (*Sp. Sokolovi*).
1. Ервилиевые слои (*Er. trigonula*).



Такая последовательность хорошо наблюдается в первом разрезе. Во втором разрезе конкский горизонт представлен лишь несколькими слоями.

Сарматские отложения фаунистически хорошо охарактеризованы; литологически они состоят из песчаников и глин; преобладают последние. Судя по фауне эти отложения относятся к нижнему сармату.



В верхних горизонтах II разреза наблюдается сильное сокращение количества Ервиллий и увеличение размеров мактр. Исходя из этих данных возможно предположить, что верхние слои сарматских отложений сел. Дуревы (II разрез) относятся к нижним горизонтам среднего сармата.

ჭრილი

ჭრილი II

მეტრი

მეტრი





| გვ. | სტრიქონი | | დაბეჭდილია | უნდა იყოს |
|--------|----------|-------|------------------|------------------|
| | ზემ. | ქვემ. | | |
| 9 | 13 | | ფრინველების | ფრინველების |
| " | | 19 | კავშირა | კავშირი |
| 16 | | 6 | ვუკეთებ | ვუკეთებ |
| 17 | 23 | | რომელის | რომელიც |
| 32 | 17 | | მიღებამდე | მიღებამდე |
| 50 | 8 | | Кавказских | Кавказских |
| 52 | | 15 | у нас | у нее |
| 53 | 7 | | тела | тело |
| 57 | | 8 | таксологических | таксологических |
| " | | 9 | о Севани | о Севане |
| " | | 20 | итого | итог |
| 59 | 16 | | пути | путь |
| 61 | 3 | | известняков | известняков |
| 66, 68 | 9,9 | 17,16 | Д | D |
| 66, 68 | 25 | 1 | suboperculum | suboperculum |
| 70 | | 6 | они сближаются | она сближается |
| 74 | 13 | | анального | анального |
| " | | 2 | ела | тела |
| 75 | | 4 | вышла | вышло |
| 78 | 16 | | cyptoms | characters |
| " | | 21 | Value of (mean. | Value of (mean. |
| " | | 16 | last ones | last ones |
| " | | 10 | th aks | thinks |
| 78 | | 9 | fhe trouts | she trouts |
| " | | " | sevreal | everal |
| " | | 4 | lask sea | Blask Sea |
| 79 | | 18 | pallas | Pallas |
| 105 | 5 | | ვედრების | ვედრები |
| 117 | | 4 | races | Espéce |
| 132 | | 4 | ხვეულები | ხვეულები |
| " | 9 | | როგორ | როგორც |
| 140 | 2 | 13 | დამახასიათებელია | დამახასიათებელი |
| 148 | | 9 | ადცული | დაცული |
| 152 | | 12 | დატოვა | დატოტვა |
| 153 | 5 | | ჭკარგავს | ჭკარგავს |
| 154 | | 14 | ორ ტოტად იყოფიან | ორ ტოტედ იყოფიან |
| 155 | | 15 | ხვეულის | ხვეულის |
| " | | 4 | დატოტვა | დატოტვა |
| 157 | | 8 | ფორმისგან | ფორმისგან |
| 158 | 13 | | ხვეულების | ხვეულების |
| " | | 18 | სხვეულებით | ხვეულებით |
| 160 | | 15 | მსვილი | მსხვილი |
| 165 | | 16 | ატარებენ | ატარებენ |
| 166 | | 3 | ადგწერ | ადგწერ |
| 167 | 10 | | ხვეულები | ხვეულები |
| 172 | 7 | | მსხილი | მსხვილი |
| 181 | 7 | | опвeдeлил | опpeдeлил |
| " | | 11 | Сутуная | Сутурная |
| " | | 7 | возрасте | возрасте |
| 189 | | 18 | адре | ядре |
| 219 | 16 | | размева | размера |
| 236 | 16 | 4 | (1.000 და 1.500) | (1000 და 1.500) |
| 228 | | | მოიცენი | მოიცენი |



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

ფანე 10 მან.

3. 22/34.



БЮЛЛЕТЕНЬ
Гос. Музея Грузии

Тбилиси
1938